"გასაიდუმლოებული" რეიტინგული კვლევა A2 | მხოლოდ სიმართლე, თუნდაც სიცოცხლის ფასად A8 | კვირა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 6 მარტი, 2004 წელი. №55 (604) | ფასი 50 თეთრი

# აბაშიძე ცენტრს იწვევს

სოფო ბუკია

*გუშინ დილით, ხელვაჩაურის საგზაო პოლიციის პოსტთან "რუსთავი 2"-ის პროგრამა "60 წუთის" კორესპონდენტი ვახო კომახიძე სასტიკად სცემეს. კომახიძე შუახევიდან ბათუმში ავტომანქანით ბრუნდებოდა, როცა საგზაო პოსტთან მას სპეცრაზმელები დაესხნენ და პოლიციელთა თანდასწრებით გაუსწორდნენ. ვახო კომახიძეს ტვინის შერყევა აქვს. ბათუმის პირველი საავადმყოფოდან, სადაც მას პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, ჟურნალისტი გუშინ, გვიან ღამით, თბილისში რეანიმობილით გადმოიყვანეს. ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე, პოლიციელი რევაზ გვარიშვილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციას დავალებული ჰქონდა კომახიძის მანქანის გაჩერება. კომახიძის ცემას წინ კიდევ ერთი ინციდენტი უძღოდა. გუშინწინ, გვიან ღამით, ბათუმში მყოფ "რუსთავი 2"-ის ოპერატორს მთელი გადასაღები აპარატურა ჩამოართვეს. აბაშიძის ოპოზიცია მიიჩნევს, რომ აჭარის მეთაური აგონიაშია... "აბაშიძემ იცის, რომ ეს მისი დასასრულის დასაწყისია," – აცხადებენ "ჩვენი აჭარის" ლიდერები.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ასე უსწორდება აჭარაში თავისუფალ სიტყვას ასლან აბაშიძე.*

# რევოლუცია შემოვიდა შალიკიანის დაკავების ქუთაისური შეფასება

ბექა სისაური
*ქუთაისი*

*ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გენერალური პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და წინასწარი დაკავების საკანში მოთავსებულ, ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს ბონდო შალიკიანს სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა.*

ბონდო შალიკიანის არაოფიციალური რეგალიები ადვილი ჩამოსათვლელი არ გახლავთ. იმერეთის რეგიონში იგი შემდეგნაირად ხასიათდება: ტყიბულის მაჟორიტარი, კრიმინალურ ქმედებებში არაერთხელ ეჭვმიტანილი, ტარიელ ონიანის "მარჯვენა ხელი", არაერთი ეკონომიკური მაქინაციის ავტორი, პოლიტიკური ინტრიგების დახვეწილი ოსტატი და ადგილობრივ პროკურატურასთან დაპირისპირებული პირი. იმერეთში იგი მოუხელთებელი დამნაშავის სახელითაც არის ცნობილი. ალბათ, ამიტომაც, ქუთაისელებმა შალიკიანის დაკავება მხარეში "რევოლუციის შემოსვლას" შეადარეს.

გაგრძელება A7 გვერდზე



*ბონდო შალიკიანი სახლიდან გამოჰყავთ.*

# რას უქადის ქვეყანას უშიშროების სამინისტროს დეპროფესიონალიზება

*საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ 100 დღიანი მოღვაწეობა, ძირითადად, საკადრო რეფორმას მოანდომა. აღმასრულებელი სტრუქტურის ყველა საკვანძო თანამდებობა ამ დროისათვის ახალი კადრებით არის დაკომპლექტებული. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ზოგიერთ, მაგალითად უშიშროების სამინისტროს შემთხვევაში, ხელისუფლებამ შეგნებულად თქვა უარი ყბადაღებულ პროფესიულ გამოცდილებაზე და, კადრების შერჩევის დროს, უპირატესობა კანდიდატის ახალგაზრდულ შემართებასა და პატიოსნებას მიანიჭა. მაგრამ, დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, თუ სამოქალაქო უწყების შემთხვევაში სრული საკადრო როტაცია ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული, ე.წ. ძალისმიერ სამინისტროებში მართვის დეპროფესიონალიზებას, შესაძლოა, ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის შესუსტება მოჰყვეს.*

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება„*

უშიშროების სამინისტროს მიმართ საქართველოს ყველა ხელისუფლებას ორჭოფული დამოკიდებულება ჰქონდა: ზვიად გამსახურდიაც და ედუარდ შევარდნაძეც ფიქრობდნენ, რომ ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ასეთი სამინისტრო, ოღონდ არ ენდობოდნენ საბჭოთა სუკ-ის სკოლაგამოვლილ კადრებს. თუმცა, პრობლემის სპეციფიკურობის გამო, არც ერთ ამ ლიდერს არ გაუტარებია რადიკალური საკადრო ცვლილება. მიხეილ სააკაშვილმა გაპრეზიდენტების პირველივე დღეებიდან გადაწყვიტა, წერტილი დაესვა ამ ორჭოფული მდგომარეობისათვის და უშიშროების სამინისტროს მმართველობა სრული ასი პროცენტით გადაახალისა. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ უშიშროების სამინისტროს სათავეში აღმოჩნდნენ არაპროფესიონალები – პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ადეიშვილი, მისი მოადგილე გიგი უგულავა და ამირან მესხელი, რეგიონული არასამთავრობო სექტორიდან. უშიშროების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელებმა, თავის მხრივ, ყველა დეპარტამენტისა და განყოფილების უფროსს მალევე დააწერინეს განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ. თუმცა, გათავისუფლებულებს შორის აღმოჩნდნენ უშიშროების პროფესიონალი მუშაკები, რომელთა უმუშევრად დატოვებას, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ირაკლი ბათიაშვილი ქვეყნისთვის გაუმართლებელ საკადრო გადაწყვეტილებას უწოდებს.

**"ნებისმიერი სერიოზული უშიშროების თანამშრომელი, რომელიც ატარებს ინფორმაციებს, ინფორმაციებთან ერთად არის მატარებელი კონტაქტების გარკვეული ქსელისა.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### მთავრობა, ჭერჭერობით, საგადასახადო ამნისტიას არ აპირებს

"საუბარი არ არის საგადასახადო ამნისტიაზე. საქმე ეხება ბიზნესთან თანამშრომლობას... რაც წინა პერიოდში ბიზნესში ხდებოდა, მნიშვნელოვანწილად მაშინდელი მთავრობის ბრალი იყო," - ასეთი კომენტარი მისცა პრესას ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

A3

## ეკონომიკა

### ბლეფი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ უნდა ავიყვანოთ

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა მიმდინარე წლის 24 თებერვალს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალ მთავრობას აქვს ქვეყანაში ეკონომიკის რეფორმირების თავისი გეგმა. მინისტრის ასეთმა განცხადებამ მიკარნახა, გამოვსულიყავი პრესაში ეკონომიკური რეფორმის შესახებ ჩვენი მოსაზრებებით, - ვალერიან ადვაძე, "ხმა წარსულიდან".

A4

## უცხოეთი

### "პროცედურა დასრულდა" და რუსეთს ახალი პრემიერი ჰყავს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრის პოსტზე მიხაილ ფრადკოვის დანიშვნის შესახებ. რამდენიმე საათით ადრე კი, ფრადკოვის კანდიდატურა სახელმწიფო დუმამ დაამტკიცა.

A5

## საზოგადოება

### ფოთის მერს კორუფციაში ამხელენ

*უკანასკნელ პერიოდში ფართომასშტაბიანი აქციები და მანიფესტაციები ფოთში ჩვეულ მოვლენად იქცა. პასიურობით ცნობილი ქალაქის მოსახლეობა ქუჩებში ფოთის მერის ვახტანგ ალანიას გადაყენების მოთხოვნით გამოვიდა. რა კომენტარს უკეთებს ფოთის მერი ყველაფერ ამას.*

A6

## სამართალი

### ლევან კენჭაძის წინააღმდეგობრივი ჩვენებები

2000 წლის 9 ივნისს ზესტაფონის პოლიციის ეზოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი ქუთაისის საოლქო სასამართლოში კვლავ განახლდა. საუბარია, ელიავასა და გვილავას ლიკვიდაციაზე.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 5 |
| ბათუმი | 3 |
| სოხუმი | 3 |
| ფოთი | 2 |
| თელავი | 8 |
| ზუგდიდი | 3 |
| გორი | 3 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 3 |
| გაგრა | 4 |
| სამტრედია | 3 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9000 |
| ევრო | 2.3146 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4567 |
| რუბლი | 0.0664 |

# პრეზიდენტმა ასლან აბაშიძეს გამოძიებისთვის 10 დღე მისცა

5 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მასზე დამთრგუნველად იმოქმედა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის, ვახტანგ კომახიძის ცემის ფაქტმა. მისი თქმით, ყველაზე შემაშფოთებელი არის ის, რომ ეს ფაქტი აჭარის ადგილობრივი სამართალდამცველების თვალწინ მოხდა.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ აჭარის საკითხს იგი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავს და ავტონომიის ხელმძღვანელობასთან არსებულ პოლიტიკურ თუ პირად უთანხმოებებზე ყურადღებას არ ამახვილებს. თუმცა, დასძინა, რომ მისი კონტიტუციური მოვალეობაა საქართველოს თითოეული მოქალაქის დაცვა განუკითხაობისა და ძალადობისაგან. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს ამ ფაქტის გამოძიება და დამნაშავეთა კანონის შესაბამისად დასჯა დაავალა. ამისათვის კი 10 დღის ვადა მისცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ნაციონალები" საარჩევნო პროგრამას ამზეურებენ

### მას დღეს პრეზიდენტი მეწარმეებს დეტალურად გააცნობს

გიორგი ასანიშვილი

*ვარდების რევოლუციის შემდეგ კონკურენტული პოლიტიკური გარემო, ფაქტობრივად, აღარ არსებობს - "ნაციონალური მოძრაობა" და მათთან გაერთიანებული "დემოკრატები" თავიანთ კონკურენტებზე მთელი თავით მაღლა დგანან. ვინაიდან გამარჯვებული ძალა, პრაქტიკულად, წინასწარ არის ცნობილი, პირველად ხდება, რომ არჩევნებს თითქმის არანაირი ვნებათაღელვა არ ახლავს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წყნარი და მშვიდი წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში ჯერ არ ყოფილა.*

საარჩევნო პროგრამების გარშემო დებატების პრაქტიკა და კულტურა ჩვენთან თითქმის არ არსებობს. ელექტორატი არჩევანს, როგორც წესი, პარტიულ ლიდერებს შორის სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით აკეთებს. მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაში მძაფრი პოლიტიკური კონკურენცია არსებობდა, საარჩევნო სუბიექტების პროგრამებსა და პლატფორმებს მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და თეორიულ საკითხებზე კამათით პოლიტიკოსები თავს არ იწუხებდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პედაგოგებს არ ერვამარტებათ

თამარ დვალი

თბილისის მასშტაბით განათლების სფეროში 15 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 70 ლარს შეადგენს. პედაგოგი, რომელიც სრულ განაკვეთზე მუშაობს და ატესტაციის შედეგად მინიჭებული აქვს პირველი კატეგორია, ხელფასს, ყველა დანამატით, 88 ლარზე მეტს მაინც არ იღებს. აქედან საშემოსავლო და სოციალური დაზღვევის 20 ლარი ექვითებათ და ხელზე 68 ლარს იღებენ. როდესაც სოციალური დაცვის ფონდში ხელფასის 33 პროცენტი ირიცხება, ქვეყანაში არ მოქმედებს პედაგოგთა სოციალური დაცვის რაიმე მექანიზმი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# "გასაიდუმლოებული" რეიტინგული კვლევა



ბესო გულაშვილის ფოტო

"IRI - საქართველო" პარტიებთან ურთიერთობის გაფუჭებას არ აპირებს.

უკეთესი მომავლის ლოდინი და ოპტიმისტურად განწყობილი ქართველები – ეს იმ სოციოლოგიური კვლევების შედეგია, რომელსაც, მთელი ექვსი დღის მანძილზე, ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი ატარებდა. ისინი არასამთავრობო ორგანიზაცია "IRI – საქართველო-ს" წარმომადგენლები არიან.

სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობას ამერიკელი სოციოლოგებიც იღებდნენ.

გუშინდელ სპეციალურ პრესკონფერენციაზე, რომელიც ამ სოციოლოგიურ კვლევას შეეხებოდა, არაფერი თქმულა არჩევნებში მონაწილე პარტიების რეიტინგების თაობაზე. თანაც, ჟურნალისტებს პირდაპირ განუცხადეს, რომ ჯგუფს ხელთ აქვს რეიტინგული მონაცემები, მაგრამ მათ ასაიდუმლოებენ. ორგანიზაციის ადგილობრივი წარმომადგენლობის კოორდინატორის მაკა შენგელიას თქმით, მათ უკვე შეატყობინეს პოლიტიკურ პარტიებს გამოკითხვების შედეგები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორგანიზაციის ადგილობრივი წარმომადგენლების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ წინასაარჩევნოდ პარტიების "დაკვალიანებაა", მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რატომ დამალეს ექსპერტებმა კვლევის შედეგები - ისინი პოლიტიკოსთა განაწყენებას მოერიდნენ. მით უფრო, რომ მათთან გაფუჭებული ურთიერთობებით არც საკუთარი დონორი ორგანიზაცია – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი იქნებოდა კმაყოფილი.

ასე რომ, გუშინ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს მხოლოდ მოსახლეობის განწყობილებების თაობაზე ამცნეს. პრინციპში, მოულოდნელი მათ არაფერი უთქვამთ - ის, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ახალი ხელისუფლების სჯერა, რომ მომავალს იმედის თვალით უყურებს, ისედაც ცნობილია. საიდუმლოს არც ის წარმოადგენს, რომ ქართველების უმრავლესობა ხელისუფლებისაგან ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის ზრუნვას, სამუშაო ადგილების შექმნას, კორუფციასთან ბრძოლასა და ადამიანის უფლებების დაცვას ელოდება.

*24 საათი*

# მზადდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

გუშინ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის განხილვა შედგა. შეხვედრაში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ქართველი ექსპერტები მონაწილეობდნენ. კონცეფციის პროექტი ეროვნული უშიშროების საბჭოში მომზადდა და ექსპერტთა წრეს იგი საბჭოს მდივნის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ წარუდგინა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პროგრამული ხასიათის დოკუმენტია. ამით ქვეყნის ხელისუფლება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო განვითარების ძირითად მიმართულებებს სახავს. მასში მოცემულია სახელმწიფოს უმთავრესი ინტერესები და ამოცანები, საუბარია საფრთხეებსა და რისკებზე, რომელიც ამ ინტერესების განხორციელებას შეიძლება დაემუქროს და დასახულია პრიორიტეტები, რომელთა მიღწევითაც ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყოფილად შეიძლება მივიჩნიოთ. კონცეფციის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სახელმწიფოს სხვა სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებშიც ცალკეული პრიორიტეტის დაკმაყოფილების კონკრეტული სამოქმედო პროგრამა იქნება გადმოცემული.

ამდენად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღება მნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე. დისკუსია მსგავსი დოკუმენტის შექმნის აუცილებლობის შესახებ საქართველოში, დიდი ხანია, მიმდინარეობს და კავკასიურმა ინსტიტუტმა ამ თემას არაერთი სემინარი და კვლევა მიუძღვნა. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის მიერ, კონცეფციის რამდენიმე პროექტი შემუშავდა. არსებობდა სახელმწიფო კომისია, რომლის ფარგლებშიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ კონცეფციის პროექტი წარმოადგინა. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი ექსპერტებიც. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე კონცეფციის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და მიღება ვერ მოხერხდა.

ახალი ხელისუფლება ამ პრობლემის ახლებური, დაჩქარებული ტემპით მოგვარებას ცდილობს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია კონცეფციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილვა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტით დამტკიცება. დოკუმენტისათვის უფრო მეტი ლეგიტიმურობის მინიჭების მიზნით, შეიძლება კონცეფცია პარლამენტმაც განიხილოს. მით უფრო, რომ მსგავსი გამოცდილება მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს.

მანამდე, უშიშროების საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული დოკუმენტი ქართველი ექსპერტების სამსჯავროზე დადგა. იმთავითვე აღინიშნა, რომ დოკუმენტი, რომლის საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში მომზადებულ პროექტს ეფუძნება, მნიშვნელოვან გადახალისებას საჭიროებს. 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში განვითარებულმა მოვლენებმა ამგვარი აქტუალიზაცია აუცილებელი გახადა. ამასთან, უცვლელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები – დამოუკიდებლობის განმტკიცება, ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა თავისუფლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, საგარეო კავშირების მშვიდობის პრინციპზე აგება. ამ ინტერესებს გარკვეულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიაზე და რეგიონში არსებული კონფლიქტები, ცალკეული ქვეყნების ინტერესები, ასევე ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების კუთხით არსებული პრობლემები. კონცეფცია უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად საგარეო, ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემების მოგვარებას, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სტრატეგიული დანიშნულების ნავთობსადენების დაცვას, ეკოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავებასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ეფექტური სახელმწიფო მმართველობის განმტკიცებას ასახელებს. საქართველოს საგარეო პრიორიტეტად კვლავ რჩება ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება.

ექსპერტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უსაფრთხოების შიდა ასპექტები მოექცა. საქართველოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყანაა და ხშირად სხვადასხვა სახის გამოწვევები ქვეყნის უსაფრთხოებას იმაზე მეტ პრობლემას უქმნის, ვიდრე ეს ჩამოყალიბებული ქვეყნის პირობებში შეიძლება მომხდარიყო. ასეთი სახის გამოწვევებია ეკონომიკური სტაგნაცია, ფართო მასების სოციალური მდგომარეობა, ეკოლოგია და ა.შ. აღინიშნა, რომ საქართველოს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სერიოზულ პრობლემად განათლების სისტემაში არესებული მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ითქვა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაში ყველა პრობლემის დეტალური აღწერა ვერ მოხერხდება. ამ მიმართულებით საჭიროა დოკუმენტში უფრო ნათლად იყოს გამოკვეთილი საფრთხეების, გამოწვევებისა და რისკების სხვადასხვა დონეები, პირველადი და მეორადი პრიორიტეტები. კონცეფციის პროექტი ჯერ კიდევ საჭიროებს სტრუქტურულ გამართვას, დეფინიციებისა და ფორმულირებების დახვეწას. ექსპერტებთან შეხვედრა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და დოკუმენტის ავტორებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მათი მოსაზრებები პროექტის დამუშავებისას გაიზიარონ.

*24 საათი*

# ქართული პენ-ცენტრის განცხადება

აჭარაში უხეშად ირღვევა სიტყვის თავისუფლება და უმკაცრესად, არაადამიანურად უსწორდებიან მასმედიის წარმომადგენლებს. ქართული პენ-ცენტრი გამოთქვამს პროტესტს და ამის შესახებ ატყობინებს საერთაშორისო პენ-კლუბს და ნაციონალურ პენ-ცენტრებს.

*ქართული პენ-ცენტრი*

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

### განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მის.: თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, საფოსტო ინდექსი 0104) აცხადებს კონკურსს ქვემოთ მითითებული პროდუქციის შესასყიდად და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა:**

*საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქაღალდზე, შემოთავაზებული დამცავი ნიშნით, რომლის დაკვეთის უფლება აქვს მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პოლიგრაფიულ საწარმოს უნდა გააჩნდეს უფლება მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტების ბეჭდვაზე. მოწოდებული უნდა იქნეს 3,300,000 ცალი ბიულეტენი.*

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ა. ცნობები, რომ არ ხორციელდება ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; ბ. ცნობა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე; გ. ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;) და საკონკურსო წინადადება შესაბამისი ფორმით უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა/წ 10 მარტის 1800 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 29, მე-3 სართული, ოთახი № 328; საკონტაქტო პირები – ტარიელ ხიზანეიშვილი, გიორგი დათუნაშვილი (ტელ./ფაქსი: 98 70 05).

**დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისაგან.**

# უშიშროების ყოფილ თანამშრომლებს ბრალს რამდენიმე მუხლით წაუყენებენ

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს რამდენიმე დაკავებულ თანამშრომელს, როლებიც თბილისში გადმოიყვანეს, სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ბრალი უკვე წაუყენეს.

როგორც მთავარ სამხედრო პროკურატურაში აცხადებენ, სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამხარეო განყოფილების ყოფილ უფროსს გოგი ნაჭყებიას, მის მოადგილეს კობა მატახერიას, თენგიზ თოდუას, მამუკა ყურაშვილს, ონისე ხუბულავას და ზურაბ ქალდანს დღეს ბრალს 333-ე და 226-ე მუხლებით წაუყენებენ.

333-ე მუხლი "ჯგუფური მოქმედებების ორგანიზებით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის" სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო 226-ე მუხლი - "სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება" - 3-8 წლამდე პატიმრობას.

დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

გუშინ ზუგდიდის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა სოფელ რუხში სათავსო აღმოჩინეს, სადაც ნავთობის კუსტარულად დასამუშავებელი საამქროსთვის საჭირო მოწყობილობები აღმოჩნდა. ოლქის პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით, სათავსო ეკუთვნოდა დაკავებული უშიშროების თანამშრომლებიდან ერთ-ერთს - ონისე ხუბულავას.

გუშინვე, ზუგდიდის ცენტრში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ საპროტესტო აქცია მოეწყო. აქცია, დაახლოებით, 50-მდე ბავშვმა გამართა, რომელთაც დაკავებული უშიშროების თანამშრომელი მამუკა ყურაშვილი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ავარჯიშებდა. ისინი თავის მასწავლებელს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და მის სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფართომასშტაბიანი საპროტესო აქციებით იმუქრებიან.

*24 საათი*

# საქართველოში ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ერთი ორგანიზებული სტრუქტურა ამოქმედდება

საქართველოს 15 მარტიდან ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ერთი ორგანიზებული სტრუქტურა ეყოლება. ძალაში შედის კანონი "ფინანსური პოლიციის შესახებ", რომელიც ახალი უწყების დანიშნულებას, საქმიანობის პრინციპებს, უფლებამოსილებას და მიმართულებებს განსაზღვრავს. ახალი კანონის მიხედვით, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლისა და გამოძიების ფუნქციები ჩამოერთმევათ, ოპერატიული მოკვლევის ფუნქციას დაკარგავენ საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებიც. ფინანსთა სამინისტროში ცოტა ხნის წინ შექმნილი საგამოძიებო დეპარტამენტიც ფინანსური პოლიციის დაქვემდებარებაში გადავა. თავად პოლიცია ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით იმოქმედებს.

პოლიციის უფროსს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს. გავრცელებიული ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტივისტი დავით კეზერაშვილი მოიაზრება.

*ინტერ-პრესი*

# "კავკასიონი" დაზიანდა

გუშინ ავარიულად დაზიანდა რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი". შედეგად, რუსეთიდან დენის იმპორტი შეწყდა. ხაზის ოპერატორი კომპანია, რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმოს "საქრუსენერგო" ავარიას დიდთოვლობას უკავშირებს. კომპანიის ოპერატიული ჯგუფები დაზიანების ადგილას გუშინ ვერ გავიდნენ. შესაბამისად, ჯერჯერობით, უცნობია, თუ როდის აღდგება რუსეთიდან იმპორტი.

იმპორტის შეწყვეტა, ძირითადად, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", ანუ საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგების შეზღუდვას გამოიწვევს, რადგან რუსულ დენს, მეტწილად, ეს კომპანია მოიხმარდა.

"თელასში" შიშობენ, რომ დილაობით და საღამოობით შეზღუდვა მათაც შეეხებათ, რადგან რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას პიკებზე თბილისიც მოიხმარდა. თუმცა, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აპირებენ, რომ თბილისის "დანაკლისი" ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიით შეავსონ.

გარდა ამისა, "კავკასიონის" ავარია ამ დღეებში აჭარის ელექტრომომარაგებაზეც აისახება. ეს კომპანია, ფაქტობრივად, მთლიანად რუსული დენით მარაგდებოდა.

გუშინ, ასევე, დაზიანდა სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი "ალავერდიც", რის გამოც ელექტრომომარაგება რამდენიმე საათით შეუწყდათ საბურთალოს, ვაკისა და მთაწმინდის რაიონებს, მათ შორის ცენტრალურ უბნებში განთავსებულ სახელმწიფო დაწესებულებებს. დაზიანება უმნიშვნელო აღმოჩნდა. ავარიის შედეგების აღმოფხვრის შემდეგ ხაზი სისტემაში უპრობლემოდ ჩაირთო.

*24 საათი*

# პედაგოგებს არ ერვამარტებათ



*ისევ ისე იცავს პროფკავშირები პედაგოგების უფლებებს?*

პირველი გვერდიდან

სახელმწიფოს რეგიონის პედაგოგების ძველი დავალიანება 15 მილიონი ლარი მართებს. ამას ემატება 2003 წლის ორი თვის დავალიანება 10 მილიონი ლარის ოდენობით და ცენტრალურ დაფინანსებაზე მყოფი ტექნიკური სასწავლებლების 10 მილიონი. თბილისში გაყინული ხელფასები არ არის, მაგრამ, უკვე რამდენიმე წელიწადია, მასწავლებლები ხელფასს ორი თვის დაგვიანებით იღებენ.

ყველაზე მეტად პედაგოგებს ის ფაქტი აღელვებთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ატესტაცია არ გაუვლიათ. აქედან გამომდინარე, კვალიფიკაციის შესაბამის ხელფასსაც ვერ იღებენ. **"გარადა იმისა, რომ ატესტაციის გავლა ფინანსურ მხარეზე აისახება, ეს, გარკვეულწილად, ჩვენი თავმოყვარეობის შელახვაცაა. წლების განმავლობაში ვმუშაობთ და კატეგორია კი არ გაგვაჩნია, გამოდის, რომ ერთ დონეზე ვართ გაყინულები და კვალიფიკაციას ვერ ვიმაღლებთ, "** – აცხადებდნენ განათლების პროფესიულ კავშირში შეკრებილი პედაგოგები.

არ არსებობს კანონი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა ასაკში უნდა გავიდეს პედაგოგი პენსიაში, ან რა რაოდენობის პენსია უნდა დაენიშნოს მას. კანონის დარღვევით ხდება პედაგოგების შემცირებაც. მოკლედ, პრობლემა უამრავია და სწორედ ამიტომ მიიჩნიეს განათლების პროფესიულ კავშირში, რომ - "ქალბატონ პედაგოგებს არ ეზეიმებათ." ამით ისინი მარტის თვეში დაწესებულ ქალთა დღესასწაულს კი არ უცხადებენ პროტესტს, არამედ მთავრობას კიდევ ერთხელ ახსენებენ, რომ ამ სფეროში მომუშავე ქალბატონებს ძალზედ ბევრი პრობლემა აქვთ.

სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლები უფრო ცუდ ვითარებაში არიან, ვიდრე სკოლის პედაგოგები. მათი ხელფასი გაცილებით დაბალია. გუშინდელ შეკრებაზე უკმაყოფილება გამოთქვა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტმა დალი კახიანმა: **"ძალიან მწყდება გული, რომ, როდესაც პედაგოგების გასაჭირზეა საუბარი, აქცენტი ყოველთვის საშუალო სკოლის მასწავლებლებზე კეთდება. იგივე მდგომარეობაში ვართ ჩვენც და ამაზე თვალს ხუჭავენ. თითქოს იგნორირებას გვიკეთებენ. დოცენტ ადამიანს შეიძლება 40, 42 ლარი ჰქონდეს ხელფასი? ფაქტობრივად, მხოლოდ ვარსებობთ - აღარც თეატრია ჩვენთვის და აღარც - კინო".**

განათლების პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მანანა კობახიძე პედაგოგებს დაჰპირდა, რომ თუ, ხელისუფლება საარსებო მინიმუმს არ გაზრდის და პრობლემების მოგვარებისთვის კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს, მათი სამსახური რადიკალურ ზომებს მიმართავს: **"პედაგოგები ამ ხელისუფლებას რევოლუციის დროსაც მხარში ვედექით და ახლა ვითხოვთ, რომ ყურადღება მოგვაქციონ. კალენდარში დღესასწაულების წითლით აღნიშვნა არაფერს ცვლის. ქალებს ეს დღე უნდა ეზეიმებოდეთ. ჩვენ ელემენტარულ ყურადღებას ვითხოვთ".**

# ცისკარიშვილი იწყებს

კახეთის რეგიონში ხე-ტყის უკანონო ბიზნესი, სარწყავი სისტემის ამოღება და მილების ჩალის ფასად გაყიდვა უკვე მასიურ სახეს იღებს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით კი, პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმა სპეციალური კომისია გამოყო, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით კონტროლს განახორციელებს.

**"ხშირად სარწყავი მაგისტრალი გამოუყენებელია, და სწორედ ამის გამო, სისტემის უკან ამოღება და ჯართის სახით ჩაბარება ხდება. ამჯერად კი ამას ბოლო უნდა მოეღოს. იმ შემთხვევაში, თუ მილები, მართლაც, გამოუყენებელია, დემონტაჟს და გაყიდვას ყველანაირი კანონის დაცვით ჩვენ მოვახდენთ და შემოსულ თანხას იმ სოფლებს მოვახმართ, რომელთაც წყლის პრობლემა აქვთ,"** - აცხადებს ცისკარიშვილი.

უშუალო კონტროლი კი გუბერნატორმა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსს ზურაბ ტუშურს დაავალა. **"უნდა გამკაცრდეს პატრულირება გზებზე და ყველა იმ ავტომანქანის შემოწმება მოხდეს, რომელიც ხე-ტყითა და ჯართით იქნება დატვირთული,"** - ამბობს ცისკარიშვილი.

საგულისხმოა, რომ ხე-ტყის უკანონო ბიზნესი ამ დროისთვის განსაკუთრებით თელავის და ახმეტის რაიონებშია გაშლილი. სავალალო მდგომარეობაა სოფელ ფშაველში. როგორც ცისკარიშვილი ირწმუნება, ხშირად ამ ყველაფრის უკან სამართალდამცავები დგანან, თუმცა, ჯერჯერობით, კონკრეტული პიროვნებების დასახელებისაგან თავს იკავებს.

**"მე ამ ადამიანების სახელებს არ გავახმოვანებ, რადგან კომისია უკვე იკვლევს მასალებს,"** - აცხადებს ცისკარიშვილი. იმის გამო, რომ კომისიის წევრებს ამ მეტად მომგებიან ბიზნესში ხელი არ წაუცდეთ, მათ გუბერნატორმა სოლიდური ანაზღაურება დაუნიშნა.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# თითქმის განგსტერული ისტორია

გურჯაანის რაიონი დღითიდღე განგსტერების სამფლობელოს ემსგავსება. გუშინწინ, საღამოს 11 საათზე, სოფელ ძირკოკში, ტეტოშვილების ოჯახზე თავდასხმა განხორციელდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. ბოროტმოქმედ ავთანდილ სონღულაშვილის ლიკვიდაცია თავად ოჯახის წევრებმა მოახერხეს.

**"შეღამებული იყო, როცა ავთომ დაიძახა. თავდაპირველად იგი ჩემს ქმარს უმიზეზოდ რაღაცას ედავებოდა, შემდეგ კი მან ორლულიანი თვითნაკეთი იარაღი ამოიღო და მას დაუმიზნა,"** - ამბობს ოჯახის დიასახლისი ნინო ტეტოშვილი.

თავდამსხმელმა ნიკოლოზ ტეტოშვილის და მისი ვაჟის, 19 წლის გოგის დაჭრა მაინც შეძლო. სწორედ ამის შემდეგ მოახერხეს ოჯახის წევრებმა თავდამსხმელის ლიკვიდაცია. **"ჩვენ არანაირი იარაღი არ გვქონდა. მხოლოდ ფიზიკური ანგარიშსწორებით და პურის საჭრელი დანით მოვახერხეთ მისი შეჩერება,"** - ამბობს ნინო ტეტოშვილი. მომხდართან დაკავშირებით რაიონის პროკურატურა, ჯერჯერობით, სხვა დეტალების კომენტირებისაგან თავს იკავებს. თუმცა, როგორც გამომძიებელმა გიორგი ყვირალაშვილმა გვითხრა, ავთანდილ სონღულაშვილი იმავე ოჯახზე თავდასხმისათვის იძებნებოდა.

**"ეს პიროვნება ტეტოშვილებს ჯერ კიდევ შარშან დაესხა თავს და ოჯახის უფროსი დაჭრა,"** - ამბობს ყვირალაშვილი.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ტეტოშვილების ოჯახსა და ავთანდილ სონღულაშვილს შორის დაპირისპირება რამდენიმე წელია, რაც გრძელდება. უთანხმოების მიზეზად კი ავთანდილ სონღულაშვილისა და გოგი ტეტოშვილის დაძაბული ურითერთობა სახელდება. ამ ფაქტს ნინო ტეტოშვილი არ უარყოფს:

**"ჩემს შვილს მასთან თავიდან ამხანაგური ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ როცა ავთო ქურდულ სამყაროს დაუკავშირდა, მას ჩამოვაშორეთ. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენსა და მას შორის დაპირისპირება."**

ამჟამად გოგი ტეტოშვილი მკერდის არეშია დაჭრილი და რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული. ოჯახის უფროსი ნიკოლოზ ტეტოშვილი, რომელმაც დამნაშავის ლიკვიდაცია მოახდინა, რაიონის პოლიციამ დააკავა. იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №66

*2004 წლის 4 მარტი ქ. თბილისი*

პ. მამრაძისათვის საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს პეტრე მამრაძეს დაეკისროს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსის მოვალეობის შესრულება სახელმწიფო კანცელარიის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებამდე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №67

*2004 წლის 5 მარტი ქ. თბილისი*

გ. ტყეშელაშვილის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი ტყეშელაშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №69

*2004 წლის 5 მარტი ქ. თბილისი*

ა. ხეთაგურის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ალექსანდრე ხეთაგური საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

## მოკლედ

### შესაძლოა, საბითუმო ბაზარმა სადავო თანხა სრულად დაფაროს

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილის სოსო ნატროშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით მისი ადვოკატი სასამართლოს უახლოეს ხანში მიმართავს. როგორც პატიმრის ადვოკატი გოჩა სვანიძე აცხადებს, საბითუმო ბაზარში უკვე აუდიტის დასკვნა მზადდება და ახალი ვითარების გამო იგი სასამართლოს ნატროშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართავს. ადვოკატის განმარტებით, ნატროშვილის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ არსებობს. "გამოძიება მას დეკლარაციაში დასაბეგრი ბრუნვის შემცირებას ედავება, რაც დანაშაულებრივი ნიშნების შემცველი არ არის," – აცხადებს სვანიძე. მისი თქმითვე, ბაზარში შემოსავლების დაფარვის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ადვოკატი გენერალურ პროკურატურას ნატროშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის განცხადებითაც მიმართავს.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ინფორმაციით, სადავო თანხა გენერაციის ობიექტების დასაფინანსებლად არის მიმართული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, შესაძლოა, საბითუმო ბაზარმა ნატროშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ სადავო თანხა სრულად დაფაროს. როგორც თბილისის პროკურატურაში განაცხადეს, მხოლოდ სადავო თანხის გადახდის შემდეგ გამოძიებას აქვს უფლებამოსილება, იმსჯელოს პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ.

*ინტერ-პრესი*

### გსეკ-ი გულგრილობაზე ჩივის

რუსთავში მრიცხველების მოპარვის ფაქტები გახშირდა. ამ საკითხზე სამართალდამცველთა ყურადღება "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) არაერთხელ გაამახვილა. ამასთან დაკავშირებით, კომპანიის რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღის წინ ოფიციალური წერილითაც მიმართა როგორც პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლის მხარეში და ქალაქის მერს, ასევე ყველა სამართალდამცველ ორგანოს.

მიუხედავად ამისა, მრიცხველების მოპარვის ტენდენცია არ შესუსტებულა. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზი გსეკ-ის პრობლემების მიმართ პოლიციის გულგრილობაა. **"ქურდობა გრძელდება: დღეში, დაახლოებით, 20-30 მრიცხველს იპარავენ,"** – აკონკრეტებენ კომპანიაში და უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამენ ქურდობის გამო. **"კომპანია კიდევ ერთხელ მიმართავს თხოვნით სამართალდამცველ ორგანოებს, დროულად მოახდინონ რეაგირება მოპარული მრიცხველების ფაქტებზე, რადგან ყოველივე ეს ხელს უშლის მოსახლეობის გამრიცხველიანების პროექტს, რომელიც ელექტროენერგიით მომარაგების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს,"** – ნათქვამია მიმართვაში, რომელიც გსეკ-ის რუსთავის ფილიალმა სამართალდამცველებს გაუგზავნა.

*24 საათი*

### საკრებულო - არასამთავრობოები

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი აგრძელებს თავისი წინამორბედის მიერ შემოღებულ ტრადიციას და თვეში ერთხელ მზადაა, ანგარიში ჩააბაროს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და "ფართო საზოგადოებას".

ზაზა ბეგაშვილს ამ პოსტზე ორთვიანი ყოფნის მანძილზე გაკეთებული საქმეებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თავის მოწონება და მათი კეთილგანწყობის მოპოვება არ გამოუვიდა. გუშინ იგი საკრებულოსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს იმ მიზნით შეხვდა, რომ გაკეთებულ საქმეებზე ანგარიში წარედგინა, სამოქმედო გეგმები გაეცნო და დედაქალაქისთვის საჭირო საკითხებზე მათი მოსაზრებებიც მოესმინა. თუმცა, ასეთი ფორმატით დაგეგმილი შეხვედრა ხმაურს ვერ ასცდა. მწვავე პროტესტი კი არასამთავრობო ორგანიზაციის "ვაკის გონივრული განვითარების" წევრების მხრიდან გაისმა. მათი განცხადებით, არც ისე კარგად მიდის იმ ქალაქის საქმე, რომელსაც არ ჰყავს მთავრობა და არ აქვს ბიუჯეტი. ორგანიზაციის მონაცემებით, ბევრი თბილისელი აღშფოთებულია იმის გამო, რომ ისინი არა თუ საკრებულოს თავმჯდომარესთან, არამედ საკრებულოს რიგით წევრებთანაც ვერ ახერხებენ შეხვედრას. "ნოემბრის რევოლუციის შედეგებით ხალხი იმედგაცრუებული და ხელჩაქნეულია," - ასეთი შეტყობინება მიიღო გუშინ ბეგაშვილმა "ვაკის გონივრული განვითარებისაგან". **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ვალერი ლოშჩინინთან მოსკოვში გამართული შეხვედრით კმაყოფილია და იმედს გამოთქვამს, რომ შემოდგომისთვის დაგეგმილი, რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ხელსაყრელი პოლიტიკური კლიმატი შეიქმნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის საელჩოს კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, გუშინ დილით, 6-დან 7 საათამდე აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 სამხედრო ბაზის ტექნიკამ გუშინდელი მარშრუტი გაიმეორა, ბათუმი-ხელვაჩაურისა და ბათუმი-სოფელ ახალშენის მაგისტრალზე პოზიციები დაიკავა და შემდეგ დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდა. "ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის მონაცემებით, ბათუმი-ხელვაჩაურის მაგისტრალზე 12 ერთეული მძიმე ტექნიკა და საარტილერიო დანადგარები გადაადგილდა. მისივე ინფორმაციით, ანალოგიური განმეორდა ბათუმი-ახალშენის მაგისტრალზე, რომელზეც, გუშინდელის მსგავსად, 6 ერთეული ტანკი გადაადგილდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. პირველი წინასაარჩევნო შეხვედრები მან გურჯაანის რაიონის სოფლებში გამართა, სადაც მთელი დღის განმავლობაში შეხვედრები ჰქონდა კაჭრეთის, არაშენდას, ბაკურციხის, კარდენახის, ვეჯინის, ახაშენის, ველისციხის, შაშიანის და კალაურის მოსახლეობასთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი გურამ შარაძე ხელისუფლებისგან საპარლამენტო არჩევნების ივნისამდე გადადებას კატეგორიულად მოითხოვს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასლან აბაშიძის და შალვა ნათელაშვილის მოთხოვნებს უერთდება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აბაშიძე ცენტრს იწვევს

პირველი გვერდიდან

"აღორძინება" ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს – ეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურ-პრეზიდენტ-მთავარსარდლის საყვარელი წინასაარჩევნო ტაქტიკაა, რითაც იგი ცენტრს გულს უხეთქავს ხოლმე. ცენტრის შესაშინებლად აბაშიძეს თავის არსენალში კიდევ არაერთი, ასევე კარგად აპრობირებული მეთოდი აქვს – მაგალითად, ცენტრალურ ბიუჯეტში თანხის არგადარიცხვა, აჭარაში განლაგებული რუსული სამხედრო ტექნიკის აჭარის ტერიტორიაზე "გეგმიური" გასეირნება და ა.შ. აღნიშნული მეთოდები ისე კარგად მუშაობდა ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში, რომ ამ უკანასკნელმა "ურჩ ფეოდალს" აჭარის ერთპიროვნული მართვა-გამგეობა ლამის დაუკანონა.



ვახტანგ კომახიძე სამართალს თვითმხილველებთან ეძებდა.

შევარდნაძე უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მისმა მმართველობამ საქართველოს მემკვიდრეობად დაუტოვა აჭარის პატარა, მაგრამ უძლეველი დიქტატორი. დღეს საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამტკიცებს, რომ აჭარაში აბაშიძის ერთპიროვნულ დიქტატურას არ დაუშვებს. თუმცა, სააკაშვილის ეს განცხადება ვერ გახდა ყურადსაღები მუქარა ვერც აბაშიძისთვის და ვერც მისი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისთვის. აჭარაში დღესაც ისეთივე წარმატებით იდევნება თავისუფალი აზრი, როგორც შევარდნაძის დროს. აჭარის მეთაურის "მომხრეები" დღესაც უმოწყალოდ სცემენ ჟურნალისტებს, თანაც ეს ყველაფერი "კანონიერად" ხდება – პოლიციის თანდასწრებით.

ერთადერთი, რაც შევარდნაძის მმართველობის შემდეგ შეიცვალა, ეს საზოგადოებრივი აზრია. აჭარაში მაინც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს ასლან აბაშიძეს სურს – ერთ დროს აღიარებულ ჭეშმარიტებად ქცეული ამგვარი მოსაზრების დღეს უკვე აჭარაშიც აღარ სჯერათ.

არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში, "აღორძინებას" ძალიან გაუჭირდება 28 მარტს შვიდპროცენტიანი ზღვრის გადაბიჯება და ეს ყველაზე უკეთ თავად ამ პარტიის ლიდერმა უწყის. აბაშიძე დღეს აგონიაშია, სწორედ ისეთში, როგორც თავის დროზე შევარდნაძე იყო, როცა ბათუმში გამართულ მიტინგს ესწრებოდა და სენაკელ ძროხებს "ეთამაშებოდა". საპარლამენტო არჩევნები "აღორძინებისა" და აბაშიძისთვის არაპირდაპირი რეფერენდუმია.

დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ აბაშიძე წინასაარჩევნოდ სიტუაციის არევას ცდილობს. **"ბუნებრივია, აბაშიძე ცდილობს, იმდენად არიოს სიტუაცია, რომ არჩევნებში მისი დამარცხება ფიქსირებული არ იყოს. ამიტომ არის, რომ იგი ხან ორჭოფულ განცხადებას აკეთებს მოსკოვში - არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებო, მერე ამბობს, რომ – არა, ეს საპრეზიდენტო არჩევნებს ეხებოდაო. მან იცის, რომ ბარიერის გადამლახველი არ არის. ცხადია, იგი ცენტრალური ხელისუფლების პროვოცირებას ცდილობს, ტანკების გამოყვანასაც არ ერიდება. ბუნებრივია, რომ ვინც ოაზისში დისლოცირებული მისი ბანდიტების შესახებ ინფორმაციას გამოიტანს, მას იგი განსაკუთრებით გაუსწორდება... არის მეორე მომენტიც - კიდევ ერთი მცდელობა, რომ გაურიგდეს ხელისუფლებას - მე ვიქნები თქვენი მოხარკე, ვიქნები თქვენი ვასალი... ოღონდ დამტოვეთ აჭარის მმართველად და ცენტრალურ ხელისუფლებაში წილი არ მინდა. ეს მისი მცდელობაა, მაგრამ გარიგებას ორი მხარე სჭირდება და მეორე მხარე ამ გარიგებაზე არასოდეს არ წავა,"** – აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე თვლის, რომ აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტის პროვოცირებაზე მიდის. **"თუმცა, ამავე დროს, აბაშიძემ იცის, რომ შეიარაღებული შეტაკების პროვოცირება მისთვის კატასტროფაა. ის ცდილობს, უბრალოდ, ძალის დემონსტრირება მოახდინოს და ამით საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება დააშანტაჟოს. მისი ქმედებები გამიზნულია, როგორც შემაკავებელი ფაქტორი,"** – აცხადებს დიასამიძე. მისი თქმით, "აღორძინების" არჩევნებში არმონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ აჭარის ავტონომია, რომლის პარტიაცაა "აღორძინება", საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. **"საპარლამენტო არჩევნების ბოიკოტირებით აჭარას არ ეყოლება თავისი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში, რითაც იგი უარს აცხადებს, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში. ეს არის არაპირდაპირი პოლიტიკური ბოიკოტი სახელმწიფო სუვერენიტეტის მიმართ. ანუ, ეს არის დაშინება და ერთგვარი მუქარა. აბაშიძეს აინტერესებდა, როგორ მიიღებდნენ ამ მუქარას პოლიტიკური წრეები, ხელისუფლება, საზოგადოება. იგი რეაქციებს ელოდება, ამოწმებს თითოეულ ნაბიჯს. იგი დღესაც სერიოზულად ფიქრობს, მიიღოს თუ არა არჩევნებში მონაწილეობა..."** – აღნიშნავს დიასამიძე.

დავით ბერძენიშვილის აზრით, ცენტრალური ხელისუფლება აბაშიძის მიმართ სწორ პოლიტიკას ახორციელებს. **"არა მგონია, არჩევნების წინ სხვაგვარი პოლიტიკა იყოს საჭირო. ყველაფერს თავისი დინამიკა აქვს. ოპოზიცია აჭარაში ძალიან მძლავრია, ამიტომ ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე, არჩევნების გზითაც შესაძლებელი იქნება აბაშიძის დამარცხება. თუ დამარცხებული აბაშიძე აღვირახსნილ ქმედებებს გააგრძელებს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მას რაც შეიძლება ძლიერად უნდა ამოსდოს აღვირი,"** – აღნიშნავს ბერძენიშვილი.

# "ნაციონალები" საარჩევნო პროგრამას ამზეურებენ



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ნაციონალებმა" წინასაარჩევნო ფორმალობა დაიცვეს.

პირველი გვერდიდან

მმართველი ძალის წარმომადგენლები მაინც საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ფორმალობა დაიცვან და საზოგადოებას თავისი გუნდის სამოქმედო გეგმები გააცნონ.

გუშინ, სასტუმრო "მარიოტში", მაია ნადირაძემ და მიხეილ მაჭავარიანმა "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პროგრამის პრეზინტაცია მოაწყვეს. პროგრამა ხუთწლიანია. მისი სახელწოდებაა "ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის - ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროატლანტიკური გზით" (ამ დოკუმენტს დეტალურად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს გააცნობს მეწარმეებს).

მაია ნადირაძის თქმით, ახალი ხელისუფლება თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დღემდე არსებული სისტემის ნგრევას ისახავს, რომელიც, თავის მხრივ, კორუფციის "ძლევამოსილებაზე" იყო დაფუძნებული.

**"კორუფციასთან ბრძოლით უნდა დავიწყოთ, თორემ რეფორმებსა და ქვეყნის წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. კორუფციასთან ბრძოლის დროს თანმიმდევრულები ვიქნებით, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ვინმეს ნიღბიანი ხალხის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები",** - აცხადებს ნადირაძე.

მეორე ძირითადი მიმართულება, რომელსაც "ნაციონალების" საარჩევნო პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი, დღეს არსებული საგადასახადო სისტემის შეცვლაა. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ნორმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ეკონომიკური გარემო მოკლე პერიოდში საგრძნობლად გაჯანსაღდება და ბიუჯეტის შესრულება პრობლემატური აღარ იქნება.

მიხეილ მაჭავარიანის თქმით, ბიზნესმენები ითხოვენ არა იმდენად საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, რამდენადაც კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და ჩრდილოვანი ბიზნესის ლეგალიზებას.

ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ მთავრობასა და პრეზიდენტს საკმაოდ ამბიციური და პრეტენზიული გეგმები აქვთ და მათი რეალიზება უკვე დაწყებულია. მისი განცხადებით, წინა წლების დავალიანებების დასაფარად ხელისუფლება 70 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს. აქედან 38 მილიონი მოხმარდება საპენსიო დავალიანებების გასტუმრებას, 18 მილიონი საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალების დაფარვას, 8 მილიონი კი ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში არსებული დავალიანების "სალიკვიდაციოდ" იქნება მიმართული. რაც შეეხება ლტოლვილთა შემწეობების დავალიანებას, მისი ოდენობა დაზუსტებული არ არის და უახლოეს თვეებში დადგინდება.

**"რომ არა წარსულის მძიმე ტვირთი, პენსიებისა და ხელფასების ზრდა უფრო სწრაფი ტემპით მოხდებოდა,"** - შენიშნავს მაჭავარიანი, რომლის თქმითაც, საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის გათანაბრების იდეაც არ არის მივიწყებული და მისი რეალიზების დაწყება უკვე მიმდინარე წლის ბიუჯეტით იქნება გათვალისწინებული. "დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი იმასაც დასძენს, რომ მალე დაიწყება თვითმმართველობის სფეროს რეფორმირების პროცესიც.

საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე აღინიშნა ისიც, რომ რეფორმები ადამიანთა გარკვეული კატეგორიის სამსახურებიდან გათავისუფლების აუცილებლობას წარმოშობს და ამ პრობლემის მოგვარების გასაიოლებლად აუცილებელი იქნება გადამზადების ქსელის შექმნა. მაჭავარიანი და ნადირაძე ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში საქართველოს მეგობარი ქვეყნები დაეხმარებიან.

გუშინდელი პრეზენტაცია კონრად ადენაუერის ფონდის ინიციატივით გაიმართა.

# პრეზიდენტმა აბაშიძეს გამოძიებისთვის 10 დღე მისცა

პირველი გვერდიდან

**- იმედი მაქვს, რომ ავტონომიის მეთაური შეასრულებს პრეზიდენტის დავალებას,** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, - **წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურას მოვთხოვ აღძრას საქმე ყველა იმ თანამდებობის პირის წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებით თუ უმოქმედობით, მსგავსი პრეცედენტები ხდება. თუ ვერ პოულობენ კონკრეტულ დამნაშავეებს, მაშინ თავად უნდა აგონ პასუხი საქართველოს კანონმდებლობის წინაშე. არ დავუშვებთ იმას, რომ ქვეყანაში ძველებურად იყოს განუკითხაობა.**

მიხეილ სააკაშვილმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უშიშროების სამინისტრო უნდა გაუქმდეს. მას მიაჩნია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს უწყება საქართველოს წინააღმდეგ ჯაშუშობს.



პრეზიდენტი ლოიალურია, მაგრამ მომთხოვნი.

საქართველოს პრეზიდენტი ქუთაისში განხორციელებულ ოპერაციასაც შეეხო. მან სამძიმარი გამოუცხადა კრიმინალებთან შეტაკებისას დაღუპული მოქალაქისა და პოლიციელების ოჯახებს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დამნაშავეთა სამყაროს უკომპრომისო ბრძოლას უცხადებს.

**- სამართალდამცავი სტუქტურები კვლავაც იმუშავებენ და თითოეული კრიმინალი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება, თუმცა მათ უფლებებსაც დავიცავთ. ჩვენ საქართველოში წესრიგს დავამყარებთ!** - განაცხადა მან.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# რას უქადის ქვეყანას უშიშროების სამინისტროს დეპროფესიონალიზება

პირველი გვერდიდან

**და როდესაც სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ქუჩაში აგდებს და ყოველგვარი სამართლიანი პრინციპების გარეშე ტოვებს ქუჩაში, ფაქტად ის ხდება მისი მოწინააღმდეგე. სახელმწიფოსთვის, ქვეყნისთვის ეს არის დამაზარალებელი," -** ფიქრობს ირაკლი ბათიაშვილი.

ამავე მოსაზრებას იზიარებს დამოუკიდებელი ექსპერტი, დავით ბაზღაძე, რომელიც მინისტრის მოადგილის რანგში 3 წლის წინ უშიშროების სამინისტროს რეფორმირების გეგმაზე მუშაობდა. გეგმის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მომხდარიყო უშიშროების სამინისტროს ბაზაზე თანამედროვე სპეცსამსახურის ჩამოყალიბება და იგი გათავისუფლებულიყო ეკონომიკური დანაშაულების გამოძიების ფუნქციისაგან. დავით ბაზღაძე ამბობს, რომ იგი მხარს უჭერდა "ვარდების რევოლუციას", მაგრამ არასპეციალისტებით უშიშროების სამინისტროს გაჯერებამ შესაძლოა, უწყებაში ოპერატიული საქმიანობა ჩაშალოს: **"უშიშროების თანამშრომლების საქმიანობაა ინფორმაციის მოპოვება. მათ უნდა მოეპოვებოდეთ ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნებისმიერ ასპექტს. ესე იგი, უნდა მოიპოვონ, გაიაზრონ ეს ინფორმაცია და შესთავაზონ სადაზვერვო პროდუქტი უმაღლეს ხელისუფლებას. ამის გამკეთებლები, მე ვფიქრობ, არიან პროფესიონალები. ამას სწავლა სჭირდება."**

ნაკლებადპესიმისტურად არის განწყობილი უშიშროების სამინისტროში მიმდინარე ცვლილებებზე ექსპერტი დავით დარჩიაშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ უშიშროების სამინისტროს მუშაკთა ის გამოცდილება, რაზეც აპელირება კეთდება, არ არის შესაფერისი ახალი საქართველოსთვის.

**"მე ამ ხელისუფლების ქმედებები რაღაც შეკითხვებს აღმიძრავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ შეშფოთებას მე ცალსახად ვერ შევუერთდები. იმიტომ, რომ ის გამოცდილება, რაც უშიშროების სამინისტროში იყო, არ არის შესაფერისი ახალი საქართველოსთვის. სრულიად გამოუცდელობაც, რასაკვირველია, ასევე საშიშია, მაგრამ ამ გარდამავალ ეტაპზე, თუ მოხერხდა ურთიერთობა დასავლეთის სტრუქტურებთან, კარგი ხალხი უნდა შეირჩეს და გაიგზავნოს სასწავლებლად. თავიდან არის ეს სტრუქტურა ასაშენებელი."**

ამასთან ექსპერტებს, არც იმის გახსენება ავიწყდებათ, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტრო დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის ყველაზე საშიშ უწყებად სწორედ პროფესიონალ იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს იქცა. ფაქტობრივად, ეს იყო "სახელმწიფო სახელმწიფოში" – რუსეთის ჯარების დაჯგუფების ხელმძღვანელობისგან საჩუქრად მიღებული მძიმე საბრძოლო ტექნიკით, მუხროვანის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფითა და ძლიერი აგენტურული ქსელით. თუ რითი დამთავრდა ამ უკონტროლო პროფესიონალის მოღვაწეობა, ყველამ კარგად იცის. პროფესიონალებს "დათვური სამსახური" გაუწიეს სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების იმ თანამშრომლებმაც, ვინც ოფიცრისთვის შეუფერებელი დემარში მოუწყვეს ცენტრის მიერ დანიშნულ ახალ უფროსს.

და მაინც, ქვეყანა, შესაძლოა, მეორე უკიდურესობის წინაშე აღმოჩნდეს, თუკი უშიშროების სამინისტრო საერთოდ პროფესიონალი კადრების გარეშე დარჩება. საჭიროა გონივრული საკადრო ბალანსი, რაც სრულიად შესაძლებელია იმ ბირთვის შენარჩუნებით, რომელმაც მომზადება დასავლეთის სპეციალურ სასწავლებლებში გაიარა.

# მთავრობა, ჭერჭეროებით, საგადასახადო ამნისტიას არ აპირებს

## დღეს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ბიზნესმენებს შეხვდებიან

*"საუბარი არ არის საგადასახადო ამნისტიაზე. საქმე ეხება ბიზნესთან თანამშრომლობას... რაც წინა პერიოდში ბიზნესში ხდებოდა, მნიშვნელოვანწილად მაშინდელი მთავრობის ბრალი იყო," - ასეთი კომენტარი მისცა პრესას ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და მთავრობის დანარჩენმა წევრებმა პირველი მოსმენისთვის განიხილეს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი დამალული საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირების შესახებ და მასში უმნიშვნელო სახის ცვლილებები შეიტანეს.*

ვერიკო თევზაძე

როგორც სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ირაკლი გეგეშიძემ ჟურნალისტებს განუცხადა (გეგეშიძე გუშინდელ სხდომაზე მეწარმეთა ინტერესებს იცავდა), ბიზნესმენებმა პირველ ივლისამდე უნდა წარმოადგინონ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დამალული გადასახადების დეკლარაცია. ხსენებული გადასახადების დეკლარირების შემთხვევაში, სახელმწიფო მეწარმეს მილიონ დოლარს პატიობს. რაც შეეხება მილიონს ზემოთ თანხას, მას გადაიყვანენ რესტრუქტურიზაციის რეჟიმში, რომელიც რესტრუქტურიზაციის შესახებ კანონის შესაბამისად განხორციელდება.

პროექტის მუშა-ვარიანტის მიხედვით, მეწარმეებს პირველი შესატანი 10 პროცენტის ოდენობით დაუწესეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმე 2004 წლის ბოლომდე, ექვსი თვის განმავლობაში გადაიხდის დამალული გადასახადების 10 პროცენტს.

ბიზნესმენთა მიერ წარდგენილ დეკლარაციებს განიხილავს სპეციალური კომისია, რომელშიც შევლენ ფინანსთა, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლები. ერთი თვის განმავლობაში გადაწყდება დეკლარაციების სანდოობის საკითხი.

იმ მეწარმეებზე, რომელთა მიმართ გადასახადების გადაუხდელობის გამო უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, კანონი დამალული საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირების შესახებ არ გავრცელდება.

ირაკლი გეგეშიძის აზრით, დამალული გადასახადების დეკლარირების პარალელურად, აუცილებლად უნდა მოხდეს საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზება, გაუმჯობესდეს ადმინისტრირება და ყველა მეწარმე თანაბარ პირობებში ჩადგეს.

გუშინ მთავრობის წევრები თავს იზღვევდნენ და განმარტავდნენ, რომ დამალული საგადასახადო ვალდებულებების შესახებ კანონპროექტი დამუშავების პროცესში იმყოფება და მისი ბევრი დეტალი თუ ნიუანსი კვლავაც დასაზუსტებელია.

დღეს პრეზიდენტი საკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ქართველ ბიზნესმენებს შეხვდებიან. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებიით, იმავდროულად მოეწყობა ხსენებული კანონპროექტის პრეზენტაცია - სააკაშვილი და ჟვანია საზოგადოებას კანონპროექტს დეტალურად გააცნობენ.

# რომან დალაქიშვილი: "წლეულს, საქართველოს საგზაო ფონდი 11 მილიონი ლარით შემცირდება"

*საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ საგადასახადო ლიბერალიზაცია რამდენიმე გადასახადის, მათ შორის – 1-პროცენტიანი საგზაო გადასახადის გაუქმებით დაიწყო. გაუქმება ძალაში 1 ივლისს შედის. ცხადია, საგზაო დეპარტამენტის შეფი ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებს და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად 2004 წლის ორი თვის ბიუჯეტის შესრულების ციფრები მოჰყავს:*

დიანა ჩაჩუა

სახელმწიფო საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის რომან დალაქიშვილის ინფორმაციით, სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმა 2004 წლის პირველ ორ თვეში 131,3 პროცენტით შესრულდა, **"გეგმით გათვალისწინებული 6 მილიონ 559 ათასი ლარის ნაცვლად, 8 მილიონ 613,9 ათასი ლარია მობილიზებული. ეს გასული წლის, შესაბამისი პერიოდის, ანალოგიურ მაჩვენებელს 2 მილიონ 880,5 ათასი ლარით აღემატება,"** - აღნიშნა დალაქიშვილმა.

შარშანდელთან შედარებით, გაზრდილია, აგრეთვე, ყველა იმ გადასახადის ამოღება, რომლითაც საგზაო ფონდი ივსება. მათ შორის, საავტომობილო ბენზინის აქციზით მიღებული გადასახადის ამოღება 55 პროცენტით გაიზარდა, საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადის - 58.7 პროცენტით, რიკოთის გვირაბით სარგებლობის კი - 92 პროცენტით.

**"წელს გადასახადების ზრდა, ერთი მხრივ, გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესებით და, მეორე მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით არის გამოწვეული. გადამხდელებმა მეტი აქტიურობა და დისციპლინა გამოიჩინეს, რამაც საგზაო ფონდის ნარჩენი დავალიანებების ამოღების მაჩვენებლებიც გააუმჯობესა,"** - განაცხადა დალაქიშვილმა.



დალაქიშვილი ისევ საგზაო გადასახადის გაუქმებას აპროტესტებს.

ამასთან, მისი თქმით, წლეულს, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს საგზაო ფონდი 11 მილიონი ლარით შემცირდება, ანუ 58 მილიონი ლარის ნაცვლად, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, საგზაო ფონდში სულ 46.7 მილიონი ლარი იქნება მობილიზებული. ეს შარშანდელ მაჩვენებელზე 8 მილიონი ლარით ნაკლები იქნება, განაცხადა დალაქიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში. მას ეს გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია და შეეცდება, საკუთარი აზრის სისწორეში მთავრობაც დაარწმუნოს.

**"მსოფლიო ბანკის ექსპერტების გათვლებით, საავტომობილო გზების მოწესრიგებისთვის 500 მილიონი დოლარია საჭირო, ხოლო ყოველწლიურად მათი მოვლა-შენახვისა და შეკეთებისთვის კიდევ 90 მილიონი დოლარი უნდა დაიხარჯოს,"** - აცხადებს დალაქიშვილი. მისივე თქმით, სახელმწიფო საგზაო ფონდს, გასულ ორ თვეში, 7 398 600 ლარის ხარჯები აქვს გაწეული, ხოლო გასული წლების დავალიანებები 550 ათას ლარს შეადგენს.

**"თუ გადასახადების ამოღება დღევანდელი ტემპით გაგრძელდება, წლის ბოლომდე საგზაო ფონდში 30 მილიონ ლარამდე იქნება მობილიზებული, რაც ბოლო წლების განმავლობაში საუკეთესო მაჩვენებელი იქნება,"** - აღნიშნა თავმჯდომარემ.

დეპარტამენტის რეორგანიაზაციასთან დაკავშირებით დალაქიშვილი აცხადებს, რომ **"დეპარტამენტში რეორგანიზაცია მოხდება, რაც დეპარტამენტის ფუნქციების ოთხ ნაწილად გაყოფას გულისხმობს. პირველის შესრულებას ინფრასტრუქტურის სამინისტრო უზრუნველყოფს, მეორის - ფინანსთა სამინისტრო, მესამის - საგზაო დეპარტამენტის ადმინისტრაცია, და მეოთხეს რაც შეეხება, დეპარტამენტის ფარგლებში უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ფინანსთა სამინისტროების და არასამთავრობოების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება."**

# სომხეთის საკომუნიკაციო ბაზარზე რუსეთი შედის

ანი გახარია

სომხეთის საკომუნიკაციო ბაზარზე, როგორც ჩანს, მონოპოლიური გარემო ირღვევა. სააგენტო "რეგნუმის" ინფორმაციით, უკვე გამოჩდნენ დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი ჩადებენ სათანადო ინვესტიციებს (იგულისხმება ათეულობით მილიონი დოლარი) და რამდენიმე თვეში უზრუნველყოფენ მთელ სომხეთს ადვილად მისაწვდომი, იაფფასიანი და ხარისხიანი ფიჭვური სისტემით.

ერთ-ერთი მათგანი არის სომხურ-რუსულ-ამერიკული კომპანია "Звезда", რომელიც მზადაა, განახორციელოს ფრანგული კოპანია "ალკატეპის" მიერ შემუშავებული საინვესტიციო პროგრამები 60 მილიონი ევროს მასშტაბით, რითიც შესაძლებელი გახდება ამ ქსელებით სასომხეთის ტერიტორიის 95%-ის უზრუნველყოფა.

ბიზნესგეგმის მიხედვით, ეს პროგრამა 9 თვის განმავლობაში სამ ეტაპად უნდა განხორციელდეს და, შესაბამისად, მილიონ 200 ათასი აბონენტი უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტარიფი არსებულ ტარიფთან შედარებით გაცილებით დაბალი იქნება, ქსელში ჩართვა და შიდაქსელური მომსახურება უფასო იქნება, წუთობრივი გადასახადი მხოლოდ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გაკეთებულ ზარებზე დაწესდება და 15 ცენტი ეღირება, ყოველთვიური გადასახადი კი 10 დოლარი იქნება. კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი ტექნიკური სამუშაოები და კადრების შერჩევა.

კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას რუსულ კომპანია "როსტელეკომთან", რომელიც ასევე დაინტერესებულია სომხეთის ბაზრით. მაგრამ ამ პროექტის განხორციელება და სამომავლო ინვესტიციების გაკეთება ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გააწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო გარჩევეა სომხეთის მთავრობასა და ბერძნულ სატელეკომუნიკაციო კომპანია OTE-ს შორის. კომპანია მთავრობას მონოპოლიური ლიცენზიების პირობების დარღვევაში სდებს ბრალს. გამორიცხული არაა, რომ საარბიტრაჟო სასმართლომ დააკმაყოფილოს კომპანიის სარჩელი 300 მილიონი დოლარის მასშტაბით. კოპანიისთვის მობილური კავშირგაბმულობის მინოპოლიის ჩამორთმევისგან მთვარობა სწორედ ამიტომ იკავებს თავს.

*თვალსაზრისი*

# ბლეფი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ უნდა ავიყვანოთ

"საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის კურსის არა კორექტირება, არამედ შეცვლა"

*საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა მიმდინარე წლის 24 თებერვალს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალ მთავრობას აქვს ქვეყანაში ეკონომიკის რეფორმირების თავისი გეგმა. მინისტრის ასეთმა განცხადებამ მიკარნახა, გამოვსულიყავი პრესაში ეკონომიკური რეფორმის შესახებ ჩვენი მოსაზრებებით.*

ვალერიან ადვაძე
*მოსკოვი*

### რატომაა სიღარიბის დაძლევის პროგრამა უტოპიური?

ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს ეკონომიკის მინისტრის ზემოაღნიშნული განცხადება: "ახალ მთავრობას აქვს ქვეყანაში ეკონომიკის რეფორმირების თავისი გეგმა". სასურველია, ვიცოდეთ - ეკონომიკის რეფორმირების რა გეგმა აქვს ახალ მთავრობას. იგი გაგრძელებაა უცხოური რეკომენდაციებით ჩვენს მოსახლეობაზე ექსპერიმენტისა და ნგრევისა (ცხადია, თუ კი დარჩა კიდევ რამე დასანგრევი ქვეყანაში), თუ ახალი რამაა?

იმედად მრჩება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბოლო პერიოდის განცხადებები: "საქართველო აპირებს, ითანამშრომლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მაგრამ არ აპირებს, ბრმად შეასრულოს ამ ორგანიზაციის ყველა რეკომენდაცია".

1996 წლის ზაფხულში ჩემ მიერ ასეთი აზრების გამოთქმისათვის ქვეყნის ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელებმა სამშობლოს სამსახურიდან ჩემი "გამოწვევა" მოითხოვეს.

მიმდინარე წლის 24 თებერვალს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ბატონმა ეკონომიკის მინისტრმა აგრეთვე თქვა, რომ ახალი მთავრობა ქვეყანაში ეკონომიკის რეფორმირების თავისი გეგმის საფუძველზე, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მოქმედი ცალკეული პროგრამების, აგრეთვე წინა მთავრობის მიერ შემუშავებული "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის ზრდის ეროვნული პროგრმის" გამოყენებით შეიმუშავებს ახალ დოკუმენტს: "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას".

რა იქნება ამ პროგრამაში? ხომ არ განმეორდება იგივე, როცა ექსპრეზიდენტი ვარდისფრად ხატავდა ქვეყანაში ვითარებას და გვპირდებოდა მილიონ სამუშაო ადგილს, ეკონომიკის აყვავებას და იმას, რომ სულ მალე საქართველო მსოფლიოში იქნება ერთადერთი უნიკალური სახელმწიფო, სადაც "აღარ იქნებიან ღარიბები, იქნებიან მხოლოდ მდირები და ძალიან მდიდრები".

სწორედ ამასთან დაკავშირებითაც მსურს საუბარი; კერძოდ. საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ზემოაღნიშნული გახმაურებული პროგრამის შესახებ, რომლის პრეზენტაცია მან ჯერ კიდევ გასული წლის 12 ივნისს მოახდინა. მაშინ მომხსენებელმა ახსენა ციფრი 3 მლრდ დოლარი, რაც დასჭირდებოდა "პროგრამის ცხოვრებაში გარდაქმნას".

17 ივნისს შედგა მთავრობის სხდომა უკვე დასავლეთის ქვეყნების ელჩებისა და "მრავალ სხვათა" მონაწილეობით. პრეზიდენტს წარედგინა "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის ზრდის ნაციონალური პროგრამა, 2003-2015 წწ.". აქ უკვე განსხვავება მხოლოდ დამსწრეთა რაოდენობასა და "ხარისხში" არ იყო. "პროგრამის" შესახებ მოხსენებაში გამოჩნდა მისი შესრულებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებათა ახალი მაჩვენებელი - 3 800 მლნ დოლარი.

ბოლოს, როგორც ითქვა, ქართველი ეკონომისტების, გაერო-ს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ შემუშავებული ამ ამბიციური პროგრამის საბოლოო განხილვა და დამტკიცება მოხდა 25 ივნისს, მთავრობის სხდომაზე. ითქვა ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე პროგრამა შესრულდება ეტაპობრივად; კერძოდ, უახლოესი სამი წლის მანძილზე პროგრამის ღონისძიებათა საერთო ღირებულება განისაზღვრა 4, 27 მლრდ ლარით. ამ თანხის 75 პროცენტი დაიხარჯება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 25 პროცენტი კი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ქვეყნების მიერ.

ამრიგად, 2004-2006 წლებში პროგრამის შესრულებისათვის საქართველოს უნდა დაებანდებინა აღნიშნული თანხის 75 პროცენტი ანუ 3 202, 5 მლნ ლარი. საშუალოდ წლიურად - 1 067, 5 მლნ ლარი, ე. ი. საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მთლიანად. ეს ხომ ფანტაზიაა!!! გრანდიოზული გეგმა ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე არის ქაღალდზე გაწერილი კეთილი სურვილები და ციფრები. აი, "რეალურობა" საქვეყნოდ გახმაურებული და რეკლამირებული პროგრამისა.

საიდან მიიღებდა საქართველო აღნიშნულ კაპიტალდაბანდებებს, როცა საქართველოს საგარეო ვალი 2 მლრდ დოლარს აღწევდა; ქვეყანა არათუ ვადადამდგარი ვალების დაბრუნებას ვერ ახერხებდა, არამედ მათზე სარგებელსაც ვერ იხდიდა; სავალუტო ფონდს შეწყვეტილი ჰქონდა საქართველოსთან ურთიერთობა და ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ კრედიტორების პარიზის კლუბში საქართველოს მხარს არ დაუჭერდა ვალების რესტრუქტურიზაციაში, რასაც მოჰყვებოდა ჩვენში დეფოლტი; მთავრობა თავის მოქალაქეებს ვერ უხდიდა 1998 წლიდან დარჩენილ გაუცემელ პენსიებსაც კი; მასწავლებლებს უკანასკნელი ორი თვის (რიგ რაიონებში კი 8 თვის) ხელფასი არ ჰქონდათ მიღებული და მათ ვერ აძლევდნენ აგრეთვე შვებულების ფულს; სახელმწიფო ვერ ფარავდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სინათლის, წყლის და სხვა ხარჯებს, ხოლო საავადმყოფოებს კი სინათლეს და წყალს უთიშავდნენ. ერთი სიტყვით, ქვეყანა ფინანსურად (და დღესაც არის) გაკოტრებულია.

გარდა ამისა, პირველი ხუთი თვის შედეგების მიხედვით, 2003 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა ვერ მიიღო 90 მლნ ლარი და ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა მთავრობაში საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების (სიტყვა "სეკვესტრის" ხსენება არ სურდათ) პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ხარჯების შემცირებას 85 მლნ ლარით ანუ 5, 8%-ით.

ასე რომ, დეფიციტური ბიუჯეტის პირობებში უზარმაზარი საგარეო და საშინაო ვალების არსებობა რაიმე სერიოზული პროგრამის შესრულების არავითარ შანსს არ გვიტოვებდა.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტორებს, ისინი ჩვენთან არ შემოდიოდნენ, რადგან ქვეყანაში არ არსებობდა საინვესტიციო კლიმატი.

1997-2002 წწ. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 1 მლრდ დოლარიც ვერ შეადგინა, თანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ პროექტებზე გაიხარჯა (ნავთობსადენის მშენებლობა, თელასის პრივატიზაცია). მათ გარეშე კი ყოველწლიური უცხოური ინვესტიციები საშუალოდ 5 მილიონ დოლარზე მეტი არ იყო.

და კვლავ იგივე კითხვა: ასეთ ვითარებაში საიდან მიიღებდა ქვეყანა 3, 8 მლრდ დოლარს?

აღნიშნული "პროგრამის" პრეზენტაციის მიზანი მაშინვე გამჟღავნდა, როცა ლაპარაკი შეეხო საპარლამენტო არჩევნებს. ეს იყო წინასაარჩევნო დემაგოგია, ბლეფობა აყვანილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში!

პროგრამის "რეალურობაზე", გარდა ფინანსირების წყაროსი, მეტყველებდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი. ნათქვამი იყო, რომ 15 წელიწადში მშპ 2-3-ჯერ მაინც გაიზრდებოდა, მაგრამ მაინც რამდენჯერ გაიზრდებოდა? 2-ჯერ თუ 3-ჯერ? სხვაობა რამდენადაც დიდი იყო ამ ორ მაჩვენებელს შორის (15 მლრდ თუ 22 მლრდ ლარი), იმდენად მეტი საფუძველი გვქონდა, გვეფიქრა მის არარეალურობაზე.

### რამდენად რეალურია "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია"?

და მაინც, თუ დავუშვებდით, რომ პროგრამა რეალური იყო და შესრულდებოდა, მთლიანი შიდა პროდუქტი აღდგებოდა საშუალოდ წლიურად 5, 6 პროცენტით, როგორც ეს გვქონდა 1996-2002 წწ.

ეს ნიშნავს, რომ 2015 წელს ჩვენ მივაღწევდით მშპ-ს იმ მოცულობას, რომელიც 1991 წელს გვქონდა.

სამრეწველო წარმოების მიხედვით კი (მისი აღდგენის იმ ტემპებით, რაც 1996-2002 წწ. გვქონდა), 1991 წლის დონეზე მხოლოდ 2037 წელს გავიდოდით.

რა იყო აქ სახმაურო?

ბატონმა ეკონომიკის მინისტრმა ბრძანა, რომ მთავრობის ახალი დოკუმენტის - "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის" - შემუშავებისას გამოყენებულ იქნა წინანდელი ხელისუფლების (სწორედ ჩვენ მიერ ეს არის დახასიათებული) პროგრამა. ამიტომ ჩემში ეჭვს ბადებს ახალი ხელისუფლების მიერ შემუშავებული "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის" რეალურობა. ამ ეჭვს აძლიერებს მისივე შეტყობინება, რომ გადამუშავებული ვარიანტი განხილული იქნება მთავრობის შეხვედრაზე საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან მიმდინარე წლის 1 მარტს!!!

კი მაგრამ, ამ მოკლე დროში წინა მთავრობის მიერ შედგენილი და ზემოთ ჩვენ მიერ გარჩეული "გეგმა-ბლეფის" რა გადამუშავება შეიძლებოდა? რაც მთავარია, საიდან მოიძებნა მილიარდები მის შესასრულებლად? ბლეფობის გზით წინა ხელისუფლებამ 12 წელიწადი იარა და რა მოუვიდა ქვეყანას და თვით ხელისუფლებას - ჩვენ ყველა მომსწრე ვართ, ვხედავთ კატასტროფულ შედეგებს. ხალხი ამდენს აღარ მოითმენს. მთავრობამ ეს უნდა გაითვალისწინოს.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია საფუძველს იძლევა, გაკეთდეს დასკვნა: უცხოელთა მიერ თავს მოხვეული ეკონომიკური პოლიტიკა არ შეესაბამება ჩვენს ეკონომიკურ რეალიებს და მისი გაგრძელება ქვეყანას გაწირავს მრავალი წლის მანძილზე ქაოსისა და არასტაბილურობისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ 1994 წლიდან ჩვენში მიმდინარე ეკონომიკური "რეფორმა" არის ანტიხალხური და, მაშასადამე, ანტიკონსტიტუციური. ამიტომ მთავრობა უსიტყვოდ აღარ უნდა მიჰყვეს დასავლეთელი პარტნიორების რეკომენდაციებს. კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანა წმინდა ფინანსური მანიპულაციებით შეუძლებელია. ასეთი პოლიტიკა მხოლოდ აღრმავებს კრიზისს და იწვევს მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის გაუარესებას. საჭიროა სხვა რჩევები და რეკომენდაციები. ცხადია, უნდა გადაისინჯოს ქვეყნის ურთიერთობა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საუბარი შეიძლება იყოს არა წარუმატებელ ეკონომიკურ რეფორმაზე, არამედ იმაზე, რომ გარდაქმნის, ეკონომიკური რეფორმის მიმართულებაა მცდარი; ამიტომ საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის კურსის არა კორექტირება, არამედ კურსის შეცვლა, სტრატეგიული შემობრუნება, ახალი კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება.

რა უნდა გაკეთდეს, ეს ცალკე საუბრის თემაა.


## სს "თელასს" ესაჭიროება შემდეგი სახის მასალები:

1. უქსოვადი ქსოვილი
2. ელექტროდი ცვლად დენზე
3. ნათურები (100 ვტ; 500 ვტ)
4. პროჟექტორის ნათურა 500 ვტ (გერმანური წარმოების)
5. საღებავი თეთრი; წითელი
6. დენის ტრანსფორმატორი ТВЛМ 150/5
7. დენის ტრანსფორმატორი ТВЛМ 200/5
8. დენის ტრანსფორმატორი ТЛМ 100/5
9. დენის ტრანსფორმატორი ТЛМ 150/5
10. ბოქლომი ჩებოქსარი
11. დენმკვეთი ИАК-400А

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა 2004 წლის 12 მარტამდე მოგვმართონ: სს "თელასი"; III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19 ან შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში.

შენიშვნა: ანგარიშსწორება მოწოდებული საქონლისთვის იწარმობს საქონლის შემოტანის შემდეგ, 40 დღის განმავლობაში.



## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**8 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), ჩუბინაშვილის, გოგი დოლიძის, გოგოლის, სერგო კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის, სურამის, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ფოცხვერაშვილის, ბათუმის, ფიფიას, გორის, იამანიძის, მაიაკოვსკის, ქურდიანის, საგურამოს, ბორჯომის, ცაბაძის, წინამძღვრიშვილის(ნაწილობრივ), აბასთუმნის ქუჩების მაცხოვრებლებს.


*კომენტარი*

# თემურ ბასილია: "ეს იყო ფინანსურად უზრუნველყოფილი ერთადერთი პროგრამა"

სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ მომავალი სამოქმედო პროგრამის საფუძვლად აირჩია, ძველი ხელისუფლების წიაღშია ნაშობი და მის მთავარ "პატრონად" შევარდნაძის ხელისუფლებაში თემურ ბასილია მიიჩნეოდა. ახალი ხელისუფლება ამ პროგრამის გადამუშავებას გეგმავს.

"24 საათთან" საუბარში საქართველოს ეკონომიკის ახალმა მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა განაცხადა, რომ არასწორია მუშაობის ნულიდან დაწყება მაშინ, როცა არსებობს საერთაშორისო დონორების მიერ მოწონებული, საქართველოს არასამთავრობო სპექტრთან განხილული საკმაოდ დიდი მოცულობის დოკუმენტი "სიღარიბის დაძლევის პროგრამის" სახით. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტის ძირეული გადამუშავება მოხდება.

თავად თემურ ბასილია კი სიღარიბის დაძლევის პროგრამისადმი კრიტიკას საკმაოდ მტკივნეულად იღებს და აცხადებს, რომ:

**"ძნელია საუბარი იმ ადამიანებთან, ვინც უშუალოდ არ ყოფილა ამ პროგრამასთან დაკავშირებული. სიღარიბის დაძლევის პროგრამას, რა თქმა უნდა, ჰქონდა შესაბამისი სახსრები. რეალური იყო მისი განხორციელება, მით უმეტეს, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრი და საერთაშორისო ორგანიზაციები. რეალური იყო საქართველოს მხრიდან ანუ ბიუჯეტის საშუალებით მისი თანადაფინანსების განხორციელებაც. ანუ ქვეყნის ბიუჯეტს გააჩნდა შესაბამისი სახსრები. ერთი მთავარი დეტალი, რომელიც პროგრამაში იყო შესული: ყოველწლიურად უნდა მომხდარიყო პროგრამის პარამეტრებისა თუ პუნქტების გადასინჯვა და შესაბამისობაში მოყვანა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ერთადერთი პროგრამა დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო. რა თქმა უნდა, დასამალი არ არის, რომ არსებობდა გარკვეული დეფიციტიც, მაგრამ დონორები მზად იყვნენ და დღესაც მზად არიან, შეავსონ ეს დეფიციტი. რაც შეეხება დღევანდელი მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამას, ჩემი აზრით, ის უნდა გადაისინჯოს იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა და, შესაბამისად, ყველა სფეროში განხორციელდა ცვლილებები".**

# არისტიდი ბრძოლას აფრიკიდან აგრძელებს

ლევან ღირსიაშვილი

ჰაიტის დამხობილი პრეზიდენტი ჟან ბერტრან არისტიდი კვლავ განაგრძობს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას. ის ამჟამად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფება და სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებას აპირებს. არისტიდი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ საფრანგეთის და აშშ-ს ერთობლივი შეთქმულება განხორციელდა, რის შედეგადაც ის იძულებული იყო, ქვეყანა დაეტოვებინა. არისტიდი აცხადებს, რომ მას გადადგომის თაობაზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია, კვლავ ქვეყნის კანონიერ პრეზიდენტად რჩება და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

**"მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც დევნილობაში იცხოვრებს. სამხრეთ აფრიკაში, ალბათ, დროებით გავჩერდები. იქიდან მე ჰაიტიზე დავბრუნდები,"** - განაცხადა არისტიდმა.

ჰაიტის დამხობილმა პრეზიდენტმა ეს განცხადება ფრანგ მწერალთან – კლოდ რიბესთან საუბრის დროს გააკეთა. როგორც არისტიდი აცხადებს, მან, სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ხელი მოაწერა რაღაც დოკუმენტს, სადაც არაფერი იყო ნათქვამი გადადგომის თაობაზე. არისტიდი მის დამხობაში ვაშინგტონს და პარიზს ადანაშაულებს. **"მე აშშ-ს აგენტების საშუალებით დამამხეს,"** - ამბობს არისტიდი.

ამავდროულად, ცნობილი ხდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არისტიდის ჩაფრენის დეტალებიც. საინფორმაციო სააგენტო "ბიბისი" ამ ქვეყნის ხელისუფლების წრეებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ჰაიტის დამხობილმა პრეზიდენტმა მხოლოდ 45 წუთით ადრე შეიტყო მისი საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ. ის ჯერ კიდევ თვითმფრინავში იმყოფებოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად მიემგზავრებოდა. არისტიდი და მისი უახლოესი გარემოცვა ცენტრალური აფრიკის აეროპორტში აშშ-ს სამოცკაციანმა დესანტმა ჩაასცილა. ამის შემდეგ ამერიკელების სპეცრაზმი უკან გაბრუნდა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კატეგორიულად უარყო ცნობა არისტიდის იძულებითი განდევნის შესახებ და განაცხადა, რომ ჰაიტის პრეზიდენტმა ნებაყოფლობით დატოვა ქვეყანა.

ამავე დროს, ცნობილი ხდება იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აპირებდა, არისტიდის რეჟიმს ამბოხებულთა შეტევის მოსაგერიებლად და კონტრშეტევაზე გადასასვლელად იარაღით დახმარებოდა. თუმცა, სამხრეთ აფრიკიდან იარაღით დატვირთული თვითმფრინავი იამაიკაზე დაეშვა და არისტიდის ხელისუფლებას ველარ მიუსწრო.

ამავე დროს, კარიბის აუზის ქვეყნებმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ საერთაშორისო თანამეგობრობას დეტალური გამოძიების ჩატარებისაკენ მოუწოდეს, რათა ჰაიტიზე განვითარებული მოვლენების მიზეზები და არისტიდის დამხობის გარემოებანი დადგინდეს.


ჟან ბერტრან არისტიდი ქვეყნიდან მეორედ განდევნეს

REUTERS

არისტიდის განცხადებას ოფიციალური ვაშინგტონი უკვე გამოეხმაურა. სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის რიჩარდ ბაუჩერის თქმით, ჰაიტიზე გამოსაძიებელი არაფერია.

კუნძულზე არსებული ვითარება კი ვერც არისტიდის განდევნამ გამოასწორა. დედაქალაქ პორტო-პრენსში კვლავ ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. ქუჩებში ხშირია ძარცვის და მოროდიორობის შემთხვევები. ამის გამო, კუნძულზე მყოფი ამერიკელების საზღვაო ქვეითი სრულ საბრძოლო მზადყოფნაზეა გადაყვანილი. მათი მოწოდების მიუხედავად, ჰაიტელი ამბოხებულები იარაღის დაყრაზე უარს აცხადებენ.

პარალელურად, დღის წესრიგში დგება კუნძულზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის საკითხი. 120 ჩილელი სამხედრო მოსამსახურე უკვე გუშინვე ჩაფრინდა პორტო-პრენსში და იქ მყოფ ამერიკულ, ფრანგულ და კანადურ დანაყოფებს შეუერთდა. განცხადება გააკეთა ასევე ბრაზილიის ხელისუფლებამაც. ბრაზილიელთა 1200-კაციანი რაზმი იქ განლაგებულ სამშვიდობო ძალებს უახლოეს მომავალში ჩაენაცვლება.

თუმცა, ანგარიშში უნდა ჩაითვალოს არისტიდის შეიარაღებული მომხრეებიც, რომლებიც, ჯერჯერობით, ბრძოლებს არ აწარმოებენ, მაგრამ დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ ჟან ბერტრან არისტიდმა მათ ბრძოლისაკენ მოუწოდოს. ამ შემთხვევაში ჰაიტიზე მოვლენები არაპროგნოზირებადი გახდება.

# "დისნეის" შეფი პოზიციებს თმობს

თორნიკე შარაშენიძე

მას შემდეგ, რაც აშშ-ს საკაბელო ტელევიზიის გიგანტმა "დისნეის" შესყიდვის წინადადებით მიმართა, ამ კომპანიაში ნამდვილი შიდა ომი დაიწყო. ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ "კომკასტმა" ე.წ. მტრული შესყიდვის (ჰოსთაილ თეიქოუვერ) მცდელობა გააკეთა. მტრული შესყიდვა ნიშნავს, როცა შემსყიდავ მხარეს, შესაძლოა, საერთოდ არ გააჩნდეს თანხმობა შესასყიდი კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი შესასყიდი კომპანიის აქციონერებისგან იღებს თანხმობას. "დისნეის" თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი მაიკლ აისნერი "კომკასტის" წინადადებას სასტიკად შეეწინააღმდეგა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, აქციონერთა დიდი ნაწილი მის პოზიციას არ დაეთანხმა, რასაც საბოლოოდ აისნერის უფლებამოსილებათა შეკვეცა მოჰყვა. ახლახან გამართულ აქციონერთა სხდომაზე აისნერი იძულებული გახდა, თავმჯდომარის პოსტი დაეტოვებინა. ახლა იგი მთავარი აღმასრულებლის ფუნქციებს შეასრულებს. მაგრამ მოვლენათა დინამიკას თუკი გავითვალისწინებთ, მას ამ პოსტის დატოვებაც მოუწევს და "კომკასტისა" და "დისნეის" გარიგება მაინც შედგება. თუკი ეს მოხდა, "კომკასტი" მსოფლიოში უდიდეს მედიაკომპანიად იქცევა და იგი უკან ჩამოიტოვებს ისეთ გრანდებს, როგორიცაა "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერი," "ნიეზ კორპორეიშენი" და "ვივენდი."

გარიგება კი, რომელიც 66 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, წესით უნდა შედგეს. სპეციალისტებისათვის ეს, ალბათ, ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცხადი, როცა "კომკასტმა" თავისი განზრახვის შესახებ განაცხადა და აისნერი ყველაფერ ამას ხელს ველარ შეუშლის. ლეგენდარული კინოსტუდიის ხელში ჩაგდება "კომკასტს" მტკიცედ აქვს განზრახული და აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეთავაზებულ თანხას (66 მილიარდი) გაზრდის. თუმცა, ეს წინადადება უკვე მეტად სარფიანია, რადგან ამით "კომკასტი" "დისნეის" ერთ აქციაში მის ახლანდელ ღირებულებაზე 10 პროცენტით მეტს იხდის. გარდა ამისა, საკაბელო ტელევიზიის გიგანტი კინოსტუდიის 11,9-მილიარდიან ვალსაც ფარავს.

"კომკასტის" მიერ "დისნიეზე" კონტროლის დამყარება კომპანიისთვის უდიდეს წარმატებას ნიშნავს. საკაბელო ტელევიზიის გიგანტი, რომელიც აქამდე სხვა კომპანიათა ტელეპროდუქციის სიხშირეებზე განაწილებითა და მომხმარებელთათვის მათი მიწოდებით იყო დაკავებული, სულ სხვა ტიპის ბაზარზე იკიდებს ფეხს – "დისნეის" მედია-იმპერიაში შედის კინოსტუდიები "მირამაქსი" და თავად "დისნეი," "ეიბისისა" და "იესპიენის" არხები და, აგრეთვე, საკაბელო ტელევიზიის რამდენიმე არხიც.

"კომკასტის" წინადადებამ მაიკლ აისნერს ნამდვილად უდროო დროს მოუსწრო. მცირე ხნის წინ იგი აქციონერთა მხრიდან სასტიკი კრიტიკის ქვეშ მოექცა იმის გამო, რომ კონტრაქტი ვერ განაახლა კომპიუტერული ანიმაციის ფირმა "პიქსართან." ამ უკანსაკნელთან ერთად "დისნეიმ" არაერთი ანიმაციური ფილმი გადაიღო, რომლებმაც დიდი შემოსავალიც მოუტანა (მარტო "სათამაშოების მაღაზიამ" და "მონსტრების კორპორაციამ" 2,5 მილიარდი მოაგებინა) და ასეთი მომგებიანი თანამშრომლობის შემდეგ აისნერმა "პიქსართან" კონტრაქტის გაგრძელება ვერ შეძლო.

აისნერს აქციონერთა კრებაზე 43 პროცენტმა გამოუცხადა უნდობლობა, რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია. თვით ლეგენდარული უოლტ დისნეის ძმისშვილმა და "დისნეის" ყოფილმა დირექტორმა როი დისნეიმაც განაცხადა, რომ აისნერი საქმეს უნდა ჩამოშორდეს და ეს მხოლოდ წაადგება მისი ბიძის მიერ დაარსებულ კომპანიას, თუნდაც ეს უკანასკნელი სხვის საკუთრებად იქცეს.

# "პროცედურა დასრულდა" და რუსეთს ახალი პრემიერი ჰყავს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრის პოსტზე მიხაილ ფრადკოვის დანიშვნის შესახებ. რამდენიმე საათით ადრე კი, ფრადკოვის კანდიდატურა სახელმწიფო დუმამ დაამტკიცა. ახალ პრემიერმინისტრს მხარი 352-მა დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო მის წინააღმდეგ მხოლოდ 58-მა მისცა ხმა.

**"მე უკვე მოვასწარი თქვენი დანიშვნის შესახებ ბრძანებისათვის ხელის მოწერა. პროცედურა დასრულებულია. გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს,"** - განუცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ახალ პრემიერ-მინისტრს.

სახელმწიფო დუმის დეპუტატების წინაშე გამოსვლისას, ფრადკოვმა განაცხადა, რომ მისი უმთავრესი ამოცანა მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკის სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა და ცხოვრების დონის აწევა იქნება.

მან დეპუტატების წინაშე მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ახალი სამთავრობო სტრუქტურის შესახებ, რომელიც სამდონიანი იქნება: სამინისტროები, ფედერალური სამსახურები და ფედერალური სააგენტოები, ხოლო კაბინეტის კომპეტენციაში მხოლოდ სტრატეგიული ხასიათის ამოცანები დარჩება. სწორედ ამიტომ, მინისტრთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდება. მინისტრთა უპირველეს მოვალეობას კი "სახელმწიფო დარეგულირების კონკრეტულ სფეროებში" პოლიტიკის განსაზღვრა წარმოადგენს. რაც შეეხება ფედერალურ სამსახურებს, ისინი საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციებით აღიჭურვებიან, ხოლო ფედერალურ სააგენტოებს კი სახელმწიფო მომსახურების შესრულება დაევალებათ.

რასაკვირველია, არავინ ეჭვობდა იმას, რომ ფრადკოვის კანდიდატურა სახელმწიფო დუმაში ჩავარდებოდა. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, უმრავლესობის ფრაქციის "ერთიანი რუსეთის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ერთხმად დაუჭერდნენ მხარს ახალ პრემიერს.

ამჟამად მთელი ყურადღება მისი საკადრო პოლიტიკისკენ არის მიპყრობილი. ჯერჯერობით, მან მხოლოდ ერთი კანდიდატურა დაასახელა და ვიცე-პრემიერის პოსტზე ალექსანდრ ჟუკოვის კანდიდატურა წამოაყენა. ამასთანავე, ფრადკოვის თქმით, რუსეთს ექვსის ნაცვლად მხოლოდ ერთი ვიცე-პრემიერი ეყოლება. თუ რას უპირებს ის ამჟამინდელ ვიცე-პრემიერებს, არავინ იცის.

ჟუკოვი სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერია და გამოკვეთილ ლიბერალურ ეკონომისტად ითვლება. ფრადკოვმა გამოთქვა რწმენა, რომ პრეზიდენტი პუტინი ჟუკოვის კანდიდატურას დადებითად შეაფასებს. მიხაილ ფრადკოვი ახალი მთავრობის ახალი წევრების ძებნას აქტიურად განაგრძობს. ის არ გამორიცხავს, რომ მინისტრთა კაბინეტში სერგეი შოიგუ და ალექსი გორდეევი აღმოჩნდნენ.

დამკვირვებლების თქმით, მიხაილ ფრადკოვი მოსახლეობაში არაპოპულარული ლიბერალური რეფორმების გამტარებელი იქნება, რადგან სწორედ ასეთია კრემლის და მისი მესვეურის ნება-სურვილი.


მიხაილ ფრადკოვი დუმას თავის პროგრამას წარუდგენს.

## მოკლედ

### რიბკინი საპრეზიდენტო მარათონს ტოვებს

14 მარტს რუსეთში ქვეყნის პრეზიდენტს ირჩევენ. საარჩევნო მარათონს კი ერთი კანდიდატი უკვე გამოაკლდა. ივან რიბკინმა, რომელმაც თებერვალში უცნაური გაუჩინარებით მიიქცია მსოფლიო მასმედიის ყურადღება, საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ განაცხადა. "მე ვხსნი ჩემს კანდიდატურას. ამ ფარსში მე მონაწილეობას აღარ მივიღებ. ზეწოლას ველოდი, მაგრამ ასეთ ზღვარგასულობას ვერც კი წარმოვიდგენდი," – თქვა რიბკინმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე.

რიბკინი მოსკოვში ლონდონიდან, კიევის გავლით დაბრუნდა. საინტერესოა, რომ მისი ოთხდღიანი გაუჩინარების დროს იგი სწორედ კიევში იმყოფებოდა. შემდეგ რიბკინი ლონდონში გაემგზავრა, სადაც თქვა, რომ საარჩევნო კამპანიის დასრულებამდე სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებდა. ლონდონში იმყოფება მისი ძველი თანამებრძოლი ბორის ბერეზოვსკიც. თუმცა, როგორც რიბკინი ამბობს, კანდიდატურის მოხსნის თაობაზე მას მეგობარი წინასწარ არ გაუფრთხილებია. რიბკინისთვის საარჩევნო კამპანია ვადამდე ადრე დასრულდა და, როგორც ჩანს, მას ლონდონში დარჩენის საფუძველიც გამოეცალა. ახლა რიბკინი საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტს ემხრობა, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი ამის მიღწევას შეძლებს. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რიბკინს მხარს ამომრჩეველთა ერთი პროცენტიც კი არ უჭერს. საპრეზიდენტო არჩევნების უდავო კონკურენტი ვლადიმირ პუტინია. მის კონკურენტებად კი ირინა ხაკამადა, სერგეი მირონოვი, ოლეგ მალიშკინი, სერგეი გლაზევი და ნიკოლაი ხარიტონოვი რჩებიან. მათ კანდიდატურის მოხსნა ოფიციალურად 8 მარტამდე შეუძლიათ.

### მაკედონიის პრეზიდენტი დაკრძალეს

გუშინ მაკედონიაში ქვეყნის პრეზიდენტი, ბორის ტრაიკოვსკი დაკრძალეს. იგი ავიაკატასტროფაში 26 თებერვალს დაიღუპა. პრეზიდენტის თვითმფრინავი, ცუდი ხილვადობის გამო, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ჩამოვარდა. პრეზიდენტთან ერთად ქვეყნის მთავრობის კიდევ 6 წევრი დაიღუპა. ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურის დაკრძალვას მსოფლიოს 50 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. პრეზიდენტს ათასობით თანამემამულეც გამოეთხოვა. ტრაიკოვსკი ახალი თაობის პოლიტიკოსად მიიჩნეოდა. 1999 წელს, როცა იგი ამ პოსტზე აირჩიეს, ტრაიკოვსკი მხოლოდ 43 წლის იყო. საინტერესოა, რომ მაკედონიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელი კირო გლიგოროვი საპრეზიდენტო ვადის დასრულებისათვის 80 წლის იყო. მაკედონიის პრეზიდენტი ნოვატორული ხედვითაც გამოირჩეოდა. მან ქვეყნის ხელისუფლებაში ახალგაზრდა პოლიტიკოსები მიიყვანა და ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების კურსს დაადგა. ტრაიკოვსკის მთავარი დამსახურება მაკედონიაში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების პრობლემის მოგვარებაა. ალბანელები ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენენ და თავის დროზე, ტრაიკოვსკიმ სწორედ მათი დახმარებით მოახერხა არჩევნებში გამარჯვება. ალბანელები ქვეყნის მართვაში უფრო აქტიურ ჩართვას მოითხოვდნენ და კოსოვოს კრიზისის დროს, ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხეც გაჩნდა. ევროკავშირისა და ნატო-ს ჩარევის შედეგად, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება მოხერხდა. ამაში კი ტრაიკოვსკისაც მიუძღოდა ღვაწლი. ევროპაში მიაჩნიათ, რომ ტრაიკოვსკიმ ბალკანეთზე გაბატონებულ რადიკალურ ნაციონალიზმზე უარი თქვა და ახალი, ევროპული ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ აიღო გეზი. სწორედ ამიტომ, ევროპაში მის დაღუპვას მნიშვნელოვან დანაკარგად აღიქვამენ, რადგან მაკედონია და, მთლიანად, ბალკანეთი სრული სტაბილიზაციისაგან ჯერ კიდევ ძალიან შორსაა.

### ჩინეთი კერძო საკუთრებას აკანონებს

გუშინ ჩინეთის სახალხო კრების ყოველწლიური სესია დაიწყო. ათდღიანი სესია ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ვენ ძიაბაომ გახსნა. მან დეპუტატებს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების შესახებ აცნობა და ეს ფაქტი მთავრობის მხრიდან სოფლად სიღარიბის აღმოფხვრისათვის გაწეული სუბსიდიებით ახსნა. ეკონომიკურად მსოფლიოს ყველაზე მზარდი ქვეყნის ზრდის ტემპები წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 7 პროცენტს შეადგენს, როცა შარშან ეს მაჩვენებელი 9 პროცენტი იყო. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა კი პრემიერმა დადებითად შეაფასა და იგი სიღარიბესთან სახელმწიფო ბრძოლის პროგრამას დაუკავშირა. პრემიერის გამოსვლა, მიმომხილველთა აზრით, საკმაოდ გულახდილი იყო. ძიაბაომ ჩინეთის ეკონომიკის წინაშე მდგარ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და, ამ მხრივ, პირველ ადგილზე ენერგორესურსებით მომარაგების საკითხი დააყენა.

სახალხო კრების წლევანდელი სესიის მთავარი თემა კი კერძო საკუთრების დაკანონება იქნება. 1949 წელს, ქვეყნის სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგ, კერძო საკუთრება ჩინეთში ოფიციალურად აკრძალულია. ახლა კი საკონსტიტუციო ცვლილებამ კერძო საკუთრება უნდა დააკანონოს და მისი დაცვის მექანიზმებიც შექმნას. კერძო საკუთრება და კაპიტალიზმი ჩინეთში, უკვე დიდი ხანია, რაც ცოდვად არ მიიჩნევა. პირიქით, შეძლებული ადამიანები, მათ შორის – მესაკუთრენი, მმართველი კომპარტიის მაღალ ეშელონებშიც უხვად არიან წარმოდგენილნი. თუმცა, ფორმალურად, აქამდე ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. კერძო საკუთრების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპებს კიდევ უფრო დააჩქარებს. ამით გაიზრდება ისედაც მასშტაბური საგარეო ინვესტიციები. კერძო საკუთრების დაკანონების შემდეგ კი კომუნისტურ ჩინეთში კომუნიზმის იდეოლოგიისაგან მხოლოდ სახელი თუ დარჩება.

### ჰაიდერი ბრუნდება

ხვალ ავსტრიის პროვინცია კერნტენის მეთაურის არჩევნები იმართება. ევროპული ქვეყნის პროვინციული არჩევნები საერთაშორისო ყურადღებას იმით იქცევს, რომ ამ პოსტზე კენჭს მემარჯვენე-რადიკალი იორგ ჰაიდერი იყრის. წინასწარი გამოკითხვებით მას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ.

ჰაიდერის პარტია (ავსტრიის თავისუფლების პარტია) მმართველი სახალხო პარტიის კოალიციის უმცროსი პარტნიორია. თუმცა, თავად ჰაიდერი ფედერალური პოლიტიკაში ფორმალურად არ მონაწილეობს და სამხარეო საქმეებითაა დაკავებული. 2000 წელს მისი რადიკალური, ნეონაცისტური გამონათქვამების გამო, ავსტრიამ ევროკავშირის სანქციებიც კი დაიმსახურა. საყოველთაოდ ცნობილია ჰაიდერის სიმპათიები ერაყის ყოფილი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის მიმართ. იგი, ერაყის ომამდე, ბაღდადში ეწვია ჰუსეინს. ჰაიდერმა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მისამართით გაკეთებული განცხადებითაც მიიქცია ყურადღება. მან თქვა, რომ „ბუშის მსგავსად, ჰიტლერიც დემოკრატიულად იყო არჩეული." ჰაიდერი ნაცისტური გერმანიის დასაქმების პოლიტიკის მიმართ საკუთარ სიმპათიებსა და ავსტრიაში მცხოვრები უცხოელების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას დღემდე არ მალავს. საინტერესოა, რომ ასეთი განწყობის პოლიტიკოსი და მისი პარტია ავსტრიაში სტაბილური ელექტორატით სარგებლობენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პროვინციის არჩევნებში გამარჯვებით შეგულიანებული ჰაიდერი შეიძლება ისევ ფედერალურ პოლიტიკაში დაბრუნდეს და, ამით, ავსტრიას ახალი საერთაშორისო სკანდალი დაატეხოს თავს.

# საქართველო - ტოქსინების ნაგავსაყრელი

## არ ვიცით, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რითი ვსუნთქავთ

ოთარ ქირია

თავის დროზე ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყების მიერ ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, დადგინდა, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე წამლების 86 პროცენტი მოხმარებისთვის საშიშია. მიუხედავად ამისა, უწყებამ საზოგადოება ვერ დაარწმუნა იმაში, რომ ის "წამლის მაფიას" ებრძვის. ვერც დაამტკიცებდა - ულიცენზიო აფთიქები, ძირითადად, ძალოვანი და ჯანდაცვის ორგანოების მესვეურთ ეკუთვნოდათ, ან თავადვე მფარველობდნენ. მე გახლდით არაერთი ჟურნალისტური გამოძიების მონაწილე და კარგად ვუწყი, რომ ქაოსი ამ სფეროში თავად ხელისუფლებას აძლევდა ხელს.

მეორე მხრივ, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოება სრულიად ინერტულად არის განწყობილი ამ პრობლემისადმი. შეიძლება ასეც იყოს - ნებისმიერ შემთხვევაში, გაჭირვებულ ადამიანს ურჩევნია წამალი შეიძინოს ბაზრობაზე, ღია ცის ქვეშ, ჯიხურში, სადაც 10 თეთრის ეკონომიას მაინც გააკეთებს. ვერც იმას ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ აქტიურობით. არსებობს ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის და ფარმაცევტიკის სფეროში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ სამინისტროს მიერ არის შექმნილი და მხოლოდ გრანტებს ემსახურება. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემი პრაქტიკა თითო-ოროლა ორგანიზაციას ან ადამიანს იცნობს "წამლის მაფიის" წინააღმდეგ მებროლს.

ორი წლის წინათ, როცა საქართველოს ჰომეოპათიის აკადემიის რექტორმა თინათინ თოფურიამ გერმანული პრეპარატის "ჰაილზალბეს" წინააღდეგ წამოიწყო ომი, მას კერძო დაინეტერსებაში დასდეს ბრალი. უცნაურია, მაგრამ ანალოგიური ბრადლება ჩემს (ჟურნალისტის წინააღმდეგ) მიმართაც გაისმა. "ჰაილზალბე" გერმანული კომპანია "ველედას" პროდუქტია და კანის ნახეთქებსა თუ ჭრილობების სამკურნალოდ ინიშნება, თუმცა, ქართულ რეალობაში ის მეძუძურ დედებსაც ენიშნებოდათ ძუძუს კერტზე ნახეთქის სამკურნალოდ. მიუხედავად იმისა, რომ პრეპარატის ჩვენებაში ეს არ წერია, წამალს მაინც იყენებდნენ. არადა, წამალი დიდი რაოდენობით მომწამლავ ნივთიერებას მეტალურ "სტიბიუმს" (იგივე "სურმა") შეიცავს და, როგორი წარმოსადგენია, როცა ნივთიერება, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემისა და სექსუალური ფუნქციის მოშლას იწვევს, დედის მკერდიდან ბავშვის ორგანიზმში მიემართება.

ეს ჩემი მოსაზრება არაა და ის მრავალ წიგნსა თუ სამედიცინო ენციკლოპედიაშია ახსნილი. არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმის კათედრის დასკვნაც, სხვა საექსპერტო შეფასებებიც, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს და "ველედას" ვერაფერი მოვუხერხეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ბიოეთიკის კომისიამ ერთ დროს ამ პრეპარატის მეძუძური დედებისთვის დანიშვნა საეჭვოდ მიიჩნია, შედეგი "ჰაილზალბესთვის" მაინც დადებითი აღმოჩნდა. უბრალოდ, ის არის,


თინათინ თოფურია და დავით უსუფაშვილი ომბუდსმენის ოფისში.

რომ აფთიაქებში მშვენივრად იციან წამლის რეპუტაცია და მალულად, მაგრამ მაინც ყიდიან. ყოველ შემთხვევაში გასულ დღეებში ბევრი ვეძებე და ვერსად ვიპოვე.

მაშინ "ველედამ" გერმანიიდან ექსპერტიც კი ჩამოიყვანა - ვინმე ტაოცი, რომლსაც შევხვდი და მივხვდი, რომ "ველედაზე" კარგის მეტს არაფერს მეტყოდა. არადა, თოფურია და სხვა სპეციალისტები გაუთავებლად ამტკიცებდნენ, რომ პრეპარატი მომწამლავია. თოფურიამ იმ პრეპარატების წინააღმდეგაც გაილაშქრა, რომელიც ადამინის ჰიპოფიზისგან მზადდება და საქართველოში მათ შემოტანას "ვიტორგანი" აპირებდა. საბოლოოდ თოფურიას ლამის კარიერის ფასად დაუჯდა ეს წამლები. ჯანდაცვის სამინისტრო მისივე უწყების - სამინისტროს ჰომეოპათიის საბჭოს იგნორირებას შეეცადა. კოვზი ნაცარში ჩავარდა.

დღეს თოფურია უკვე არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის და "წამლის მაფიის" წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს. "ადამიანის ეკოლოგიის საზოგადოებრივი საბჭო" საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა, მასში გაერთიანებულები არიან საქართველოს წამყვანი სპეციალიტები ბიოქიმიის, ტოქსიკოლოოგიის, ეკოლოგიის და მედიცინის სფეროში. ბრძოლაში ერთვება იურისტთა ასოციაცია, სახალხო დამცველი, პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია და ა.შ. თითქმის ყველა - სახელმწიფო ჯანდამცველების გარდა. ჯანდაცვის ახალ მინისტრს ან ძველი ჩინოვნიკების (გონგაძის, ჭუმბურიძის, ტურძელაძის, თომაძის, ბარამიძის, ამირეჯიბის და სხვათა) მოხსნა მოუწევს, ანაც - არასამთავრობოებთან ომის შეგუება. ეს ის გვარებია, ვინ ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ფარმაცევტიკასთან და პრეტენზიებიც ყოველთვის სწორედ მათ წინააღდეგ ჩნდებოდა.

**"ადამიანის ეკოლოგია ახალი მიმართულებაა მეცნიერებაში. ჩვენი მიზანია, დავიცვათ მოსახლეობა ყველაფრისაგან, რაც მის ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის - წამლები, საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ქიმიის სახით შემოსული ტოქსინები, რადიაციული ფონი და ა.შ. დღეს პლანეტაზე ისეთი პირობები შეიქმნა კაცობრიობისთვის, და მით უმეტეს გაჭირვებული საქართველოსთვის, რომ ადამიანს ახალი ადაპტაციის უნარის გამომუშავება და გამოყენება ესაჭიროება. პირველ რიგში, აუცილებელია, მოსახლეობის ინფორმირება. რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რითი ვსუნთქავთ - არ ვიცით. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო მესამე კატეგორიის ქვეყნებში ითვლება, არსებობს დიდი საშიშროება იმისა, რომ მსოფლიოში არსებული უხარისხო და ვადაგასული პროდუქტის ბაზარი და ნაგავსაყრელი გავხდებით. ასეც ხდება - ხალხს რეკლამებით ატყუებენ. ჰომეოპათია უვნებელია, ბალახებია - ასე ამკობენ პრეპარატებს და სინამდვილეში საშინელებას ყიდიან. საბჭოს პირველი თემა სწორედ ასეთი პრეპარატები იყო. ჩვენ შეჩერებას არ ვაპირებთ, განვაგრძობთ სხვადასხვა საჭირბოროტო თემის შესწავლას. აუცილებლად მივმართავთ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ახალ პარლამენტთანაც. ეს არაა გრანტებზე ან რაიმე ინტერესებზე დაფუძნებული ორგანიზაცია, ყოველი ჩვენგანი აქ ენთუზიაზმით მოვიდა, თუმცა ეს ენთუზიაზმი კი არა, ჯანმრთელი და უვნებელი ცხოვრებისთვის ბრძოლაა,"** - აცხადებს ევროპარლამენტის ჰომეოპათიური კომიტეტის ექსპერტი თინათინ თოფურია.

**"მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტული საკითხების სპეციფიკურ დეტალებში ვერ ვერკვევი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, აქტიური მონაწილეობა მივიღო. ეს ისეთი საკითხია, რომელიც არა ერთეულებს, არამედ მთელ ქვეყანას და, მათ შორის, მეც მჭირდება. საერთოდ, ეს თემა, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიდუხჭირის გამო, აბსოლუტურად მიტოვებული იყო - თითქოს, ამისთვის არავის ეცალა. ეს საშინელებაა. სწორედ ამ უყურადღებობამ მიგვიყვანა კორუფციის იმ ხარისხებამდე, რასაც დღეს ვხედავთ. სხვადასხვა კლანის ხელში აღმოჩნდა წამლის ბიზნესი, კვბის პროდუქტების იმპორტი. მათი ხარისხი არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება. ყველასთვის ცნობილია, რომ მრავალწლიანი ხარისხის მაკონტროლებელი ინსპექციები თუ უწყებები ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ და, ძირითადად, თავად უწყობდნენ ანარქიას ხელს. ასე რომ, აქ გარკვეული სამართლებრივი ბაზაც არის შესაქმნელი მომხმარებლთა უფლებების დაცვის კუთხით; აუცილებელია, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ა.შ. ჩვენ საქმეს აუცილებლად გავაკეთებთ, გამოვავლენთ ყველა მანკიერ მხარეს და აუცილებლად ვაცნობებთ საზოგადოებას,"** - აცხადებს იურისტი დავით უსუფაშვილი.

**"24 საათი" მზად არის ნებისმიერ ასეთ ინიციატივას მხარი აქტიურად დაუჭიროს.**

# ფოთის მერს კორუფციაში ამხელენ

## რამ გამოიყვანა თებერვლის სუსხიან ქუჩაში პასიურობით ცნობილი ფოთის მოსახლეობა

*უკანასკნელ პერიოდში ფართომასშტაბიანი აქციები და მანიფესტაციები ფოთში ჩვეულ მოვლენად იქცა. პასიურობით ცნობილი ქალაქის მოსახლეობა ქუჩებში ფოთის მერის ვახტანგ ალანიას გადაყენების მოთხოვნით გამოვიდა. 24 და 26 თებერვალს გამართული აქციების მოთხოვნები ფოთიდან თბილისში ჩასულმა დელეგაციამ ცენტრალური მედიის წარმომადგენლებსაც გააცნო.*

ინგა შუბითიძე

არასახარბიელო კონტექსტში ალანიას გვარმა პირველად ორი წლის წინათ, 2 ივნისის ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც გაიჟღერა. პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ ამ არჩევნების შედეგების რევიზია მოახდინა და ბიულეტენების გადათვლამ აჩვენა, რომ ვახტანგ ალანიამ საკრებულოს 15 მანდატიდან ერთ-ერთის მოსაპოვებლად ათასამდე ხმა (მიღებული ხმების 25 პროცენტი) მოიპარა. რომ არა ეს კრიმინალი, ალანია "საუკეთესოთა" თხუთმეტეულში ვერ აღმოჩნდებოდა და შემდგომში ვერც მერის სავარძელს დაიკავებდა.

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ვახტანგ ალანიას ფოთის საკრებულოც უპირისპირდება. საკრებულო ვახტანგ ალანიას გადაწყვეტილებების შეუსრულებლობაში, ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტის მოუმზადებლობაში, უამრავი კანონისა და კანონქვემდებარე აქტის დარღვევაში, ქალაქის კლანური ინტერესებით მართვაში და არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს. ამ და სხვა მოტივებით, საკრებულომ ალანიას იმპიჩმენტი გამოუცხადა და ამჟამად მისი გადაყენების ოფიციალური მოთხოვნა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ელის.

იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებამდე საკრებულომ ორჯერ ჩააგდო ფოთის მთავრობის ის შემადგენლობა, რომელიც ვახტანგ ალანიამ წარადგინა დასამტკიცებლად და ალანიას კონსულტაციებისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდა. პასუხად ფოთის მერმა ერთპიროვნულად შერჩეული მთავრობის წევრობის კანდიდატები ექვსი თვით მოვალეობის შემსრულებლებად მაინც დანიშნა. თუმცა, მის მიერ დანიშნულ სამსახურების უფროსებს თანამშრომლები კარების აჭედვითა და პროტესტებით ხვდებიან.

ალანიას მისამართით არასამთავრობო ორგანიზაციებიც გააქტიურდნენ; ანტიკორუფციული პროექტის - "სად მიდის ჩვენი ფული" - ფარგლებში, ალანია მერობის ორთვიან პერიოდში არაერთ კორუფციულ ქმედებაში ამხილეს. არასამთავრობოები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გახმაურებულ დანაშაულად მიიჩნევენ ვახტანგ ალანიას მიერ ბიუჯეტის თან-


საპროტესტო აქცია ფოთში.

ხების საოჯახო ბიზნესში გადაქაჩვას. მერად დანიშვნიდან რამდენიმე კვირაში ალანიამ მერიის ადმინისტრაციული შენობიდან სახელმწიფო დაცვის პოლიციის თანამშრომლები დაითხოვა და შენობის დაცვა საკუთარი მეუღლის ნატალია ალანიას ფირმას "შევარდენს" დააკისრა. ამ დაკვეთით "შევარდენი" წელიწედში 28 ათას ლარს ისარგებლებს. ამასთან, ალანია მომავალში ამავე კომპანიას მერიის კაბინეტებში სიგნალიზაციის დამონტაჟებასაც ავალებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დაკვეთის გაკეთება ბიუჯეტს მხოლოდ ტენდერის ჩატარების შემდეგ შეეძლო. ეს, არასამთავრობოების განცხადებით, კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" უხეში დარღვევაა.

საკრებულოს მიერ ალანიასთვის იმპიჩმენტის გამოცხადების შემდეგ, პრეზიდენტისადმი გაგზავნილი გადაყენების მოთხოვნის გარდა, მიხეილ სააკაშვილს მიმართვა გაუგზავნეს აქციაში მონაწილე ფოთელმა სტუდენტებმა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმაც. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, 300 გამოკითხული ფოთელიდან 239 მიიჩნევს, რომ ალანიამ აუცილებლად უნდა დატოვოს თანამდებობა. სოციოლოგიური გამოკითხვის რესპოდენტებისთვის ალანია ყოფილ ხელისუფლებასთან ნუგზარ შევარდნაძის კლანთან და გაყალბებულ არჩევნებთან ასოცირდება.

წერილში გამოთქმულ ბრალდებებს ფოთის მერი ვახტანგ ალანია "24 საათთან" საუბრისას შემდეგ კომენტარს უკეთებს: **"უნდა გითხრათ, რომ საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ ჩემი გვარი და სახელი იმ საქმეში არ ფიგურირებს. სამაგიეროდ, ფიგურირებს საკრებულოს წევრების - მოგელი ტყებუჩავას, რამაზ ლაშქარავას, მალხაზ ბუკიას, მერიის აპარატის უფროსის დავით სვანიძის სახელები. რაც შეეხება იმპიჩმენტს, საინტერესოა, როდის გამომიცხადეს იგი? მე 15 დეკემბერს დავინიშნე, 17 დეკემბერს წარდგინება იყო, შემდეგ – ახალი წლები, არჩევნები, ინაუგურაცია... რა პროექტები უნდა მომემზადებინა, ან რა დარღვევები უნდა ჩამედინა იმ დროისთვის, როცა ჩემთან დაპირისპირება დაიწყეს? როცა მთავრობას არ მიმტკიცებდნენ? თვითმართველობის შესახებ ორგანული კანონი მაძლევს უფლებას, თავად დავნიშნო ექვსი თვის ვადით მთავრობა, თუკი საკრებულომ იგი ერთი თვის განმავლობაში არ დამიმტკიცა. მეც ასე, კანონის შესაბამისად მოვიქეცი. ბრალს მდებენ, - ცოლის ფირმას მისცა დაკვეთაო. მსგავსი არაფერი მომხდარა. თებერვლის თვეში არასაუწყებო დაცვამ მაცნობა, - ჩვენთან შემცირებებია, ტექნიკური პრობლემებიც გვაქვს და თქვენ დაცვას ვერ განვახორციელებთო. სამუშაოს შესრულებაზე ტენდერი კი გამოვაცხადე, მაგრამ იქამდე შენობას დაცვის გარეშე ხომ ვერ დავტოვებდი? ორი კვირით დავაყენე ჩემი ხალხი, რომელსაც საკუთარი ჯიბიდან და არა ქალაქის ბიუჯეტიდან ვუხდი ფულს. სულ 300-400 ლარზეა საუბარი. ჩემთან მიმართებაში არანაირ ოჯახურ და კლანურ ინტერესებზე არ შეიძლება იყოს საუბარი. ჩემი ფირმა "სოფტმარი" ერთ-ერთი პირველი ქართული კერძო საზღვაო სააგენტოა და, ნუგზარ შევარდნაძის კი არა, ფიდელ კასტროს გემები რომ შემოსულიყო, იმას მოვემსახურებოდით."**

United Nations Development Programme

UNDP Georgia

განცხადება

UN
DP

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი: "ბიზნეს ინკუბაციის მხარდაჭერა" აცხადებს წინადადებების მიღებას ბიზნეს ინკუბატორისათვის ფართის საქირავებლად ორი წლით ქ. თბილისში. აღნიშნულ ფართში განთავსდებიან ახლად შექმნილი საწარმოები. ფართი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არა ნაკლებ 250 კვ.მ.
- მდებარეობა - ცენტრალური გამზირი ან მიმდებარე ტერიტორია
- შენობის I სართული, პრიორიტეტი მიეცემა ფართს, რომელსაც აქვს რამდენიმე დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან.

**წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ფასი (თვეში/წელიწადში)
- ელექტოგაყვანილობა/კომუნიკაციების არსებობა
- ფართის მისამართი
- იურიდიული პირის შემთხვევაში მფლობელი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა

ფართის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა
შენობის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი
შენობის სიტუაციური გეგმა

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში (ერისთავის ქ. 9) დაბეჭდილ კონვერტში 2004 წლის 19 მარტის სამუშაო დღის ბოლომდე.

**UNDP Georgia**
**9, ERISTAVI ST.**
**TEL: 25 11 26/28/29**
**FAX: 25 02 71/72**

# "კარგი ადამიანი სხვებზე ზრუნავს.."

*"საქართველოში, არაოფიციალური ინფორმაციით, 4000-მდე უნარშეზღუდული ბავშვია, რომლებსაც ეტლი სჭირდებათ. საბჭოთა კავშირის დროიდან დღემდე კი მხოლოდ 250 ეტლია ჩამოტანილი. ასეთი ბავშვები, იმის გამო, რომ ვერ მოძრაობენ, კარგავენ სწავლის, გადაადგილების საშუალებას. არადა, რამდენი ნიჭიერი ბავშვია მათ შორის?! ისინი საოცრად მონდომებულები არიან სწავლაში. ეს დანაშაულია, თუ გაქვს შესაძლებლობა და არაფერს აკეთებ მათთვის," - მიაჩნია ქალბატონ ნანა ანდრონიკაშვილს, რომელიც თავის გერმანელ მეუღლესთან ჰანს ფონ საქსენ ალტენბურგთან ერთად შორეული ამერიკიდან ზრუნავს პატარა თანამემამულეებზე.*

ლელა მარგიანი

ინტეგრირებული სწავლება გულისხმობს შეზღუდული უნარის მქონე და ჯანმრთელი ბავშვების ერთობლივ სწავლებას. სწავლების ამ მოდელს უცხოეთში უკვე 30-წლიანი ისტორია აქვს. ამერიკის შეერთებული შტატები ამ იდეის ავტორი და პირველი შემსრულებელი იყო. სწავლების ეს ფორმა მიღებულია დასავლეთ ევროპაშიც. ჩვენთან ინტეგრირებული სწავლება სრულიად ახალი ფორმაა. ორი-სამი წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სპეციალისტებმა მასზე საუბარი დაიწყეს. განათლების მიღების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანია უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, რადგან იგი, განათლების მიღების გარდა, გულისხმობს ჩაკეტილი სივრციდან – სახლიდან გარეთ , თანატოლებთან გასვლას და მათთან ხშირ კონტაქტს. ამ პროცესისთვის მზად უნდა იყოს - სკოლაც, მშობელიც და ბავშვიც. ეს პროცესი ორმხრივ სასარგებლოა ბავშვებისთვის: ისინი თავიდანვე ეჩვევიან იმ აზრს, რომ ადამიანები ზრუნავენ ერთმანეთზე, რომ საზოგადოება არაა დანაწევრებული, იგი მთლიანია.

თბილისის რამდენიმე ბაღში უკვე არსებობს ბავშვების ინტეგრირებული ჯგუფები, ხოლო მე-6 ქართულ-გერმანული საავტორო სკოლა (რამიშვილის სკოლას რომ ეძახიან), ერთ-ერთი პირველია სკოლებს შორის, ვინც სწავლების ამ მეთოდზე გადავიდა.

სკოლის დირექტორის ლალი გულისაშვილისგან შევიტყეთ, რომ მათი სკოლა, მეორე წელია, მუშაობს უნარშეზღუდულ ბავშვებთან. ამჟამად სკოლაში სხვადასხვა ასაკის და შეფერხების მქონე ათი ბავშვი სწავლობს.

"ასეთ ბავშვებთან მუშაობა განათლების სისტემის პრიორიტეტი უნდა იყოს. მათზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს; მათ ხელშემწყობი პირობები სჭირდებათ. მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების და კეთილი ადამიანების იმედად არიან," - გვითხრა სკოლის დირექტორმა. მან გვაჩვენა არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომით გარემონტებული "რესურს ცენტრი", რომელსაც სკოლის პირველ სართულზე ორი ოთახი აქვს დათმობილი. იქ ბავშვებისთვის მოწყობილია დასასვენებელი კუთხე – რბილი იატაკით და ჭრელ-ჭრელი დიდი ბალიშებით. ბავშვებს აქვთ კომპიუტერთან ურთიერთობის საშუალება, ჰყავთ ფსიქოლოგი ინდივიდუალური მუშაობისთვის. სკოლაში გაკეთებულია პანდუსები ეტლებისათვის, გარემონტდა ტუალეტი – ანუ, გარკვეულად, მოხერხდა სკოლის შენობის ადაპტაცია უნარშეზღუდული ბავშვებისთვის. მაგრამ, დარჩა ერთ დიდი, ჯერჯერობით, გადაულახავი პრობლემა – ლიფტი. სკოლას ძალიან სჭირდება ლიფტი, რათა ეტლიანმა ბავშვებმა შეძლონ დამოუკიდებლად მოძრაობა სკოლის სამსართულიან შენობაში. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, რადგან როგორც ქალბატონმა ლალიმ გვითხრა, ასეთ ბავშვებს შეცოდება კი არ სჭირდებათ, არამედ მათ თანასწორუფლებიანობის განცდა უნდა ჰქონდეთ. სკოლა სოციალური მუშაკების საჭიროებასაც განიცდის. თუმცა, მათთან აქტიურად თანამშრომლობენ მოხალისეები – თსუ ფსიქოლოგიის კათედრის სტუდენტები და მაგისტრები.

ჩვენი სკოლაში სტუმრობის მიზეზი კი ანანო და ერთი ქართველი ქალბატონი იყვნენ. ანანო თერთმეტი წლისაა და მეოთხე კლასში სწავლობს. ახალგაზრდა მშობლები და უფროსი დაიკო ჰყავს. ჩვენი სტუმრობისას მათემატიკის მასწავლებელთან ერთად გამრავლების ტაბულას სწავლობდა, მაგრამ გულახდილად გვითხრა, რომ ყველაზე მეტად "ბუნება" უყვარს. ამის დასტური იყო საკლასო ოთახის კედლებზე გამოფენილი ანანოს მიერ გაკეთებული აპლიკაციები – "მზე", "ამინდი". ანანოს ხატვაც ჰყვარებია; მოთხრობებს, ამბებს ვუკითხავთ და მერე ხატავსო, – გვითხრა მისმა უფროსმა მეგობარმა უნივერსიტეტის მაგისტრმა ნინო ულრელიძემ. ანანომ კი გაგვიმხილა, – ყველაზე მეტად ლურჯი ფერი მიყვარსო. კედლებზე მისი ნახატებიც ეკიდა: "ოჯახი", "გოგონა ყვავილებით ხელში" - ქვეშ წარწერით "ელენე, რომელიც ტყეში წავიდა და ქეთის სამკურნალოდ ბალახები დაუკრიფა".

სტუმრობის მეორე მიზეზი ქალბატონი ნანა ანდრონიკაშვილია, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად, რამდენიმე წელია, ამერიკაში ცხოვრობს და ზრუნავს ქართველ ბავშვებზე. მან და მისმა მეუღლემ სამი წლის განმავლობაში 50 ეტლი ჩამოიტანეს საქართველოში. ქალბატონმა ნანამ ამჯერადაც 20 ეტლი ჩამოიტანა: ათი - გადაეცემა ორგანიზაცია "პირველ ნაბიჯს", ათი – არასამთავრობო ორგანიზაცია "თანადგომას".

"დალასში არსებობს "პარკ-სიტის როტარი კლუბი". მე და ჩემი მეუღლე ამ კლუბის წევრები ვართ – აგვირჩიეს საინვალიდო ეტლების კომისიის თავმჯდომარედ. პირველ რიგში, ქართველ ბავშვებზე ვიფიქრეთ, რადგან ვიცოდით, მძიმე ეკონომიური მდგომარეობის და ეტლების სიძვირის გამო, ბევრ ოჯახს არა აქვს საშუალება შეიძინოს ეტლები შვილებისთვის. კლუბის წევრებმა შეაგროვეს თანხა, მაგრამ ის არ იყო საკმარისი. ამიტომ შეგროვებულ თანხას კიდევ ორმა ორგანიზაციამ – რაიონულმა "58-10" როტარი კლუბმა და "საინვალიდო ეტლების ფონდმა" დაამატა თანხა. შემდეგ "ფედერალურმა ექსპრესმა" (ლიზა დანიელი) ამერიკიდან ფრანკფურტში უფასოდ ჩაიტანა ისინი. მერე კვლავ ჩვენი მეგობარი ლერი ქოენი დაგვეხმარა და ეტლებმა თბილისში ჩამოაღწიეს. საბაჟოზე ამჯერად პრობლემები არ გვქონია. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ფინანსთა მინისტრს," – აღნიშნა ქალბატონმა ნანამ.

ყურადღების ცენტრში მყოფი ანანო თავს ცოტა უხერხულად გრძნობდა, თუმცა ახალთახალი წითელსახელურიანი ეტლი ძალიან მოეწონა. იგი ბედნიერი იყო. ცოტა ხანში მას კლასელებმა მოაკითხეს, რომლებიც, როგორც კედლებზე გამოფენილი, მათი ხელით დაწერილი და დახატული გაზეთებიდან ჩანდა, მართლაც, იმ განწყობით იზრდებიან, რაც მათ ნაწერებში ამოვიკითხე: "კარგი ადამიანი სხვებზე ზრუნავს. იგი კეთილი და მოსიყვარულეა".

# რევოლუცია შემოვიდა - შალიკიანის დაკავების ქუთაისური შეფასება

პირველი გვერდიდან

ქუთაისში სპეცოპერაცია გუშინწინ ღამით დაიწყო და სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი 18 პირის დაკავება მოხდა. სპეცოპერაციას, რომელიც უშიშროების და გულუას სპეცრაზმებმა ჩაატარეს, გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები ხელმძღვანელობდნენ. ქუთაისის ყველა გზაჯვარედინსა და ქალაქის შემოსასვლელ-გასასვლელებს შინაგანი ჯარის ნაწილები აკონტროლებდნენ. "კანონიერმა ქურდებმა" ქუთაისი კარგა ხანია დატოვეს, ამიტომაც, ძალოვანთა ძირითადი "დარტყმა" სხვა სერიოზულ დამნაშავეებზე გაკეთდა.

ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ორი დღის წინ ქუთაისში ავტომობილების გამტაცებლების მიერ სამი პოლიციელის მკვლელობას მოჰყვა. სამართალდამცველებმა აღნიშნული ფაქტი გამოწვევად მიიღეს, **"პოლიციელთა სისხლს არავის შევარჩენთ,"** – განაცხადა გია ბარამიძემ.

თუმცა, ქუთაისის სპეცოპერაციის მთავარი "ნადავლი" ბონდო შალიკიანი იყო, რომლის სახლში ნიღბიანი სპეცრაზმელების შესვლის მოტივი, ძებნილი ჩერქეზიას მის სახლში დამალვა გახლდათ. თუმცა, სამართალდამცველებმა შალიკიანის სახლში, ძებნილის ნაცვლად, იარაღის არსენალი აღმოაჩინეს. ბონდო შალიკიანის მეუღლის ეკა მინდელის განცხადებით, სპეცრაზმელები საძინებელ ოთახში გამთენიისას ფანჯრიდან შეიჭრნენ. მაშინ, როდესაც ოჯახის ყველა წევრს ეძინა. ჩხრეკამ რამდენიმე საათს გასტანა, ამ პროცესს გენერალური პროკურორი იარაკლი ოქრუაშვილი უშუალოდ ესწრებოდა. მისი ინფორმაციით, შალიკიანის სახლში აღმოჩენილია ერთი ავტომატი და "ვინჩესტერის" სისტემის თოფი, ხოლო შესასვლელში მდებარე კარადაში - ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და ასაფეთქებელი ნივთიერებების გარკვეული რაოდენობა. დაახლოებით, ათი საათისთვის შალიკიანი იმერეთის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს. **"ვის გაუგია, რომ შემოსასვლელში, სადაც ბავშვები თამაშობენ, კაცმა ავტომატები და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი შეინახოს? პოლიციამ მთელი არსენალი დაგვიდო,"** - აცხადებს შალიაკინის მეუღლე.

ბონდო შალიკიანი "კანონიერი ქურდის" ტარიელ ონიანის "მარჯვენა ხელად" ითვლება. ტარიელ ონიანთან მეგობრობას არც ქუთაისის ამჟამინდელი მერი ნუგზარ ფალიანი უარყოფს. ორივე მათგანი ონიანის ბავშვის ნათლიაა. ფალიანი და შალიკიანი ტარიელ ონიანის შვილის ნათლობაზე პარიზში ჰყავდათ მიწვეული. ადგილობრივი ტელევიზიით რამდენჯერმე გადაიცა კიდეც პარიზში ნათლობაზე გადაღებული კადრები, სცენა, როდესაც ბონდო შალიკიანი დოლარებს ჰაერში ყრიდა.

ბონდო შალიკიანი იმერეთში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება. იგი ქუთაისსა და იმერეთის სხვადასხვა რაიონებში მდებარე 14 ბენზოგასამართი სადგურის მფლობელია. მის საკუთრებაშია ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა; კერძო დეტექტიური ფირმა; ტელეკომპანია "ქუთაისი"; თერჯოლის შამპანურის ქარხანა; რამდენიმე რესტორანი. როგორც ამბობენ, იგი ტარიელ ონიანთან ერთად რამდენიმე სასტუმროსა და მსხვილი ქარხნების აქციათა პაკეტების მფლობელიცაა. თავის დროზე, იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი აცხადებდა, რომ ტარიელ ონიანმა და ბონდო შალიკიანმა ავტოქარხნის აქციათა 40 პროცენტი შეიძინეს.



*ბონდო შალიკიანის სახლიდან ამოღებული იარაღი.*

ბონდო შალიკიანმა მუშაობა სამკერვალო გაერთიანება "გელათის" ფუნთუშების ცეხში დაიწყო და პატარა სატვირთო მოტოციკლეტით ფუნთუშებს გასაყიდად დაატარებდა. ამ "ბიზნესს" უკავშირდება "კანონიერ ქურდებთან" მისი დამეგობრების ერთ-ერთი ვერსიაც. გარდა ტარიელ ონიანისა, მისი ახლო ნათესავი იყო "კანონიერი ქურდი" გიჟუა კუბლაშვილიც.

სამართალდამცველები ბონდო შალიკიანით 1990 წლიდან დაინტერესდნენ. თემურ შაშიაშვილი მას ადამიანის გამტაცებლებთან შუამავლად იხსენიებდა ხოლმე. მისი სახელი 1992-1996 წლებში მხარეში მომხდარ ადამიანის არაერთ გატაცებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, 1993 წელს ზესტაფონის ნავთობბაზის დირექტორის თამაზ გეწაძის, მეტსახელად "წკეპოს" გატაცებასთან. თუმცა, თავად შალიკიანი ამ გატაცებასთან კავშირს ყოველთვის უარყოფდა. თამაზ გეწაძის გატაცებიდან ცოტა ხანში იგი გეწაძის მოადგილე გახდა, მოგვიანებით კი - ნავთობბაზის საკონტროლო პაკეტის მფლობელიც. ვარაუდობენ, რომ შალიკიანის გამდიდრების მიზეზი, კრიმინალურ ქმედებებთან ერთად, რუსეთის ჯარების მიერ დატოვებული საწვავის მარაგის მითვისება გახლდათ. ერთ-ერთი ვერსიით, შალიკიანმა და "გიჟუამ" რუსეთის ჯარების წასვლის შემდეგ "მუხიანის" სამხედრო ნაწილში დატოვებული საწვავი ამოიღეს და გაყიდეს. აღნიშნულ ფაქტზე მასალები სამართალდამცველებს ყოველთვის ჰქონდათ, თუმცა მის მიმართ ბრალის წაყენება ვერ შეძლეს. მოგვიანებით, ბონდო შალიკიანი ნუგზარ შევარდნაძის პარტნიორი გახდა და ნავთობბიზნესში, სწორედ ნუგზარ შევარდნაძის "იბერია პლუსის" ლობირებით, წარმატებით საქმიანობდა. ერთადერთი ფაქტი, რაზეც პროკურატურამ შალიკიანის მიმართ საქმის აღძვრა გაბედა, მისი ყალბი დიპლომი გახლდათ. თუმცა, არც ეს საქმე მივიდა ბოლომდე. ერთი წლის წინ სამართალდამცველებმა შალიკიანის კუთვნილი, "მერსედესის" ჯიპის საეჭვო წარმომავლობაზეც მიიტანეს ეჭვი. მაშინდელი საოლქო პროკურორის განცხადებით, ავტომობილი ევროპაში იყო მოპარული და საქართველოში არალეგალურად შემოყვანილი, მაგრამ შალიკიანმა სამართალდამცველებს დაასწრო და ჯიპი ცხინვალში გაყიდა.

თუმცა, სამართალდამცველებს შალიკიანის მიმართ მასალები ახლაც მოეპოვებათ. საქმე ისაა, რომ მისი ფირმები "შანს-ოილი", "ოკრიბა" და "ლამპარი" 41 ვაგონი ნედლი ნავთობის რეალიზაციის შედეგად მიღებული სოლიდური მოგების დამალვაშია ეჭვმიტანილი. იმერეთის საოლქო პროკურატურაში ასევე აღძრულია საქმე კურორტ "საირმის" ამავე სახელწოდების დასასვენებელი კორპუსის არაკანონიერ პრივატიზებაზეც.

შალიკიანი ქვეყანაში არსებული "პოლიტიკური ამინდის" შესაბამისად იცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას. ქუთაისელებმა პირველად იგი "აღორძინებაში" იხილეს. მოგვიანებით, მისი პოლიტიკური შეხედულებები რადიკალურად შეიცვალა და შალიკიანი "მოქალაქეთა კავშირს", კერძოდ, ვიტალი ხაზარაძეს დაუკავშირდა. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე ბონდო შალიკიანი ტყიბულში ხელისუფლების არაოფიციალური მაჟორიტარი კანდიდატი გახდა. "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ კი, ახალ გუბერნატორს დავით მუმლაძეს დაუმეგობრდა და მას საზეიმო ვითარებაში სკამიც კი აჩუქა. საპრეზიდენტო არჩევნებისას, ტყიბულსა და ქუთაისში მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა შტაბები გახსნა და შემდეგ, ქუთაისის საკრებულოში ფრაქცია "ნაციონალისტის" ჩამოყალიბებას ცდილობდა.

ბონდო შალიკიანს ბრალს, ჯერჯერობით, მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვისთვის წაუყენებენ. თუმცა, გენერალური პროკურორის განცხადებით, ეს ბრალდება შალიკიანის საქმეში მხოლოდ პირველ ეტაპზე იქნება აქტუალური. გავრცელებული ინფორმაციით, ბონდო შალიკიანის კრიმინალური ბიოგრაფია ახლა გაიხსნება, პროკურატურას მოეპოვება მასალები, რომლის მიხედვითაც, იგი ადამიანის გატაცებაში, მკვლელობასა და სხვა დანაშაულებშია მხილებული. ხსენებულ მასალებს "24 საათის" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

# ბიუჯეტს მილიონ 350 ათასი დოლარი დაუბრუნდა

## მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ყოფილმა უფროსმა ფული დააბრუნა

*სამართალდამცველებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას შემდეგ ფინანსური სადამსჯელო სანქციები მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ყოფილი უფროსის ვახტანგ ჩახნაშვილის წინააღმდეგაც გამოიყენეს. თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დიდი რაოდენობის ზარალის მიყენებაში ბრალდებული ვახტანგ ჩახნაშვილი მეორე პატიმარია, რომელმაც საქართველოს ბიუჯეტს წართმეული თანხა დაუბრუნა.*

ვახტანგ ჩახნაშვილმა წაყენებული ბრალდება ფაქტობრივად აღიარა და მის მიერ ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალი - მილიონ 350 ათასი დოლარი ბიუჯეტს დაუბრუნა, რის სანაცვლოდაც მან თავისუფლება მიიღო.

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, ჩახნაშვილს გადასახდელი დარჩა მცირე თანხა, რომელსაც იგი უახლოეს მომავალში დაფარავს. ვალერი ხაბურძანიას თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩახნაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიება შეწყდება. **"ჩახნაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ შეწყდება, თუმცა დასახელებული თანხის გადახდის შემდეგ გამოძიება გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ჩახნაშვილისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის წინააღმდეგი არ იქნება, ანუ შუამდგომლობას, რომლითაც მისი ადვოკატი სასამართლოს მიმართავს, პროკურატურა არ გააპროტესტებს. ვიმედოვნებ, სასამართლო გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ვახტანგ ჩახნაშვილმა იმ დანაშაულისათვის, რაც ბრალად ედებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტში ზარალი აანაზღაურა,"** – განაცხადა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ.

ვალერი ხაბურძანიას აზრით, კორუფციაში ბრალდებულ მოხელეთა დაჭერებმა კონკრეტული შედეგი გამოიღო, ამის დასტურად მან ვახტანგ ჩახნაშვილის მიერ ეროვნული ბანკის ანგარიშზე 3 მილიონამდე ლარის გადარიცხვა მოიშველია.

გენპროკურორის მოადგილე იმედოვნებს, რომ გუშინდელ პრეცედენტს ის ჩინოვნიკებიც მიბაძავენ, რომლებსაც სამართალდამცველები დიდი ოდენობით თანხების მიტაცებას ედავებიან. ვალერი ხაბურძანიამ იმედი გამოთქვა, რომ დაკავებულები - აკაკი ჩხაიძე, დავით მირცხულავა და სხვები - ასევე გაითვალისწინებენ ჩახნაშვილის მაგალითს და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხავენ იმ თანხებს, რასაც მათ გამოძიება ედავება.

მისივე თქმით, დანაშაულში ეჭვმიტანილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გადარიცხვა, ფაქტობრივად, დანაშაულის აღიარებაა, რაზეც ექსპრეზიდენტის სიძე - გია ჯოხთაბერიძე სხვადასხვა მოსაზრებების გამო არ მიდის.

შეგახსენებთ, რომ ვახტანგ ჩახნაშვილი 29 იანვარს ჩატარებული სპეცოპერაციისას საკუთარ კაბინეტში დააკავეს. გენერალურმა პროკურატურამ მას ბრალი დასდო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და იარაღის უკანონო ტარებაში.

**„გენერალური პროკურატურა აქტიურად გააგრძელებს საბიუჯეტო მაქინაციების გამოძიებას და ის მილიონობით ლარი, რომელიც ბიუჯეტიდან დატაცებული იყო, მოსახლეობას დაუბრუნდება",** - განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ.

*24 საათი*

# ლევან კენჭაძის წინააღმდეგობრივი ჩვენებები

ბექა სისაური
*ქუთაისი*

2000 წლის 9 ივნისს ზესტაფონის პოლიციის ეზოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი ქუთაისის საოლქო სასამართლოში კვლავ განახლდა. საუბარია, ელიავასა და გვილავას ოჯახის წევრების მოთხოვნაზე, რომლითაც მათ უზენაეს სასამართლოს მიმართეს და მათი რეაბილიტაცია მოითხოვეს. საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით იხილავს ქუთაისის საოლქო სასამართლო. სასამართლო პროცესზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე, რომელიც ელიავას ლიკვიდაციის დროს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი იყო, უკვე დაიკითხა. აკაკი ელიავას ძმა - სპარტაკ ელიავა გარდაცვლილებს პოლიტიკური მოტივით დახვრეტილებს უწოდებს და მათ სრულ რაებილიტირებას მოითხოვს. **"გვინდა, რომ აკაკი ელიავას და გოჩა გვილავას რეაბილიტაცია მოხდეს. ჩემი ძმა 2000 წლის 9 ივნისს ვერაგულად დახვრიტეს ზესტაფონში. აკაკის მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ რუბენ ასანიძემ, მაგრამ იგი მთავარი მოქმედი პირი არ არის. მთავარი დამნაშავეები არიან ლევან კენჭაძე, კახა თარგამაძე და ვახტანგ ქუთათელაძე. ეს ყველაფერი კი უშუალოდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით დაიგეგმა... დღევანდელი ხელისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილის გვჯერა. დარწმუნებული ვართ, რომ ხელისუფლება დამნაშავეებს დასჯის,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სპარტაკ ელიავამ.

პროცესზე უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის მაშინდელი უფროსი ლევან კენჭაძე დაიბარეს. თუმცა, იგი პროცესზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. ლევან კენჭაძე ქუთაისში მაშინ ჩამოვიდა, როდესაც გადაწყდა, რომ მისი არგამოცხადების შემთხვევაში სასამართლო პოლიციას მიმართავდა და ყოფილ მაღალჩინოსანს პროცესზე იძულების წესით მიიყვანდნენ.

კენჭაძესთან ერთად პროცესზე მოწმის სახით დაიკითხნენ, სამხარეო კრიმინალური პოლიციის მაშინდელი უფროსი მურმან ლომთაძე, პოლიციელი ვიტალი ხარშილაძე და ელიავას თანამებრძოლი ზურაბ გვაზავა.

ლევან კენჭაძემ პროცესზე თავი ჯერ პენსიონერად წარმოადგინა, მოგვიანებით კი დააკონკრეტა, რომ იგი "აზოტის" დირექტორის მოადგილეც იყო. ელიავას საქმესთან დაკავშირებით იგი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ შესაბამისი შეკითხვებისთვის თავი აერიდებინა ან ორაზროვნად ეპასუხა. თავდაპირველად მან მოსამართლეს სთხოვა, რომ მხოლოდ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით ესარგებლათ. მიუხედავად თავის არიდების მცდელობისა, კენჭაძეს 2000 წლის 9 ივნისს ზესტაფონის პოლიციის შენობის ეზოში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალებზე საუბარი მაინც მოუწია. სხვათა შორის, ელიავას ლიკვიდაცია სწორედ ანტიტერორისტული ცენტრის სპეცჯგუფმა ჩაატარა.

**"სახლში ვიყავი, როდესაც უშიშროების მორიგემ დამირეკა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლა მთხოვა. იქ გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, მაშინდელი შს მინისტრი კახა თარგამაძე, უშიშროების მაშინდელი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე და მათი მოადგილეები დამხვდნენ. დამავალეს, რომ მძევლები გამეთავისუფლებინა. ზესტაფონში ვერტმფრენით ჩავფრინდით, მალევე გავიგეთ, რომ მძევლები პოლიციის შენობის უკანა კარებიდან გაჰყავდათ. სპეცრაზმის წევრები ჩასაფრდნენ და ოპერაცია ჩაატარეს,"** - განაცხადა კენჭაძემ. მისივე ინფორმაციით, ოპერაციის დაწყების ბრძანება სპეცრაზმის ხელმძღვანელმა გასცა, რაშიც ეჭვი მოსამართლეებმა იქვე შეიტანეს. კენჭაძეს, თურმე, არც ოპერაციის მსვლელობა დაუნახავს. მისი განმარტებით, ამ დროს იგი შენობას ეფარებოდა. ადვოკატმა კენჭაძისგან მოითხოვა, აეხსნა, თუ რატომ ჰქონდა ელიავას და გვილავას ახლო მანძილიდან ნასროლი. ექსპერტიზის დასკვნით, ელიავას გულ-კერდის არეში 10 სანტიმეტრის მანძილიდან ჰქონდა ნასროლი, ზურგიდან კი - 5 სანტიმეტრიდან. შეკითხვაზე ლევან კენჭაძემ უპასუხა, რომ რაზმის წევრები განურჩევლად ყველას ესვრიან, ვისაც ხელში იარაღი აქვსო. ადვოკატს კენჭაძის მიმართ კიდევ ერთი კითხვა დაებადა: თუკი სპეცრაზმელებმა ელიავასთან 5 სანტიმეტრში მისვლა მოახერხეს, რატომ არ დაიჭირეს? აღნიშნულთან დაკავშირებით კენჭაძემ განაცხადა, რომ სპეცრაზმელებს ადამიანთა დაკავებას არ ასწავლიანო. აღნიშნული პირისგან პასუხგაუცემელი დარჩა კიდევ ერთი კითხვა, თუკი მას მძევლების გამოხსნა დაავალეს, რატომ არ აწარმოა ელიავასთან მოლაპარაკება? კენჭაძე ცდილობდა, პასუხისმგებლობა სპეცრაზმელებისთვის დაეკისრებინა.

საბოლოოდ, მოსამართლე ვერა დოლიძემ ლევან კენჭაძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები წაიკითხა. აღმოჩნდა, რომ კენჭაძის მიერ პროცესზე ნათქვამი არსებითად განსხვავდებოდა მისი თავდაპირველი ახსნა-განმარტებებისგან. **"ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა, რომ მძევლები ზესტაფონის პოლიციის უფროსის კაბინეტშივე გაგვეთავისუფლებინა, მაგრამ როდესაც გავიგეთ, რომ ისინი შენობიდან გადიოდნენ, გავეცი ბრძანება, რომ სპეცრაზმის წევრები პირველ სართულზე სახანძრო კიბით ჩასულიყვნენ და ჩასაფრებულიყვნენ. როდესაც ეზოში ჩავედი, ელიავა ასანიძეს აძალებდა, რომ მანქანაში ჩამჯდარიყო, მე რაციით ოპერაციის დაწყების ბრძანება გავეცი,"** - ასეთი გახლდათ კენჭაძის თავდაპირველი ჩვენება, რომლიდანაც ჩანს, რომ ბრძანებებს სპეცრაზმის ხელმძღვანელის ნაცვლად უშაულოდ ის იძლეოდა.

**"რასაც პოლიციელები აცხადებენ, მათგან 90 პროცენტი ბლეფია. ისინი თავის გადასარჩენად რაღას არ იტყვიან... ჩვენი მხრიდან სროლა გამორიცხული იყო. რადგანაც პოლიციის შენობიდან გამოსვლისას არ ვიცოდით, ჩასაფრებულნი თუ იყვნენ. შენობიდან ჩვენი გამოსვლისთანავე სროლა დაიწყო.... მთავარი ის არის, რომ სპეცრაზმელებმა დაჭრილი ხალხი მერე დახვრიტეს, ამის დამადასტურებლად ექსპერტიზის დასკვნებიც არსებობს... ისინი როგორ დახვრიტეს, მე არ დამინახავს, რადგანაც უკვე დაჭრილი ვიყავი და განყოფილებაში ამიყვანეს. მაგრამ ვიცი, რომ სროლა მეორედაც იყო. პირველად გავარდა შვიდი-რვა ტყვია და დაახლოებით ათი წუთის შემდეგ სროლის ხმა კიდევ გავიგონე,"** - განაცხადა თვითმხილველმა გვაზავამ. აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის ადგილიდან გაქრა ელიავას "სტეჩკინი" და მობილური ტელეფონი. **"ამ სასამართლოსგან სიახლეებს არ ველით, რადგანაც საქმე შევარდნაძის პერიოდში მეტად ტენდენციურადაა გამოძიებული. ამიტომაც საქმე აუცილებლად ხელახალ გამოძიებაში უნდა დაბრუნდეს. უახლოეს ხანში ჩვენ შეხვდებით გენერალურ პროკურორს, თუ საჭიროა - პრეზიდენტსაც,"**-განაცხადა სპარტაკ ელიავამ. სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე კიდევ რამდენიმე მოწმე დარჩა დასაკითხი.


## როგორი უნდა იყოს სკოლა რომელშიც ჩვენი შვილები სწავლობენ?

ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენ თავად უნდა გადავწყვიტოთ!

საქართველოს არაერთ სკოლაში მშობლებმა უკვე აირჩიეს სამეურვეო საბჭოები და ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში.
თუ თქვენ გსურთ, რომ იმ სკოლაში სადაც თქვენი შვილი სწავლობს შეიქმნას ასეთი საბჭო, გაინტერესებთ საბჭოების მუშაობის პრინციპი და პრაქტიკა

დაგვიკავშირდით ტელეფონზე
93 66 15
თავისუფლების ინსტიტუტთან არსებული იურიდიულ სამსახურში.

პროექტს ახორციელებენ: "ასოციაცია ALPE", "თავისუფლების ინსტიტუტი" და "სამართლიანი არჩევნები", ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები"-სა და "USAID" ის მხარდაჭერით;

ერთად ავაშენოთ ჩვენი სკოლა

ALPE
Save the Children


# ხუთი ტომარა კონტრაბანდული ფქვილი და სროლა წითელ ხიდზე

მაია მოსიაშვილი

გუშინ წითელი ხიდის საბაჟო ტერმინალთან არეულობა რამდენიმე საათის მანძილზე გრძელდებოდა. როგორც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი გოდერძი ჩარქსელიანი ამბობს, მოვლენები იქ სწრაფად და მოულოდნელად განვითარდა.

დაახლოებით 12 საათისათვის საბაჟო ტერმინალს აზერბაიჯანის მხრიდან 7 ავტობუსი მიადგა. პირველი "იკარუსი" მებაჟეებმა დაათვალიერეს და, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მათ იქ 5 ტომარა ფქვილი და სამი "კანისტრა" დიზელის საწვავი აღმოაჩინეს, რომელზეც მძღოლს არანაირი დოკუმენტი არ ჰქონდა. მძღოლსა და მებაჟეებს შორის საქმის გარჩევა იმით დამთავრდა, რომ გულმოსულმა აზერბაიჯანელი ეროვნების მძღოლმა ავტობუსი დაქოქა და საბაჟო ტერმინალის კარი გამოანგრია.

**"კაცი, რომელსაც ყვითელი ქურთუკი ეცვა, ყვიროდა, ესროლეთ, ესროლეთო. ერთი ჰაერში გაისროლეს და მეორე პირდაპირ ავტობუსის საბურავს მოარტყეს,"** - ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი ქალბატონი.

დანარჩენი 6 ავტობუსის მძღოლებმა პირველს სოლიდარობა გამოუცხადეს და მათ, პროტესტის ნიშნად, ერთი საათის მანძილზე მთავარი მაგისტრალი ავტობუსებით ჰქონდათ გადახერგილი. პიკეტი მხოლოდ მაშინ დაიშალა, როცა იქ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ჩავიდა.

უკვე საღამოს პოლიციელებმა რუსთავში, სამხარეო პროკურატურაში მიიყვანეს ორი მძღოლი, რამდენიმე თვითმხილველი და მებაჟე-მესაზღვრეები. მათი დაკითხვა გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ქვემო ქართლის მხარის პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, არ არის გამორიცხული, დადგეს იმ მესაზღვრეების პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელბმაც გასროლა განახორციელეს. როგორც თავად მესაზღვრეები აცხადებენ, მათ საბაჟო ტერმინალში ყოფნის უფლებაც ჰქონდათ და სროლისაც. **"როდესაც ქვებს გესვრიან და კონტრაბანდით დატვირთული ავტობუსი არ გემორჩილება, სხვანაირად როგორ უნდა გააჩერო?"** - კითხულობენ მესაზღვრეები.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რა ბედი ელის "იკარუსის" დაუმორჩილებელ მძღოლს. ფაქტია, რომ პოლიციამ კონტრაბანდა ავტობუსში ვერ დააფიქსირა. წითელი ხიდის საბაჟოს უფროსი გონგაძე ირწმუნება, რომ საბურავდაშვებული მანქანიდან კონტრაბანდული ტვირთი მგზავრებმა ტაქსებში გადაალაგეს და იქაურობას მოაცილეს. თუ ეს მართლაც ასე იყო, საკითხავია, სად იყვნენ ამ დროს მებაჟე-მესაზღვრეები.

ქვემო ქართლის პროკურატურა გუშინ წითელი ხიდის ინციდენტის შესახებ მოკვლევას აწარმოებდა, დღეს კი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე გადაწყვეტილებას მიიღებს.




# მხოლოდ სიმართლე, თუნდაც სიცოცხლის ფასად

თამაზ ცინცაძე
"გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარას" დარბაზის ვიცე-სპიკერი



დაპირისპირებით ხელისუფლების შენარჩუნება ილუზიაა.

დადგა დრო, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ!

უნდა ვთქვათ, რომ აჭარაში რეალურად ჩამოყალიბდა შეიარაღებული "საგუშაგოები", რომლებსაც ამოცანად დაუსახეს, შექმნან ფსიქოზი, დააშინონ მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც ხმის ამოღება გაბედა. ეს "საგუშაგოები" არჩევნების დროსაც დიდ როლს შეასრულებენ.

აჭარაში მიმდინარეობს მოსახლეობის დეზინფორმაციით გაბრუება, ხალხის დაბნევა სარწმუნოების ან ავტონომიიის თემატიკით. ამ დროს ყველამ უნდა იცოდეს, რომ არავინ აპირებს ამ თემების დღის წესრიგში დასმას.

5 თებერვალს აჭარის ხელისუფალის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, აჭარაში შეიარაღებული ფორმირებების შემოჭრის შესახებ, მოსახლეობაში სერიოზული შეშფოთება და მორიგი გაუგებრობა გამოიწვია. თუ დღეს მართლაც არიან ადამიანები, ვისაც აჭარაში არეულობა სურს, ისინი გამოძიებამ იმ "სახალხო რაზმებში" უნდა ეძებოს, რომელშიც ჩართულნი არიან კრიმინალები.

ეს იმ ხელოვნურ ფსიქოზს გვაგონებს, "ურეკის შეთქმულებად" რომ მოინათლა, როცა აჭარის მეთაურზე ვითომ ტერაქტი იგეგმებოდა და აჭარაში ზურაბ ჟვანიას და როსტომ დოლიძის - "როგორც "შეთქმულების ორგანიზატორების" - მიმართ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა. აჭარის ხელისუფალმა მოსახლეობას არ აკმარა ის სირცხვილი, რომელიც თბილისში, გასული წლის ნოემბერში, აჭარიდან მოსახლეობის ჩაყვანასთან და შეურაცხმყოფელ ფინალთან იყო დაკავშირებული, არ აკმარა ის გაუგებრობები და ხელოვნურად შექმნილი უხერხულობები, რაც 4 იანვარს აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნებს მოჰყვა, და ახლა ახალი ჭორი ააგორა, აჭარის ხელისუფლების ძალადობის გზით დამხობის შესახებ.

აჭარის ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა ძალადობითა და მასთან დაკავშირებული არაცივილიზებული მეთოდებით, არამედ არჩევნების გზით. ახლა ატეხილი აჟიოტაჟი კი იმისთვისაა საჭირო, რომ მოსახლეობაში დაძაბულობა შექმნან, რომ მოსახლეობამ ომსა და არეულობას, ისევ აჭარაში არსებული ხელისუფლება არჩიოს.

აჭარის ხელისუფლება აქედანვე აღვივებს წინასაარჩევნო აჟიოტაჟს; ახლავე ცდილობს, საფუძველი ჩაუყაროს, შექმნას იმის პირობა, რომ მომავალი არჩევნები აჭარაში დამკვიდრებული მეთოდებით ჩაატარონ, ანუ არჩევნები მასიურად გააყალბონ და სასურველ მიზანსაც მიაღწიონ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არ იქნას გადამოწმებული ხელოვნურად გაბერილი სიები, სადაც არასრულწლოვან მოსწავლეებთან და გარდაცვლილებთან ერთად, მოგონილი, არარსებული სახელი და გვარებიც გამოაშკარავდება.

აჭარის ხელისუფალს არ უნდა, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და აღიაროს, რომ, პრეზიდენტყოფილთან ერთად, ბოლო პერიოდის ყველა პოლიტიკური თამაში წააგო. ვაჟკაცური სულის ადამიანებისთვის, რაზედაც აჭარის ხელისუფალს პრეტენზია აქვს, პირველი დამახასიათებელია დამარცხების აღიარება, მაგრამ ეტყობა, ყოველივე ეს აჭარის ხელისუფალს უკვე აღარ აღელვებს.

აჭარის ხელისუფლების პირველ პირს ეტყობა, არ უნდა გააცნობიეროს, რომ ადამიანები არ შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპიროს. ეტყობა, შეფასებას არც აძლევს მოსალოდნელ შედეგს. თუ რომელიმე მხარეს სისხლი დაიღვარა, აჭარის ხელისუფალი სავარძელს არა თუ ვერ შეინარჩუნებს, არამედ მას საქართველოში აღარ ეცხოვრება და დანაშაულზე პასუხს შთამომავლობით აგებს. შანტაჟის გზა და ხალხის დაპირსპირება არათუ შეცდომა, არამედ დანაშაულის ტოლფასია.

თუ ვინმე მართლაც აპირებს აჭარაში ძალთა დაპირისპირებისა და ძალისმიერი გზით სასურველ შედეგს მიაღწიოს, ეს გზა დამღუპველია. ეს უნდა ესმოდეთ თბილისშიც და ბათუმშიც, ხოლო აჭარის ხელისუფალმა უნდა შეიგნოს, რომ მას მოსახლეობაში ის მხარდაჭერა არა აქვს, რასაც მას გარემოცვა გამუდმებით უმტკიცებს.

ჩემს გულახდილ განცხადებებს აჭარის ხელისუფლება ნაცადი მეთოდით - ანგარიშსწორებით თუ უპასუხებს, შეიძლება მე პიროვნულად დავზარალდე, მაგრამ ვარწმუნებ, პროცესები ამით არ შეჩერდება და ხალხი საკადრის პასუხს გასცემს მას.

იმედია, ამ პუბლიკაციის შემდეგ მაინც წაიკითხავენ იმ წერილებს, რომლებიც ჯერ კიდევ 2000 წელს აჭარის ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციის ხელმძღვანელს ჯემალ გოგიტიძეს გავუგზავნე. ამ წერილებში მრავალ საკითხთაგან ერთ აბზაცს გავიმეორებდი: "ძალიან შორს ხართ, ბატონებო, დემოკრატიული ფასეულობებისაგან. დემოკრატობას რომ ჩემობთ, დემოკრატები თქვენებრ არ იქცევიან. თავი რომ მოგაქვთ, თითქოს ხალხის რჩეულნი ბრძანდებით, რატომ გავიწყდებათ, რომ რჩეულები ხალხს უნდა ემსახურონ და არა პირიქით."

აჭარის ხელისუფალს კი მთავარ სათქმელს შევახსენებ: პოლიტიკური უზნეობაა აჭარის ხელისუფლებისაგან განსხვავებულად მოაზროვნეებს "მეხუთე კოლონად" ნათლავდე. ესენი სწორედ ის ადამიანები არიან, ვისაც მოთმინების ფიალა აევსო და ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე გაზულუქებულ, თავგასულ ადამიანებს განუცხადეს - დღეს აჭარაში არსებული რეჟიმის ცივილიზებული წესით შეცვლაა საჭირო და ამ პროცესის ჩასახშობად შანტაჟი და იარაღის ჟღარუნი ნამდვილად არ გამოდგება!

ვის უპირებენ იარაღის სროლას? იმათ ხომ არა, ვინც სიმართლეს თვალი გაუსწორა? თუ ასე მოხდა, ყველაფერი ისე არ დამთავრდება, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. ნუ გამორიცხავენ იმასაც, რომ სწორედ მათ მიერ ჩამორიგებული იარაღი, რომლის ერთი ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, გაუწონასწორებელი ადამიანების ხელში აღმოჩნდა, მათვე შეუბრუნონ.

იმის საილუსტრაციოდ, პოლიცია და საჯარისო ნაწილები დაუპირისპირდებიან თუ არა ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას, "ვარდების რევოლუციის" მაგალითიც გამოდგება. გასული წლის 23 ოქტომბერსაც, ბათუმში "ნაციონალების" მიტინგის დარბევისას, არც საჯარისო ნაწილებს და არც პოლიციას არ უაქტიურია. "თავი გამოიჩინეს" იმ "შაოსნებმა", რომელთა წარმომავლობა თუ დაფინანსების საკითხი დღემდე არავის გამოუკვლევია.

აჭარის ხელისუფლების იძულებით გადაყენება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოსალოდნელი: თუ 28 მარტს აჭარაში საპარლამენტო არჩევნები ჩვეული და დამკვიდრებული მეთოდებით ჩატარდება, ანუ მასიურად გაყალბდება და ძალადობის გზით შეეცდებიან აჭარაში "აღორძინების" უპირატესობა დააფიქსირონ, აჭარის მოსახლეობა ამ სიყალბეს ველარ შეეგუება და სათქმელსაც ხმამაღლა იტყვის.

წინასაარჩევნოდ კი აჭარის ხელისუფლებას მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარება მოუხდება, თუ რა გააკეთეს დუხჭირ ყოფაში ჩავარდნილი მოსახლეობის დასახმარებლად; თუნდაც - ჩაის, როგორც სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის გადასარჩენად. ამჯერად აჭარის ხელისუფლების ნაღვაწს, საზოგადოება თვით ხალხისთვის გაკეთებული საქმეებით შეაფასებს. ამ კრიტერიუმით კი აჭარის მმართველი პარტია არჩევნებს წააგებს. ამას ახლავე გრძნობენ და სწორედ ამიტომაა იარაღის ჟღარუნი, სწორედ ამიტომ ქმნიან მობილურ ჯგუფებს.

ოპოზიციას კი ისღა დაგვრჩენია, ხმამაღლა განვაცხადოთ - ფრთხილად, ბატონებო! აჭარაში სისხლის დაღვრაზე ლაპარაკიც კი პროვოკაციაა.

"აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერის ახლო წარსულში ნათქვამი გავიხსენოთ: აჭარაში რომ აფხაზეთი განმეორდეს, ჩვენთან ლტოლვილი არ იქნებაო. ალბათ გასაგებია, ეს განცხადება რასაც ნიშნავს. ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან. ჩვენ, მათგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებმა, პროვოკაციას თანადგომით, შეთანხმებული, კონსტიტუციითა და კანონით უნდა ვუპასუხოთ.

აჭარის ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გაცილებით მეტი თანამოაზრე და გულშემატკივარი გვყავს, ვიდრე მას ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიან. უკმაყოფილებასა და ხელისუფლების ქმედებებზე გულისტკივილს ისინიც კი არ მალავენ, ვინც აჭარის ხელისუფლების მხარდამჭერთა დემონსტრაციებს წინ მიუძღვიან.

აჭარის ხელისუფლებამ რა გზასაც არ უნდა მიმართოს, სიმართლეს ვერ გაექცევა. ამჯერად კი სიმართლე მის მხარეს არაა. მთავარია მოსახლეობა არ დაიბნეს, სწორი არჩევანი გააკეთოს. მაშინ აჭარის ხელისუფლების წახალისება ფოჩებიანი კანფეტებით - ერთჯერადი დახმარება იმ ეფექტის მომცემი არ იქნება, რასაც ისინი მოელიან.

ბოლოს კი, უადგილო არ იქნება, მკითხველს თუ ამასწინანდელ სატელევიზიო გადაცემას შევახსენებ, რომელშიც ცნობილი პუბლიცისტი მელორ სტურუა მონაწილეობდა. მან ტელეწამყვანის კითხვაზე, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თანამდებობიდან წასვლა ხომ არ დააგვიანაო, უპასუხა: "დიახ, დააგვიანა. როცა მაღალი რანგის ხელმძღვანელები, პოლიტიკოსები, თანამდებობიდან წასვლას თუნდაც ერთი დღით აგვიანებენ, მათი კარიერა სასურველი შედეგით არ მთავრდება."

იქნებ ჯობდა, აჭარის ხელისუფალს ეს მინიშნება გაეთვალისწინებინა.



www.24hours.ge 24 B

რეტრო

# რა არის მოდა?

*მასალა, რომელსაც გთავაზობთ, გამოქვეყნდა 1902 წელს, ყოველკვირეულ "კვალში" და ეკუთვნის ცნობილი ქართველი მწერალის, გრიგოლ რობაქიძის კალამს.*

გრიგოლ რობაქიძე

დადგა მაისი... ბუნება იღვიძებს და ათასნაირათ იშლება მისი წარმტაცი სახე... გაიფურჩქნა მრავალფეროვანი ყვავილები და მიდამოს მოფინეს მათ თავისი სუნნელება... ამწვანდა მთები, ამწვანდა ველი... ტყე შეიმოსა ნორჩი ფოთლებით, რომლებსაც ცელქი ნიავი საამურათ არხევს, თითქო მისი შრიალით ყველას აცნობოს ბუნების განახლება, ბუნების გაღვიძება...

იღვიძებს და ათასნაირათ იმოსება ბუნება... მაგრამ არა ნაკლებ იმოსება მისი ღვიძლი შვილი - ადამიანი! აი, გაიხედეთ თუ გინდ ამ წამსა, როგორ ყველა სხვა-და-სხვა ნაირათ ეწყობა, სხვა-და-სხვა ფერათ იმოსება... დადგა ეგრეთ-წოდებული "მოდის" დრო...

მაშ ზედ-მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვით მოვილაპარაკოთ ამ მოდაზე! რა არის მოდა და რის გამომხატველია იგი?.. აი, კითხვა, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ამ წერილში*... დავიწყოთ აბა!..

ადამიანის ბუნება ერთი წამითაც არ არის შეჩერებული ერთსა და იმავე წერტილზე... ის ნიადაგ მოძრაობს და ნიადაგ იცვლება... ხან მოძრაობს, ხან ისვენებს; ხან მუშაობს, ხან ჩერდება... დაახლოვებით ამნაირათვე ხდება ჩვენ სულიერ მდგომარეობაშიაც... ჩვენი გონება თხოულობს საზოგადო ცოდნას რომელიმე საგანზე; მაგრამ ამასთანავე მას უნდა გაიგოს მისი უკანასკნელი წერტილი, მისი ყოველნაირი წვრილმანი. ჩვენი გრძნობა ხან თხოულობს მშვიდათ დამორჩილებას ადამიანთა ხელ ქვეშ, ხან კი გვიწვევს მათთან ენერგიულ ბრძოლისათვის... ჩვენი ზნეობა კმაყოფილდება ხან მაშინ, როცა ჩვენი "მე" დაახლოვებული და დამზგავსებულია სხვებთან, ესე იგი, როცა ის გაერთიანებულია საზოგადო წრეში; ხან კი, პირიქით, ჩვენი ზნეობრივი გრძნობა მაშინ კმაყოფილდება, როცა ჩვენი პიროვნება განსხვავებულია სხვებისაგან, გამოცალკევებულია საზოგადოებისაგან. ერთი სიტყვით, ჩვენი ბუნება შედგება სხვა-და-სხვა ნაირ მოძრაობათაგან, რომელნიც ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებიან და მით სავსეთ და მრავალფეროვნათ ხდიან ჩვენს სიცოცხლეს დაბადებითგან სიკვდილამდე. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვიერათ გამოვხატოთ უკანასკნელ სიმთა მოძრაობა ადამიანის ბუნებისა; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ მათი საერთო ტონი, მათი საერთო მიმართულება... და აი კიდეც, ჩვენი ბუნების მაგვარი მოძრაობანი შესაძლოა გავანაწილოთ ორ უმთავრეს ნაკადულათ: ერთი მხრით, პიროვნება მიისწრაფის საზოგადო გაერთიანებისაკენ, მეორე მხრით - კერძო გამოცალკევებისაკენ... კაცობრიობის განვითარებაც ამ ორი გზით მომდინარეობდა: თუ ერთი მხრით ის იცავდა ყველა მას, რაც რომ მიელო წინანდელი განვითარებით, მეორე მხრით მას კიდეც არღვევდა ახალ გზისათვის, ახალ თვისებისათვის. ავიღოთ მაგალითათ თუ გინდ ბიოლოგიური განვითარება ორგანიზმისა. აქ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ყოველი ორგანიზმი იცავდა და იცავს მას, რაც რომ გადმონაცემი აქვს მემკვიდრეობის კანონით ჩამომავლობისაგან; მაგრამ ამასთანავე ის ისწრაფოდა და ისწრაფის ნიადაგ ცვალებადობისაკენ, ახალი თვისების შეძენისაკენ... ამ რიგათ, რა ნაირათაც კი უნდა შევხედოთ ადამიანის ბუნებას, ჩვენ მაშინვე შევამჩნევთ, რომ ის ისწრაფის ხან საზოგადო გაერთიანებისაკენ, ხან კერძო გამოცალკევებისაკენ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადო გაერთიანება, ანუ ერთმანეთის დამზგავსება გამოიხატება **წაბაძვაში.** თუ ცოტათ მაინც დავაკვირდებით ადამიანთა დამოკიდებულებას, მაშინვე თვალწინ დაგვესახება ერთიმეორის ბაძვა. ეს უკანასკნელი ბევრს რამეში გამოიხატება: ლაპარაკს, სიარულს, მიმოხვრას, ზნე-ჩვეულებას, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენს მოქმედებას წაბაძვის დაღი ასვია. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი რამე, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ბაძვის საგნათ არ გადაიქცეს... ამგვარი გავრცელება წაბაძვისა აიხსნება იმ სარგებლობით, რომელიც მას აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს სარგებლობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ წაბაძვის დროს არ გვეხარჯება შემოქმედებითი ძალა და არ ვკარგავთ დროს რამეს გამოგონებისათვის... ჩვენ წინ გვხვდება მზა ნიმუში, რომელსაც მიბაძვით სისწრაფით და ადვილათ ვითვისებთ... ამასთანავე წაბაძვა, მეორე მხრით მფარველობაცაა: ჩვენ ვბაძავთ მას, რაც რომ საყოველთაოთ მიღებულია, და ამ შემთხვევაში - ასე რომ ვთქვათ - ჩვენ საზოგადოების მფარველობას ვიღებთ... საზოგადოება გვაძლევს მზა ნიმუშს, მაგალითათ ყოფა-ქცევისას, და ამით კიდეც გვათავისუფლებს კერძო პასუხის-გებისაგან... ამგვარათ, წაბაძვა აკმაყოფილებს ჩვენი ბუნების ერთ მიდრეკილებას, სახელდობ - საზოგადოებაში გაერთიანებას, ერთი-მეორის დამსგავსებას... მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს ჩვენ მისწრაფებას განსხვავებისაკენ, კერძო გამოცალკევებისაგან... და აი, აქ იჩენს თავს **მოდა** თავისი მრავალფერიანობით! ის ერთ მხარესაც აკმაყოფილებს და მეორესაც... თუ რა ნაირათ, ამას გავიგებთ შემდეგით...

ავიღოთ პირველათ ჩვენი მიდრეკილება ერთი-მეორის დაახლოვება - დამსგავსებისაკენ... ამ შემთხვევაში მოდა (რამდენათაც ის არის გამოწვეული წაბაძვისაგან) გვამოქმედებს ისე, როგორც სხვები მოქმედობენ. თუ ვინმე იცვამს მოდის შესაფერ ტან-საცმელს, - ჩვენც იმგვარათვე ვეწყობით. შამოვიდა თუ არა მოდაში ახალი მიხვრა-მოხვრა, ახალი ყოფა-ქცევა, - ჩვენც მას მივდევთ, ჩვენც ისე ვიქცევით. მაშასადამე, მოდა გვამზგავსებს ერთი-მეორეს და მით კიდეც გვაახლოვებს და გვაერთებს საზოგადოებაში. ეს ერთი მხრით. ავიღოთ ახლა მეორე მხარე ჩვენი ბუნების მიდრეკილებისა, სახელდობ, ჩვენი მისწრაფება განსხვავება - განცალკევებისაკენ... ამასაც რომ მოდა აკმაყოფილებს! ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიქცევით ისე, როგორც შარშან და შარშან წინ ვიქცეოდით. თუ უწინ რომელიმე ტან-საცმლის ფორმას ვიცვამდით, ახლა ის აღარ გვაინტერესებს და სულ - სხვა გვაქვს მხედველობაში... ამნაირათვე ხდება ყველა სხვა მოქმედებაშიაც... ეს ითქმის მოდაზე, თუ მთელ საზოგადოებას ვიქონიებთ სახეში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მოდა უმეტეს ნაწილათ კლასიური და წოდებრივია, - ასე რომ ერთ კლასს ერთი მოდა აქვს, მეორეს - მეორე, ერთს წოდებას - ამნაირი, მეორეს - სხვა ნაირი და ასე ამნაირათ... მიუხედევათ ამისა, მოდა აქაც ის არის, რაც სხვაგან. თუ ერთი რომელიმე კლასის ან წოდების წევრები მოდის წყალობით ერთი-მეორეში დაახლოვებული და გაერთიანებული არიან, მეორე მხრით ისინი მისივე წყალობით გარჩეული და გამოცალკევებული არიან სხვა რომელიმე კლასის ან წოდების წევრებისაგან... ასე რომ მოდა აქაც აკმაყოფილებს ჩვენი ბუნების ორგვარ მიმართულებას... ამ შემთხვევაში ის საუკეთესო გამოხატვაა საზოგადოების სხვა-და-სხვა კლასებათ და წოდებათ დანაწილებისა. მზგავსათ იმისა, თუ როგორც უწინ პატიოსნება მხოლოთ ერთ წოდებას ეკუთვნოდა და მარტო მას ახასიათებდა, მოდაც ამნაირათვე ერთ რომელიმე კლასს ან წოდებას ახასიათებს... ჩვენი ყოველგვარი მოქმედება, ტანისამოსი, ესტეტიური მსჯელობა, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი სიცოცხლე მოდის შეცვლასთან თვითონაც იცვლება და სხვაფერდება. პირველათ მოდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, **"ახალი მოდა"** ხდება უმაღლეს საზოგადოების წრის ხვედრათ. ამით მისი წევრები ცალკევდებიან მდაბალი ხალხისგან, თვითონ კი ერთი მეორეს უახლოვდებიან... ამისათვის, როგორც კი მდაბალი წრის ხალხი გადაიღებს მათგან ახალ მოდას, მაღალი წრის წარმომადგენელნი მაშინვე სტოვებენ მას და მიისწრაფიან სხვა მოდისაკენ... ამნაირათ ხდება წოდებათა შორის... მაგრამ, თუ რომელიმე საზოგადოებაში წოდებათ დაყოფა არ არსებობს, მაშინ მოდა ნახულობს თავს თემობრივ გარჩევაში. ზოგიერთ ველურ თემებზე ჩვენ გადმოგვცემენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთგვარ პირობებში ცხოვრობენ, მით უმეტეს ნაწილათ მოდა სხვა-და-სხვა ნაირი აქვთო. აქ მოდა აახლოვებს ერთი-მეორეში განსაზღვრულ თემის წევრებს და ამასთანავე ასხვავებს და აცალკევებს მათ სხვა სხვა თემის წევრებისაგან... ამნაირათ მოდა, სადაც კი არსებობს ის, ყოველთვის ხატავს, ერთი მხრით, დამზგავსებას სხვებთან და მეორეთი - მათ განსხვავება-განცალკევებას... ამისათვის თავის თავად იგულისხმება ის გარემოება, რომ იქ, სადაც არ არსებობს ამგვარი მიდრეკილებანი, იქ არც მოდას აქვს ადგილი. ამას ნათლათ ამტკიცებს ბევრი ველური ხალხის მაგალითი, სადაც მოდა უმოძრავო და ერთსა და იმავე წერტილზეა დიდხანს მიყვანილი. პირ-იქით, განათლებულ ერში, სადაც ცხოვრება ნიადაგ დუღს და მოძრაობს, მოდაც მოძრავია და კიდეც დღითი-დღე იცვლება... იქაც კი, სადაც ყველას ძულს მიბაძვა და ყველა მიისწრაფის განსხვავებისაკენ, არც იქ არსებობს მოდა. ამისდა მიხედვით 1390 წელს ფლორენციაში, რასაკვირველია, რომ არ იქნებოდა მოდა მამა-კაცთა ტანსაცმელზე, რადგან ყოველი მათგანი იცვამდა ისე, როგორც რომელიმე წამს მოეხასიათებოდა.



"კვალის" მკითხველი ხშირად ნახავს ჩვენს ნახატებზედ შვენიერ ისტორიულ ძველებურ ქართულ ტანისამოსს. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი ქალები არა თუ ბაძვენ ამ გვარ ტანისამოსს, თვით ქართული თავ-დახურული ქალებიც ამ ბოლოს დროს იშვიათი გახდენ ჩვენში და ყველა მიელტვის ევროპულ ტანისამოსს.

ამიტომაც დრო გამოშვებით ჩვენ მკითხველ ქალებს ავუწერთ და დავუხატავთ, თუ როგორ იცმენ ახლანდელი ევროპიელი ქალები.

"კვალი" N25, 20 ივნისი, 1893 წელი



ამნაირი დაკმაყოფილებით მოდა აყოყოჩებს და თითქო წინ აყენებს მდაბალ და დაწვრილმანებულ პიროვნებას. ეს უკანასკნელი გრძნობს მაშინ თავის თავს მთელი ჯგუფის წარმომადგენლათ და ამისათვის მოდასაც აჭარბებს უკიდურეს ხარისხამდე. თუ მოდათაა შემოღებული მაღალი საყელოების ტარება, - მაშინ იმგვარი ფრანტი მას თითქმის ყურებამდის იკეთებს. თუ გავრცელებულია ვიწრო შარვალი, - მაშინ ის ამ უკანასკნელს ისე გააკეთებიებს, რომ მთლად ქონდეს ტანზე შემოსხვეტილი. თუ შემოიღეს მოდათ წირვა-ლოცვაზე სიარული, - მაშინ ის დილიდგან საღამომდე ეკლესიაში იქნება ხოლმე და სხვა. ამნაირად მოდის გავრცელებაში ეს პირი მიდის ყველაზე წინ და პირველი შეხედვით კიდეც გეგონებათ, ვითომ ის უკვლევდეს გზას საზოგადოებას. მაგრამ, როცა დავაკვირდებით, ჩვენ მაშინვე შევნიშნავთ, რომ ის მხოლოდ გადაჭარბებული გამომხატველია მისი, რაც რომ უკვე შემოღებულია საზოგადოებაში - და მეტი არაფერი...

მოდის წარმოშობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინმემ რა გამოიგონა. საკმაოა სულ ცოტათ შეიცვალოს ან მიემატოს მას რაც რომ უკვე აღიარებულია მოდათ, რომ გაჩნდეს ახალი მოდა. ეს ყოველთვის ასე ხდება, მხოლოდ უმრავლესობის შეუმჩნევლათ. მოდის გამომგონებელიც ორნაირათ კმაყოფილდება. ერთი მხრით, ის ცალკევდება სხვებისაგან და აქ კმაყოფილებას პოულობს მისი გრძნობა გარჩევისა, ორიგინალობისა, ყველას ყურადღებას იქცევს. მეორე მხრით, მას ბაძავს ყველა და ამისათვის კმაყოფილდება მისი გრძნობაც სხვებთან დაახლოვებისა და გაერთიანებისა.

ავიღოთ ახლა ქალები და კაცები, რომელნი უფრო არიან მოდით გატაცებულნი? რასაკვირველია რომ ქალები! და ეს ადვილი ასახსნელია... ქალები არიან ძლიერ მსუბუქი არსებანი... ამისათვის პირადი გრძნობა მათში თითქმის სულ ამოშლილია... ისინი ერთი-მეორეს უფრო ემზგავსებიან, ვიდრე მამა-კაცები. აქედგან, ისინი ერთი-მეორეს უფრო ბაძავენ, ესე იგი, უფრო მისდევენ ახალ მოდას...

ამრიგათ, მოდის შინაარსი გამოიხატება იმაში, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა ყოველთვის მას იცავს, როცა უმრავლესობა მხოლოთ მისკენ მიისწრაფის. რაკი მოდა ყველაზე გავრცელდება, ესე იგი, როცა მას ყველა ითვისებს, მაშინ მოდა კარგავს თვით-არსებობას, ის აღარ არის მოდა... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოდა როგორც უცბათ იბადება, ისე მალე კვდება. ვთქვათ, დაიბადა მეცნიერებაში ახალი მოძღვრება. ეს არ არის მოდა, რადგან მისი მერმისი ყველასა რწამს... მოდა კი სულ სხვანაირია. მოდა მხოლოთ მისთვის არის მოდა, რომელმაც კარგათ იცის, რომ ის მალე მოკვდება და გაქრება. მაგრამ აქ თქვენ დამეკითხებით: მაშ რათ ყიდულობენ მოდის ნივთებს, რომლებსაც შეუძლიათ გასძლონ ოცი-ოცდაათი წელიწადი? საქმე იმაშია, რომ მოდის მხოლოთ სხვა და სხვა გვარი სახე იცვლება, თვითონ მოდა, რაც უნდა ფორმა მიიღოს მან, ყოველთვის მოდა იქნება. ამისათვის ის საზოდადოთ უკვდავია... რადგან საზოგადოთ მოდა უკვდავია, ამის მიხედვით ყოველი წარმავალი სახეც მოდისა ყიდვის დროს უკვდავი გვგონია. და ამიტომაცაა კიდეც, რომ სამოდო ნივთებს დიდი ხნით ვყიდულობთ, მაშინ როცა ერთი-ორი წლის შემდეგ მათ აღარაფერი მნიშვნელობა აღარ ექნებათ.

ავიღოთ ახლა ის პირები, რომელნიც მოდას არ მისდევენ. აქ, ამ შემთხვევაშიც მოდა შეიძლება იქნას დაცული. თუ კი მოდის გაყოლა მოდაა, მისი უარყოფაც მოდაა; რადგან ამ უარყოფით ისინი არამც თუ ვერ უვლიან გარს მოდას, არამეთ კიდეც იცავენ მას, მხოლოთ სხვანაირათ. აქ კმაყოფილდება მათი გრძნობა გარჩევისა, ორიგინალობისა. და თუ კიდევ მათ სხვებმა წაბაძეს ამ უარყოფაში, მაშინ ხომ მათი დაახლოვების და გაერთიანების მისწრაფებაც იქნება დაკმაყოფილებული. მოდაც ამ ორ მხარეს აკმაყოფილებს, და მაშასადამე, ისინიც ამნაირათ მოდას მისდევენ... ავიღოთ მაგალითი! ვთქვათ, რომ მოდაშია შემოღებული თმის კოხტათ შეკრეჭა. ამ შემთხვევაში მოდის უარმყოფელნი არამც თუ გაიკრეჭენ თმას, არამედ კიდეც დიდზე გაუშვებენ და გაიბურძგნიან. ამით ისინი იქცევენ სხვების ყურადღებას და მათ ორიგინალობის გრძნობაც საუცხოვოთ დაკმაყოფილდება. მათ, რასაკვირველია, ამნაირ მოდის უარყოფაში სხვებიც წაბაძავს, და მოდის უარყოფა ამრიგათ ნამდვილ მოდაში გადავა.

ამნაირათ, მოდა საუკეთესო გამოხატვაა ჩვენი ბუნების ორგვარი მისწრაფებისა. ერთი მხრით, მოდა წაბაძვაა; აქ ის ერთი-მეორეში გვაახლოვებს და გვაერთიანებს. მეორე მხრით, მოდა გარჩევაცაა; აქ კი ის გვანსხვავებს და გვაცალკევებს. კლასებსა და წოდებათა შორის მოდა, ერთი მხრით, აერთიანებს რომელიმე კლასის ან წოდების წევრებს; მეორე მხრით, იმავე წევრებს მოდა არჩევს და ასხვავებს სხვა რომელიმე კლასის ან წოდების წევრებისაგან. თვით ეს ჩვენი მიდრეკილებანი ყოველთვის მოძრაობენ და იცვლებიან. ამისათვის მათი გამომხატველი მოდაც ნიადაგ იცვლება... მხოლოთ ეს მისწრაფებანი, რაც უნდა იცვალონ, ყოველთვის გვაქვს... ამისათვის მოდაც ყოველთვის არსებობს. რადგან რაც უნდა იცვალოს მოდამ თავისი ფორმა, ყოველი მისი ახალი ფორმა მოდა იქნება... და ამით ის უკვდავია...

---

*) *ამ წერილს უდევს სარჩულათ ცნობილ გეორგ ზიმელის სოციოლოგიური ეტიუდი "მოდის ფსიხოლოგია". რადგან ამ ეტიუდში ერთი და იგივე აზრი ბევრჯერ არის გამეორებული, ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ თავისებურათ გადმოგვეკეთა იგი, მით უმეტეს, რომ ამით ენაც შედარებით მსუბუქი და ადვილი გასაგები ხდება.*

*გ. რ.*



# აფიშა

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
სეზონის გახსნა
დავით კლდიაშვილი
"ბაკულას ღორები"
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
გუგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"ზეწოლა"
რეჟისორი: ზურაბ ქიქოძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჯოზეფ ოსბორნი
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე.
დას: 18:00 სთ.

## კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
რეზიდენტი დი-ჯეები
ფასი: ბიჭებისთვის 20 ლარი;
გოგოებისთვის – უფასო
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

## ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**"ორიენტი"**
ორგანიზაცია "ბავშვი და გარე სამყაროს"
საქველმოქმედო გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის პერსონალური გამოფენა

**N გალერეა**
ფოტოსააგენტო "პატკერფოტოს" ფოტოგამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## საქართველოს მწერალთა ფედერაციის განცხადება

თითქმის ერთი თვეა აღარ გამოდის ქართული ლიტერატურული და კულტურული ცხოვრებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიცაა ჟურნალი "ომეგა" და გაზეთი "ჩვენი მწერლობა", რაც გამოიწვია "ომეგა-თეგის" სტამბაში წარმოებულმა საგამოძიებო პროცესმა.

იურიდიული ნორმების თანახმად, ამა თუ იმ საწარმოში ჩატარებულმა მოკვლევითმა სამუშაომ არ უნდა შეაფერხოს წარმოების პროცესი. შემაშფოთებელ ფაქტად მივიჩნევთ ლიტერატურულ-კულტუროლოგიური გამოცემების შეწყვეტას, მეტადრე ლიტერატურული პერიოდიკის სიმწირის პირობებში.

*საქართველოს მწერალთა ფედერაცია*

## ცნობილი დი-ჯეი თბილისში



*ფანკსტარ დე ლუქსი*

8 მარტს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ცნობილი დანიელი დი-ჯეის და პროდიუსერის ფანკსტარ დე ლუქსის საღამოა დაგეგმილი. მსმენელი კარგად იცნობს მის რემიქსებს ტომ ჯონსის, მერი ჯი ბლაიჯის, ბარი ვაითის, რიკი მარტინისა თუ ბოი ჯორჯის კომპოზიციებზე.

დანიელმა დი-ჯეი და პროდიუსერმა სახელი სადებიუტო ალბომით - Keep On Moving გაითქვა. ამ ალბომის სინგლმა, ბობ მარლის სიმღერის Sun is Shining რემიქსმა, პლატინის სტატუსს მიაღწია. სინგლის მილიონზე მეტი ეგზემპლიარი იქნა გაყიდული მთელ მსოფლიოში. იგივე ჩანაწერი წლის საუკეთესო რეგეი-სინგლად იქნა აღიარებული.

ფანკსტარ დე ლუქსმა მუსიკალური კარიერა სინთეზატორზე დაკვრით თინეიჯერულ რეგეი ჯგუფში დაიწყო. 90-იანების ბოლოს იგი მთლიანად გადაერთო ელექტრონული მუსიკის პროდიუსირებაზე და რემიქსებზე.

მუსიკოსის ბოლო ალბომი Funkturistic რადიკალურად განსხვავდება წინამორბედი ნამუშევრებისაგან, ამჯერად მუსიკოსმა უარი თქვა ცნობილი სიმღერების ვარიაციებზე. ალბომში გაერთიანებულია მხოლოდ ორიგინალური მასალა, თუმცა, გამონაკლისის სახით ალბომში შესულია ბრიუს სპრინგსტინის სიმღერის - Blinded By the Light-ის ჯგუფ "მანფრედ მენის" ვერსიის რემიქსი, რომლის დამზადებაში თვით პოპულარული ჯგუფის ლიდერიც იღებდა მონაწილეობას.

*24 საათი*

# მხატვრობა ისედაც რევოლუციაა

თეონა ჯაფარიძე



*იური ბერიშვილი საკუთარი ნამუშევრის ფონზე*

დღევანდელი გადასახედიდან უკვე ბანალური დასაწყისია, მაგრამ მაინც გიამბობთ: ეს იყო 2001 წელს, გახსოვთ, ალბათ, ჩაბნელებული თბილისი და საბურავების დაწვა ჭავჭავაძის პროსპექტზე. პროტესტს ყველა თავისებურად გამოხატავდა რითიც შეეძლო და როგორც შეეძლო. სატირალი რომ არ იყოს, კულტურული თვალსაზრისით, ნამდვილად ნაყოფიერი პერიოდი გამოდგა, იმიტომ, რომ პირდაპირ კოცონთან, ექსპრომტად იქმნებოდა საინტერესო, ქუჩის პოეზია; უფრო მეტი ფასი დაედო ცოცხალ მუსიკას და ცოცხალ შემსრულებლებს, მხატვრებმა ქუჩის პერფორმანსებს მიმართეს. მოკლედ ქართველი ART-ისტები გამოცოცხლდნენ და დაახლოებით ორი კვირის მანძილზე პასიური კონფორმიზმი აქტიურმა სოც-არტმა შეცვალა.

მაშინ კლუბ "სარდაფის" სივრცე ერთ საღამოს ნონკონფორმისტულ აქციას დაეთმო მრავლისმეტყველი სახელწოდებით: "ალი ბაბუ და ორმოცი ყაჩაღი". "ეს იყო ჩემი ერთადერთი სოციალურ-პოლიტიკური პროექტი. საერთოდ მე არ ვთვლი ასეთ ფორმას ხელოვნებად. ხელოვნება მხოლოდ ფერწერაა. ის პროექტი კი მაშინ იმიტომ გავაკეთე, რომ ყელში ამომივიდა გაუსაძლისი ყოფა და ის, რომ ჩვენი უფლებები ილახებოდა" – იხსენებს დღეს მხატვარი იური ბერიშვილი. "სარდაფში" ედუარდ შევარდნაძის მასშტაბური ფოტო ეკიდა. უკრავდა ველური მუსიკა (აფრიკულ-ქართული მუსიკის მიქსი მხატვარმა მაშინ სპეციალურად ამ აქციისათვის შექმნა), ფოტო-კოლაჟში შემწვარ გოჭებსაც ნახავდით და მაშინდელი ჩინოვნიკების სახეებსაც. მათ შორის ავტორის ფოტოც იყო. "ეს გახლდათ ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული კორუფციისა და ღორობის პორტრეტი და რადგანაც მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ, კოლაჟში ჩემი თავიც ჩავაწებე" – მიამბობს მხატვარი. აქციაზე, "სარდაფში" ერთადერთი ფერწერული ტილო ეკიდა, სადაც ჰოლივუდური კინოსათვის დამახასიათებელი კადრი - ბედნიერი წყვილი დაეხატა მხატვარს გულის ფონზე. გულში კი ამერიკის დროშა ჩაეხატა, ოღონდ სტილიზებული – პატარა გულებითა და ვარდით და, რაც მთავარია, იმედიანი წარწერით: Happy End (ბედნიერი დასასრული).

წინასწარმეტყველურია, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ უკვე ბანალურია. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ნოემბრის დღეებში ეს ნამუშევარი უკვე ბანალურად და დაგვიანებულად ეჩვენებოდა თავად ავტორსაც. "მხატვრობა ისედაც რევოლუციაა, ოღონდ ჩუმი" – მიხსნის ის და მერე აგრძელებს: "მხატვარი ამოვარდნილია სოციუმიდან და ვერასოდეს გახდება სოციუმის ნაწილი. მისი ცხოვრების სტილი, ხატვის პროცესი, ისეთივე უკომპრომისოა, როგორც მაგალითად ორთოდოქსალური მორწმუნისათვის რწმენა ან ჩე გევარასათვის რევოლუცია. ამიტომ აღარაა საჭირო ზედმეტი კონცეფციები. მხატვარმა, პირველ რიგში, უნდა ხატოს".

დღეს იური ბერიშვილის პოსტმოდერნისტული ფერწერა გალერეა TMS-შია გამოფენილი. მის ტილოებში, პირველ რიგში, ფერის ძლიერი ენერგია შეიგრძნობა. ამ ტილოების შექმნის პროცესს ის ასეა ღწერს; "ამ კომპოზიციებს წინასწარ ვხედავ და მერე მიდის მისი "გადახატვის" პროცესი. ზოგიერთ ტილოზე მუშაობა ხანდახან რამდენიმე წელიც კი გაგრძელებულა. ფერთან ურთიერთობა განსაკუთრებული აქტია ჩემთვის. ეს არ გახლავთ ის სტანდარტი, რასაც აკადემიაში ასწავლიან. ჩემთვის ფერს სხვა დატვირთვა აქვს. მისი მიგნება და ტილოს შექმნა ჩემთვის შამანური, მაგიური მოქმედებაა." - მეუბნება ის.

ის რაიმე განსაკუთრებულ, თვალშისაცემ იმიჯზე არ ზრუნავს, კატეგორიულად უარყოფს კონცეპტუალიზმს და თვლის, რომ ნამდვილი ფერწერა და ფერმწერი ეს უკვე კონცეფციაა. მიუხედავად მხატვრობის განსხვავებული ფორმისა თავს მაინც ტრადიციულ მხატვრად თვლის და უპირატესობას ხარისხიან ტილოსა და საღებავებს ანიჭებს. ის 80-იანელთა საინტერესო წარმომადგენელია.

# ჯერ გათვალე - მერე იმღერე!

### ჯენიფერ ლოპესის საჯდომიდან - ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიამდე

მადი სერებრიაკოვა



*ლელა წურწუმია, კახა მამულაშვილი და სტეფანე*

ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე პოპულარული ქართული ბოი-ბენდის "ქუჩის ბიჭების" შესახებ გაკეთებული საინფორმაციო სიუჟეტი ვნახე. სიუჟეტის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯგუფს ერთ-ერთი წევრი გამოაკლდა და ახლა მისი შემცვლელის კანდიდატურას არჩევდნენ. ჩემი განსაკუთრებული ინტერესი ჟურნალისტის მიერ დასმულმა შეკითხვამ გამოიწვია, იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს პიკასოს (ჯგუფის ყოფილი წევრის) შემცვლელი. "ქუჩის ბიჭების" ვეტერანი წარმომადგენლები რიგ-რიგობით პასუხობდნენ შეკითხვას: ყველა ღირსება ჩამოთვალეს, გარდა ორისა – ხმა და მუსიკალური სმენა, ფაქტობრივად, არავის გახსენებია. კითხვა, თუ რა არის საჭირო, "ვარსკვლავი" რომ გახდე და რატომ ხდება, რომ ყველაზე ცნობილ მუსიკოსებს – რატომღაც მუსიკოსობის გარდა ყველაფერი ევალებათ – ალბათ, მხოლოდ მე არ მაწუხებს. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე ქართველ პროდიუსერს და მუსიკათმცოდნესაც გავესაუბრე.

შოუბიზნესი რომ მხოლოდ მუსიკალური ინდუსტრია არ არის – ამის შესახებ დიდი ხანია, არავინ დავობს. თვით პროფესიულ მუსიკაშიც კი იმძლავრა ტენდენციამ, რომ უფრო ნიჭიერ მუსიკოსს, უკეთესი იმიჯისა და პრომოუშენის მქონე საშუალო მუსიკალური შესაძლებლობების პატრონი ჯობნის. პოპულარულ მუსიკაზე, ამ მხრივ, ლაპარაკიც ზედმეტია: ბრიტნი სპირსის ვოკალური მონაცემები, კრისტინა აგილერას სმენა და შაკირას მუსიკალური გემოვნება რომ შეაერთო, მუსიკალური საზომებით ერთ საშუალოზე დაბალი ნიჭის მქონე მუსიკოსს ძლივს მიიღებ. თუმცა, როდესაც საზომს ჯენიფერ ლოპესის საჯდომი წარმოადგენს, ძნელია მათი "ვარსკვლავობის" სამართლიანობაში ეჭვი შეიტანო – მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას ზემოხსენებულ საჯდომზე უკეთესებიც უნახავს.

დასავლური შოუბიზნესის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების შექმნას, ჩვეულებრივ, წინ მნიშვნელოვანი გათვლები უძღვის. ამის მაგალითად მუსიკათმცოდნე ბიძინა მაყაშვილს ელვის პრესლი მოჰყავს: **"იმ პერიოდში ამერიკული მუსიკა "შავებისა" და "თეთრების" მუსიკად იყო გაყოფილი. "შავკანიან" ვარსკვლავებს თავისი, იგივე კანის ფერის აუდიტორია ჰყავდა, "თეთრებს" - თავისი. მათი ინტერესები თითქმის არ იკვეთებოდა. ელვის პრესლის ფენომენის დაბადებას კი წინ პროდიუსერ სემ ფილიპსის იდეა უძღოდა – მას უნდოდა ისეთი ადამიანი ეპოვა, რომელიც "შავებისა" და "თეთრებისთვის" დამახასიათებელ თავისებურებებს გაართიანებდა".** სემ ფილიპსმა ელვის პრესლი იპოვა – თეთრი კანითა და შავკანიანისთვის დამახასიათებელი რიტმის შეგრძნებითა და ვოკალური მონაცემებით. იგივე ისტორია განმეორდა მე-20 საუკუნის პოპულარული მუსიკის, ალბათ, ყველაზე მითოლოგიური პერსონაჟის – მაიკლ ჯექსონის შემთხვევაშიც. ჯექსონის მითიც შეიძლება მის დაბადებამდე გაითვალა და უკანასკნელ დრომდე, იგი სამყაროს გადასარჩენად ამხედრებული "დაუცველი ბიჭის" როლს გულწრფელი თავდადებით ასრულებდა. ამ იმიჯზე კომპოზიტორთა, დიზაინერთა თუ პლასტიკურ ქირურგთა მთელი არმია მუშაობდა – ქვინსი ჯონსის მეთაურობით.

დასავლეთში შოუბიზნესი ერთი დაუწერელი კანონით სარგებლობს – ჯერ გათვალე, შემდეგ – იმღერე! და წარუმატებლობას ამ სქემით მომუშავე მუსიკოსები არ უჩივიან. განსხვავებული სიტუაციაა საქართველოში: არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი "პოპ-ვარსკვლავები" თავიან დასავლელ ანალოგებსაც ბევრად ჩამოუვარდებიან – თუნდაც მათი ღირსებების საზომად ჯენიფერ ლოპესის საჯდომი აიღეთ.

ქართული, ესტრადას რომ შეხედავ (მოსმენას რომ თავი გავანებოთ) – ილუზიაა, რომ მათ შორის ვინმე მუსიკალური, ქორეოგრაფიული, არტისტული მონაცემების მიხედვით შეარჩიეს, მაშინვე გაგიქრება. სრულიად უსარგებლო საქმეა მათ შორის ვინმე გამოკვეთილად ორიგინალური იმიჯის მქონე შემსრულებელი ეძებო და ამ იმიჯის შექმნა და კორექცია რომელიმე პროდიუსერის შრომას მიაწერო. პირიქით, ქართული შოუბიზნესი ერთი დიდი PR-გაუგებრობაა, სადაც ქართული ესტრადის სექს-ბომბები მედიაში რატომღაც "წესიერი და პატიოსანი" მეოჯახის იმიჯზე აცხადებენ პრეტენზიას და ნინო ბურჯანაძესავით იცვამენ, ხოლო თინეიჯერი "დედიკოს გოგოები" ფსევდო-ლოლიტებად გვევლინებიან. იშვიათ გამონაკლისებს შორის შეიძლება დათო ხუჯაძე დავასახელოთ, რომელმაც ორგანულად გაითავისა "შოფრის" იმიჯი, ან აჩი მეფარიძე, რომლისთვისაც უცხოპლანეტელობანას თამაში ასაკისთვის ცოტა შეუფერებელი საქმიანობაა, სამაგიეროდ, თალეს შონიასა და ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბუმის წასვლასთან ერთად – სრულიად უკონკურენტო იმიჯის მკაფიო მაგალითია.

ქართველი პოპ-ვარსკვლავების იმიჯის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა ქართველ პროდიუსერებს დავუსვი. ნატო დუმბაძის საპროდიუსერო მოღვაწეობა, თავის დროზე, დათო ხუჯაძის, დღეს კი, თიკა ჯამბურიას, ბუკასა და ჯაბას სახელებს უკავშირდება. დუმბაძეს საკუთარი კლიენტებისთვის "ვარსკვლავების" დაძახება ეხამუშება და უფრო მიზანშეწონილად – მათი მუსიკოსებად მოხსენიება მიაჩნია. თავს უფლებას მივცემ, ამაში კატეგორიულად არ დავეთანხმო – ნურავინ მიწყენს, მაგრამ ჩამოთვლილ ვარსკვლავთა უმრავლესობისთვის (გამონაკლისები კი მხოლოდ წესს ადასტურებს) – მუსიკოსის წოდება ძალზედ შეუფერებელ კომპლიმენტად მიმაჩნია. "ვარსკვლავობას" კი მათ ვერავინ ჩამოართმევს, რადგან ამის მიღწევა, როგორც ვხედავთ, მუსიკალური მონაცემების სრული არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი ყოფილა.

როგორც პროდიუსერი აღნიშნავს, იგი თავის კლიენტებს სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით არჩევს: იმიჯი + ხმა + პლასტიკა. ბოლო ორს თავი დავანებოთ – გემოვნების საკითხია. ხოლო იმიჯს რაც შეეხება, ამაზე საქართველოში ძალიან ძნელია მსჯელობა: **"დასავლეთისგან განსხვავებით, ჩვენ არ გვყავს 4 იმიჯმეიკერი, დიზაინერი, პრეს-მდივანი და ა.შ.** – აღნიშნავს ნატო დუმბაძე - **ამიტომ ხშირად ყველაფრის თავის თავზე აღება მიწევს. ერთადერთი, მათ პირად ცხოვრებაში არ ვერევი – თუმცა ზოგჯერ თავად მოდიან რჩევის საკითხავად."**

თუ ქართული შოუბიზნესის სამზარეულოდან გამოვალთ და სიტუაციას გარეშე თვალით შევაფასებთ – ცოტა სხვანაირი სურათი წარმოგვიდგება. ჩვენში ვარსკვლავის შექმნამდე არავინ ფიქრობს საზოგადოებრივი თუ საბაზრო დაკვეთის შესახებ (იქნებ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი მეტად ამორფული და არარენტაბელურია). რეალურად, ვარსკვლავი ჩვენთან ერთი შემთხვევითი სიმღერით იწყება, რომელსაც ხსენებული სიმღერის შესრულებამდე (და საერთოდაც – მუსიკალური კარიერის დაწყებამდე) სპონსორის მიერ დაფინანსებული რადიო და ტელეეთერი მოსდევს. მერე ამ სიმღერას იმდენჯერ მოგასმენინებენ, რომ, გინდა თუ არ გინდა, დაიმახსოვრებ, თუნდაც ასეთ კონტექსტში: "აი, როგორი არ უნდა იყოს სიმღერა!"

რაც შეეხება იმიჯს – ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისედაც ბუნების მიერ საკმაოდ დაჩაგრულ ქართველ "ვარსკვლავებს", ვიღაც მახვილგონიერი იმიჯმეიკერი გულიანად დასცინის. მაგალითად, გმირთა მოედანზე გამოფენილი თათია ჯაველიძის უშველებელი ბილბორდი აიღეთ (საბედნიეროდ უკვე მოხსნილია). ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმემ სერიოზულად განიზრახა ერთად შეეყარა "ხავერდოვანი რევოლუციის" სიმბოლოდ ქცეული ვარდი, პალმებში ჩაფლული Planet Hollywood და ამ ყველაფრის ფონზე თავის ქალითა და ძვლებით შემკულ მაისურში გამოწყობილი ამომავალი ვარსკვლავი – თათია ჯაველიძე დაეყენებინა.

კიდევ ერთ ძალზედ მახვილგონივრულ PR-ხუმრობად თამუნა ამონაშვილისა და ლალი ტოტიკაშვილის დუეტზე გადაღებული კლიპი მიმაჩნია: წარმოიდგინეთ, ორი ზრდასრული, ეფექტური, ჯან-ღონით აღსავსე ქალი, რომლებიც ხან პროვანსულ კოლორიტში გადაწყვეტილი კოსტიუმებითა და თმის ვარცხნილობებით გორაობენ თივის ბულულებში, ხან კი – "მატრიცას" გმირების იმიჯით დააბიჯებენ. თან ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ და **"ერთ ღამეზე"** მღერიან. ვეჭვობ, ამ დუეტს რაიმე საერთო ჰქონდეს ე.წ Queer-იდენტურობასთან, რომელსაც ბოლო წლებში აქტიურად ამუშავებენ ლესბიანური ორიენტაციის ფემინისტი ესთეტიკოსები. არადა, ამონაშვილისა და ტოტიკაშვილის კლიპი სწორედ Queer-Identity-ს დამახასიათებელ მეტაფორებზეა აგებული.

თუმცა, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ ივარგებს. სტუდია "ქართული ჩანაწერების" პროდიუსერი ბასა ჯანიკაშვილი ე.წ. "ცოცხალ მუსიკოსებთან" მუშაობს. მათ მიერ აღმოჩენილი "33ა"-ს, ირაკლი ჩარკვიანი, "მწვანე ოთახისა" თუ "მთვარის კლუბის" იმიჯებზე ბასა პრეტენზიას არ აცხადებს: **"ისეთ მუსიკას ვარჩევთ, რომელიც ჩვენს მუსიკალურ გემოვნებას, ცხოვრების სტილს, მსოფლმხედველობას ემთხვევა. ვცდილობთ, რაიმე ღირებული ჩავწეროთ და გამოვუშვათ. რაც შეეხება იმიჯსა და პროდიუსერულ ხრიკებს – ჯერ ამის დრო არ არის. როცა საქართველოში 1000 ცოცხლად შემსრულებელი ჯგუფი და მუსიკოსი იქნება – მერე შეიძლება უკვე იმიჯსა და პროდიუსერულ ხრიკებზე ვიფიქროთ."** ასეა თუ ისე, პოპულარობას აღნიშნული "უიმიჯო" ჯგუფები და მუსიკოსებიც არ უჩივიან (თუმცა, ჩემთვის მათი იმიჯი ბევრად გასაგები და ლოგიკურია). რაც შეეხება იმას, თუ რა შემოსავალი მოაქვს ამ ალტრუიზმს მისი პროდიუსერებისა თუ თავად მუსიკოსებისთვის – აქ ვეჭვობ, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

როგორც ჩანს – "გათვალე და იმღერეს" თეორია აქაც ბოლომდე არ გაუთავისებიათ. უკეთეს შემთხვევაში კი, არსებული მუსიკალური ბაზარი არ იძლევა სერიოზული პროგნოზირებისა და გათვლის საფუძველს. მეტ-ნაკლებად სტაბილური მუსიკალური ბაზრის ფორმირება კი, პირველ რიგში, მოსახლეობის ეკონომიკურ შეძლებულობას უკავშირდება – ფული რაზეც მეყოფა, იმას ვიყიდი. ხოლო გემოვნებიანი და ხარისხიანი მუსიკა, თანაც შესაფერისად შეფუთული და მოწოდებული – იაფი არ არის. იმედი ვიქონიოთ, რომ ქართულ შოუბიზნესში სიტუაცია მუსიკალური ბაზრის მოწესრიგებასთან ერთად გამოსწორდება. ამ უკანასკნელის იმედი კი – ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!

# კურტის ვნებანი

ზოგ გმირს ძეგლს უდგამენ, ზოგის შესახებ წიგნს წერენ. კომიქსის სახით მოწოდებული ბიოგრაფიის, "ღმერთმა დაგლოცოს" ავტორები ცდილობენ, ჯგუფ "ნირვანას" ლეგენდარული ლიდერის, კურტ კობეინის ცხოვრებას მოჰფინონ ნათელი.

"500 წლის წინათ გმირების უკვდავსაყოფად ძეგლები და პორტრეტები არსებობდა. დღეს გმირებმა მაისურებზე დაიდეს ბინა," წერს ბრიტანელი მუსიკის კრიტიკოსი და ჟურნალისტი, პიტერ დაგეტი წინასიტყვაობაში, რომელიც მან კომიქს-რომანს, "კურტ კობეინი – ღმერთმა დაგლოცოს" დაურთო. კობეინის სევდიანი სახე, რომელსაც ნარკოტიკების მოხმარების დაღი ედო, მართლაც, მრავალი თინეიჯერს უმშვენებს მკერდს. თავად მუსიკოსმა 1994 წელს, 27 წლის ასაკში მოიკლა თავი, და ამერიკული როკ-ჯგუფის, "ნირვანას" მომღერალი გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგაც კერპად რჩება. მას ტრაგიკულ მეამბოხედ იცნობდნენ, რომელსაც ვერავინ გაუგო, და მისი წინამორბედების, ჯეიმს დინისა და ჯიმ მორისონის მსგავსად, მისი გარდაცვალების ამბავიც ბურუსით მოცული და დრამატულია.

"იმედია, სიბერემდე მოვკვდები," მღეროდნენ 1965 წელს.

"იცხოვრე სავსედ, მოკვდი ახალგაზრდა და დატოვე ლამაზი გვამი," მოგვიწოდებდნენ პანკები ათი წლის შემდეგ.



კობეინის ხანმოკლე ცხოვრების შესახებ, რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, საკმაოდ ბევრ დაუდგენელ და გაუგებარ ამბავს შეიცავს, უამრავი წიგნი გამოქვეყნდა. მათ შორის საუკეთესო და ყველაზე საკამათო 2001 წელს გამოქვეყნებული ბიოგრაფია Heavier than Heaven ("ზეცაზე მძიმე იყო"). ამ წიგნის ავტორია ჩარლზ კროსი, სიეტლის ბეჭდვითი გამოცემის, The Rocket-ის რედაქტორი, რომელიც "ნირვანას" სწრაფი აღმასვლის მოწმე იყო. წიგნში შეტანილია 400 ინტერვიუ კობეინის მეგობრებთან და ნაცნობებთან. მიუხედავად ამისა, მუსიკოსის ცხოვრებაში ბევრი რამ დაუდგენლად რჩება.



ამ წიგნის გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ბაზარზე კობეინის დღიურის სახის ჩანახატები გამოიცა. ბრიტანელი ავტორები ბარნაბი ლეგი, ჯიმ მაკარტი და მხატვარი ფლეიმბოი ამ ჩანახატებზე დაყრდნობით შეუდგნენ როკვარსკვლავის ბიოგრაფიის კომიქსური ვერსიის შედგენას. დასურათებულ წიგნში ახალი თითქმის არაფერია: კობეინის მშობლების "დეფექტური" ოჯახი, ყმაწვილის ალტერნატიული კულტურით გატაცება, ლტოლვა ნარკოტიკებისკენ, კუჭის საშინელი ტკივილი, რომელიც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტანჯავდა, გაცრუებული სიყვარული ტობი ველისა და კორტნი ლავის მიმართ, და ბოლოს – თვითმკვლელობა.

ეს ყველაფერი ისედაც ვიცით. მიუხედავად ამისა, წიგნის ავტორები და გამომცემლები თვლიან, რომ მათი ნაშრომი ნოვატორულია: კომიქსი თავისთავად მეტი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა, ის "მეტ მხატვრულ პოეზიას შეიცავს, ვიდრე ნებისმიერი დაწერილი წიგნი". მართლაც, მწირი ფაქტების საფუძველზე ხატოვანი და საინტერესო ამბავი შექმნა. წიგნში არარსებული პერსონაჟებიც გვხვდებიან, როგორიცაა, მაგალითად, ვინმე ბოდა, რომელიც პატარა კობეინს კრიზისის ჟამს გვერდში უდგას.

წიგნის გამო დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში "ნირვანას" თაყვანისმცემლები აღშფოთებას ვერ მალავენ. საქმე ის გახლავთ, რომ ავტორებმა მასში კობეინის ცხოვრების უკანასკნელი საათების "რეკონსტრუირება" სცადეს, და ისინი, ვისაც კობეინი თავიანთ კერპად მიაჩნიათ, ცხადია, ძალიან გაჯავრებული არიან.

მხატვარი თავის დაცვას საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე ცდილობს. ის წერს, რომ კურტ კობეინის შესახებ აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა მისი მიზანი არ ყოფილა; ცხადია, არავინ იცის, რა ხდებოდა საბედისწერო გასროლამდე, მაგრამ წარმოსახვის უფლება ხომ ყველას აქვს?

# დაიანას ოჯახური ჯოჯოხეთი

აუდიო ჩანაწერში, რომელიც ამერიკულმა ტელეარხმა NBC-მ საზოგადოებას გუშინწინ პირველად მოასმენინა, პრინცესა დაიანა ნამდვილი ჯოჯოხეთის ამბავს ჰყვება: მისმა ქმარმა, ჩარლზმა, ბულემია დაჰმართა, ქორწინების პირველივე დღიდან კამილასთან ღალატობდა, და დაიანას თვითმკვლელობის მცდელობებსაც კი აუღელვებლად და ცივად ხვდებოდა.

"დიდი იმედები მქონდა, მაგრამ ისინი ჩარლზთან ერთად ყოფნის მეორე დღესვე გამიცრუვდა," ისმის 1997 წელს დაღუპული პრინცესას ხმა, რომლის ეს ჩანაწერიც NBC-ს ექსკლუზიურ საკუთრებას წარმოადგენს. ის თავის დროზე დაიანას ბიოგრაფმა, ანრი მორტონმა გააკეთა.



პრინცესა დაწვრილებით აღწერს, როგორ იტანჯებოდა მაშინ, როცა ჩარლზის ცოლი იყო. "ჩემი ქმარი იმისთვის ილწვოდა, რომ თავი სრულ არარაობად მეგრძნო. ყოველთვის, როცა თავის შველას ვცდილობდი, ჩარლზი კვლავ სასოწარკვეთილებაში მაგდებდა," – ეს სიტყვები 1992 წლითაა დათარიღებული.

უფლისწულთან ნიშნობის შემდეგ დაიანას საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, და ამ ავადმყოფობასაც ის თავის გვირგვინოსან მეუღლეს აბრალებს. ჩარლზს წელზე ხელი მოუხვევია და უთქვამს: "ო, წაუმსუქნებ, არა?" ამან დაიანას გული ჩასწყვიტა.

ქორწილი "მის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი დღე" ყოფილა. საკურთხევლისკენ მიმავალ გზაზე ის თავს ისე გრძნობდა, როგორც "მსხვერპლშეწირვაზე მიმავალი კრავი". ანრი მორტონის თქმით, დაიანა "ვინძორების სახლისთვის ბავშვების საჩეკ დანადგარად გრძნობდა თავს".

უელსის პრინცესა იმასაც ჰყვება, რომ მისი მეუღლე ქორწინების შემდეგაც არ წყვეტდა ურთიერთობას თავის სიყრმის მეგობართან და სატრფოსთან, კამილა პარკერ ბოულსთან. "ერთხელ სატელეფონო საუბარი მოვისმინე, და მან თქვა, რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის მეყვარებიო. მერე საშინლად ვიჩხუბეთ".

ჩარლზი მის მრავალრიცხოვან თვითმკვლელობის მცდელობებზეც არ რეაგირებდა. როცა უილიამზე ორსულად იყო, დაიანა კიბიდანაც კი გადახტა. "დედოფალი ოთახიდან გამოვიდა, დაზაფრული იყო, შიშისგან კანკალებდა, ჩარლზი კი საჯირითოდ წავიდა".

მომავალ კვირაში NBC ვიდეოჩანაწერების ჩვენებასაც გეგმავს, თუმცა, გამოცხადდა, რომ ეს ჩანაწერები სკანდალურ ამბებს არ შეიცავს.

# გოძილას უკანასკნელი ბენეფისი

იაპონელი კინომაყურებლის საყვარელი გმირი გოძილა ეკრანებზე უკანასკნელად გამოჩნდება. დეკემბერში გიგანტური ხვლიკის მონაწილეობით გამოვა კიდევ ერთი ფილმი და ამით დასრულდება ამ არსების 50 წლიანი კინემატოგრაფიული კარიერა. "უკანასკნელი ომები", 28-ე სურათია, სადაც გოძილაა გადაღებული. 1954 წლიდან მოყოლებული, როდესაც გოძილა პირველად გამოჩნდა ეკრანებზე, მხოლოდ იაპონიაში ფილმი 100 მილიონმა მაყურებელმა იხილა.



პირველი გოძილა წყნარ ოკეანეში ამერიკელების ატომური ბომბისგან გამოღვიძებული გმირი იყო. 50-იანი წლების ბოლოს გოძილა იაპონური კულტურის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა. ამის შემდეგ კი, მან საერთაშორისო ვარსკვლავის სტატუსი შეიძინა. როგორც ამბობენ, შესაძლებელია გოძილას კინოში დაბრუნება, თუკი "გამოჩნდებიან რეჟისორებისა და კინემატოგრაფისტების ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ახალი მეთოდების გამოყენებით პრინციპულად ახალ სამყაროს შექმნიან", - ნათქვამია კინოსტუდია Toho-ს განცხადებაში. "ახალი ფილმი 50 წლიანი მუშაობის შედეგებს გვაჩვენებს და დაასრულებს სერიალს", - ამბობს კომპანიის წარმომადგენელი იუკიკო მოჩიდა.

"უკანასკნელ ომებში" გადაიღებენ გოძილას უკანასკნელი თავგადასავლებიდან ნაცნობ ათობით მონსტრს. მათ შორის იქნება გაცილებით ძლიერი მონსტრი X, რომელიც გაემგზავრება ნიუ იორკში, შანხაიში, სიდნეისა და პარიზში.

აქამდე გოძილამ ორჯერ აიღო გრძელვადიანი შვებულება: 1975-ში, როდესაც ტელევიზიის პოპულარობამ კინომაყურებელთა რაოდენობა შეამცირა, და 1995-ში. ხუთი წლის წინათ მწვანე ხვლიკი ჰოლივუდში კომპიუტერული გრაფიკის წყალობით გაცოცხლდა, თუმცა ფილმმა, რომლის გადაღებაც 120 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა, ფინანსური კრახი განიცადა.

# პლატინის დისკები

ემინემის ალბომი the marshall mathers l.p. და ჯგუფ "აუთქასტის" Speakerboxx/The Love Below დიდ წარმატებას აღწევს – ეს ალბომები ცხრა მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა. ზემოთხსენებული კომპაქტები სწრაფად ხდება პოპულარული და ელიტარულ ბრილიანტის სტატუსს იმსახურებს, რასაც მათ ამერიკის ხმისჩამწერი ინდუსტრიალური ასოციაცია ანიჭებს, ვინაიდან ამ ალბომების ათი მილიონი ეგზემპლარია გამოშვებული.



REUTERS

ემინემს სამი წელი დასჭირდა, რომ მის მეორე ალბომს ისეთი წარმატებისათვის მიეღწია, როგორიცაა ცხრაჯერ პლატინის ჯილდოს მოპოვება, მაშინ, როცა "აუთქასტმა" ეს ექვს თვეში მოახერხა. წინა თვეში კიდევ რამდენიმე შემსრულებელმა მოიპოვა რამდენიმეგზის პლატინის ჯილდო. მათ შორის ოთხი მილიონი კომპაქტ-დისკით არიან: UT (All that can't leave behind) - ჯოშ გრობანის 2001 წლის სადებიუტო ალბომი და ჯგუფ "ლინქინ პარკის" meteora (2003 წელი).

ბიონსის სადებიუტო, სოლოალბომი და dangerously in love" სამჯერ გახდა პლატინის ჯილდოს მფლობელი, ასეთივე წარმატება ხვდა წილად შარლოტის The young and the hopeless-ს.

ასევე აღსანიშნავია Ghostface killah, სტინგი, ჯესიკა სიმფსონი, მაიკლ მაკდონალდი, ფრენკ სინატრა, რომელთა ალბომები ერთ, მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა.

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით | | | |
|---|---|---|---|
| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| ჯოან როულინგი | "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 4 |
| კრებული | [illegible] | [illegible] | 2.8 |
| [illegible] | "პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში" | "მეცნიერება" | 2.4 |
| [illegible] | "ალი და ნინო" | "დიოგენე" | 2 |
| [illegible] | "ბიზანტიის ისტორია" | "ნეკერი" | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| | [illegible] | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| [illegible] | კრებული | [illegible] | 1.2 |
| გურამ დოჩანაშვილი | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |



| საუკეთესო ალბომების ათეული "ბი-ბი-სი" რადიო-ჩარტების მიხედვით | | |
|---|---|---|
| შემსრულებელი | ალბომის სათაური | წინა კვირის პოზიცია |
| [illegible] | Call Off The Search | 2 |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | 1 |
| ჯეიმი ქალამი | Twentysomething | 14 |
| [illegible] | Greatest | 4 |
| "ნო დაუტ" | The Singles 1992-2003 | 12 |
| "ბლექ აიდ ფიზ" | Elephunk | 8 |
| "დარქნეს" | Permission To Land | 5 |
| "აუთქასტ" | Speakerboxxx/The Love Below | 13 |
| ლაიონელ რიჩი | The Best Of | 7 |
| "სნოუ პეტროლ" | Final Straw | 9 |



| ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "ქრისტეს ვნება" | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 83,848,082 | 125,185,971 |
| "პირველი პაემანი 50-ჯერ" | პიტერ სიგალი | ადამ სენდლერი, დრიუ ბერიმორი | 12,565,729 | 88,683,963 |
| Twisted | ფილიპ კაუფმანი | ეშლი ჯადი, სემუელ ლ. ჯექსონი, ენდი გარსია | 8,904,299 | 8,904,299 |
| [illegible] | სარა შუგერმანი | ლინდსი ლოჰანი, გლენ ჰედლი, ადამ გარსია | 6,346,941 | 16,905,932 |
| [illegible] | გაი ფერლენდი | დიეგო ლუნა, რომოლა გარაი | 5,811,325 | 5,811,325 |
| [illegible] | გევინ ო' კონორი | კურტ რასელი, პატრისია კლარკსონი, ნოა ემერიხი | 4,469,617 | 56,328,330 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,051,428 | 12,758,176 |
| [illegible] | დონალდ პეტრი | [illegible] | 3,279,764 | 11,539,863 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,125,536 | 57,575,543 |
| Broken Lizard's Club Dread | ჯეი ჩანდრასეკარი | ბილ პექსტონი, კევინ ჰეფერნანი | 3,035,688 | 3,035,688 |

კრივი

# ჯერ ორ ლიცენზიას ვითვლით

ბიბა გურასაშვილი

გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მიგვიწვია რამდენიმე დღის წინ ხორვატიიდან დაბრუნებულმა საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა, რათა ჩვენთვის ათენის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო თავსართის მქონე ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიებზე მოეთხრო ჩვენთვის. წონითი კატეგორიების დეტალურად განხილვისგან თავს შევიკავებთ და, მწვრთნელთა და ფედერაციის ხელმძღვანელთა დახმარებით, კონტინენტის პირველობაზე ზოგადად ვისაუბრებთ. უფრო სწორად, მათ შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ. მანამდე კი მცირე ექსკურსი.

19 თებერვლიდან 1 მარტამდე ხორვატიის საკურორტო ქალაქი პულა მოკრივეთა 35-ე ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა. საქართველოს ნაკრები 11-დან 9 წონით კატეგორიაში იბრძოდა ლიცენზიებისთვის და, შესაბამისად, მედლებისთვის. საქართველოს ნაკრებმა ნიკოლოზ იზორიასა (51კგ) და კონსტანტინე კუპატაძის (57კგ) წყალობით ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. ახლა კი პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ.

საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი ევროპული პერიპეტიების მოყოლას შეუდგა: "ცუდი კენჭისყრის მიუხედავად, ბიჭებმა გმირობა ჩაიდინეს. 18 წლის იზორიამ ექსპერტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათ თქვეს, მისი სახით საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონი ეზრდებაო. კარგად იასაპრეზა კუპატაძემაც. შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს შანსი ჰქონდა, ფინალში ესასპარეზა. ამის თქმის საბაბს გვაძლევს ის, რომ მან მეორე წრეში მასზე ბევრად გამოცდილ, ჩემპიონატის ფავორიტად შერაცხულ რუს მეტოქეს სძლია. მართალია, ფავორიტის გზიდან ჩამოშორებამ ძალზე გაგვახარა, მაგრამ, იმავდროულად, ამან ცუდი სამსახურიც გაგვიწია: ემოციებს ავყევით. გვეგონა, ოქროს მედალი უკვე ჯიბეში გვქონდა, მაგრამ... თავდაჯერებულობამ დაგვღუპა. კუპატაძემ ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა წააგო. თუმცა, მესამე ადგილის დაკავების შანსი ხელიდან აღარ გაუშვია. ერთი მხრივ, დიდი გამოცდილებაც შეიძინა ჩვენმა ბრინჯაოსანმა. რუსებიც კი (ფაქტობრივად, ყველა წონითი კატეგორიის ფავორიტები) არ ელოდნენ, რომ კუპატაძე მათ ჯილას დაამარცხებდა. სახტად დარჩენილებმა ჩვენთან საუბარში ეს თქვეს კიდეც. რაც შეეხება დანარჩენებს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: კენჭისყრაში არ გაგვიმართლა - პირველივე ორთაბრძოლები მომავალ ჩემპიონებთან მოგვიხდა.

შეფასების მხრივ კი საქართველოს ნაკრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. თქვეს კიდეც: ეტყობა, საქართველოში კრივი აღმავლობის გზაზეაო".

წინ ოთხი სალიცენზიო ტურნირია. კანდელაკის თქმით, ამ ტურნირებზე, სავარაუდოდ, ორ-სამ საგზურს უნდა დავეუფლოთ. თუ ასე მოხდება, ათენში ოთხი ან ხუთი მოკრივით წარვდგებით. "ოლიმპიურ მედალს კი ერთ-ერთ წონაში დავეუფლებით, ალბათ, უკეთესი ხარისხისას", - ესეც კანდელაკის ვარაუდია.

ფედერაციის ხელმძღვანელის შემდეგ ისაუბრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემ, რომელიც კმაყოფილი იყო შეგირდების გარჯით: "გარდა იმისა, რომ ლიცენზიებს დავეუფლეთ, სასიხარულოა ისიც, რომ პატივისცემით გვეპყრობოდნენ. აქედან გამომდინარე, იმედი მოგვეცა, რომ ათენში ჩვენი რიდი ექნებათ".

ფედერაციის ხელმძღვანელისა და მთავარი მწვრთნელის სიტყვებიდან გამომდინარე, მიხვდებოდით, რომ საქართველოს ნაკრების გამოსვლით ორივე კმაყოფილია. სხვა შემთხვევაში ორი ლიცენზიის დაუფლება თვითკმაყოფილების მიზეზს არ უნდა გვაძლევდეს, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნაკრები ახალგზრდებით იყო დაკომპლექტებული (18-19-20 წელი) და იმასაც, რომ მოკრივედ 25-26 წლის ასაკში ყალიბდებიან, მაშინ მიზეზიც საპატიოა. ამიტომაც იყო, რომ მოკრივეთა ასაკზე საუბარი პრესკონფერენციას ლაიტმოტივად მისდევდა.

ბოულინგი

# კეგლი, კეგლმა, კეგლს

## ქართული ბოულინგი ხუთი წლისაა

*ბოულინგი ამერიკაში დაიბადა და როცა ამერიკაში ბოულინგზე საუბრობენ, ყველაფერი იგულისხმება: მოთამაშეთა რაოდენობა, თამაშის ხარისხი, ცენტრების რაოდენობა, ბოულინგ-ინდუსტრია, ბოულინგი მასმედიაში და ა.შ. ქრთულ ბოულინგზეც იგივე პარამეტრებით უნდა ვისაუბროთ, თუმცა, მასშტაბი სხვა იქნება. ამერიკულივით ორსაუკუნოვანი ისტორია არა აქვს, მაგრამ ასაკი მასაც დაეტყო - გუშინ ქართული ბოულინგი ხუთი წლის გახდა.*



*იუბილარები*

დალი კუპრავა

ბოულინგის განვითარება გარდაუვალია. ამაზე მეტყველებს მისი პოპულარობის ზრდის დინამიკა. ისიც რეალურია, რომ წლების შემდეგ საქართველოში არაერთი ბოულინგ-ცენტრი იქნება. ამჯერად კი ქართული ბოულინგი იმდენი ხნისაა, რამდენისაც ბოულინგ-კლუბი ყაზბეგის გამზირზე და ათწლეულების შემდეგ ეს კლუბი იქნება უხუცესი, რომელმაც გზა გაუკვალა ქართულ ბოულინგს.

გუშინ "ჯი ემ სი" ჯგუფმა ჩვეული ხალისით აღნიშნა კლუბის ხუთი წელი. ჯგუფის ხელმძღვანელმა მაკო ჯაოშვილმა ბევრი საჩუქარი დაარიგა. საჩუქრები მიიღეს ცენტრის ხუთმა, ხუთი წლის სტაჟის მქონე თანამშრომლებმა, გიორგი მესხმა, რომელმაც ცენტრთან ერთად აღნიშნა თავისი დაბადების დღე და ბოულინგ-ცენტრზე ორჯერ უფროსი გახდა, საერთაშორისო ამერიკული სკოლის მასწავლებლებმა, თბილისელმა ნინომ და ამერიკელმა ჯონათანმა, ბოულინგის სტაჟიანმა სტუმარმა ზურამ.

"ზურა ჩვენი ხშირი სტუმარია. შესანიშნავი პირადი შედეგებით: გეიმს ყოველთვის ორასი ქულის ზღვარზე ამთავრებს. უახლოეს მომავალში მუდმივი სტუმრებისთვის ჩვენ აღვადგენთ ე.წ. დისკაუნტის სისტემას", - ამბობს მაკო ჯაოშვილი. ზურა ძალიან კმაყოფილია კლუბის მასპინძლობით "სტუმრებს ისე ხვდებიან, რომ აქ შემოსვლა ყოველთვის მიხარია. საუკეთესო მომსახურება და აზარტი, აი, ის, რაც აქეთ მეწევა. ჩემი მიბაძვით ჩემმა ბევრმა ახლობელმა დაიწყო აქ სიარული და ყველა კმაყოფილია".

ამერიკელ მასწავლებელს, ჯონათანს სიურპრიზი მოეწონა: "ქართული ღვინო მომწონს, განსაკუთრებით "ძველი თბილისი". კლუბის იშვიათი სტუმარი არ ვარ. ისე რა, ვთამაშობ, თუმცა, ყველა გეიმში მაქვს სთრაიკი (ერთი გაგორებით თვალსაწიერიდან ათივე კეგლი რომ ქრება)".

თბილ, კორექტულ მომსახურებასთან ერთად სტუმრებს სიურპრიზი გაუკეთოს - ეს "ჯი ემ სის" სტილია ხალისიანი გარემოს შესაქმნელად, რაც ბოულინგ-ცენტრში მუდმივად სუფევს.

ჯერჯერობით მაღალფასიანი გასართობი საზოგადოების უმწეო ნაწილისთვისაც არ არის უცხო. ცენტრმა ხუთი წლის განმავლობაში რამდენიმე საბავშვო სახლის აღსაზრდელებს უმასპინძლა, კლუბში ინვალიდთა ფედერაცია ხშირად სტუმრობს. სათნოების სახლის ბინადართ კი გასული ზაფხული ვენტილატორებით გაუგრილეს.

ბოულინგ-ცენტრი ხუთი წლისთავის აღნიშვნას ჩემპიონატითაც გეგმავს - მალე მასმედიის ჩემპიონატის ფინალი გაიმართება და ისიც აუცილებლად თბილი და უხვი მასპინძლობით აღინიშნება.

რაგბი

# გუშინ რუსებმაც ივარჯიშეს

## სერგეევმა ჩვენი დროც დადგაო

პაატა თოთაძე

რუსი მოდისო, ორი დღეა გაისმის ჩვენში და აგერ გუშინ, შუადღისას, როგორც იქნა, ეწვივნენ თბილისს.

- კარგი რა, ხვალაც თუ წავაგეთ... არა, არ წავაგებთ. აღარ შეიძლება ამდენი წაგება.

საღამოს ექვსი საათისთვის "ლოკომოტივის" სტადიონზე მისული რუსთა კაპიტანი ბევრს ხუმრობდა, მაგრამ როცა საქმე დღევანდელ მატჩს შეეხო... ზედიზედ რვა წელია, რუსებს ჩვენთვის არ მოუგიათ და, რა გასაკვირია, რომ რუს მორაგბეებს და პირადად ნაკრების კაპიტანს ეს ამბავი ძალიან აწუხებთ.



*რუსები ოპტიმისტურად არიან განწყობილი*

- არაერთი მატჩი ყოფილა, როცა მოსაგებად სულ მცირე რამ დაგვაკლდა. ამ მცირესთვის მაშინ ვერ მიგვიგნია, შემდგომში, მატჩის გარჩევისას კი ვხვდებოდით, თუ რატომ ვმარცხდებოდით. მოკლედ, თქვენთან თამაშის დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა და ამან საბოლოოდ უნდა მოიტანოს შედეგი.

- ისევ იგივე რომ გამეორდეს?

- ეს თამაშია. თამაშში კი ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, როცა თითქმის თანაბარძალოვანი გუნდები თამაშობენ, თუმცა, ვფიქრობ, ამჯერად მაინც სხვანაირად მოხდება.

სერგეევისგან განსხვავებით, კოსტია რაჩკოვი მთლად კარგ გუნებაზე ვერ იყო. რუსი მორაგბე იმას გაუღიზიანებია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ჩამოსვლის გამო აეროპორტში ცოტა ხნით შეუყოვნებიათ. შესაძლოა, კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ სერგეევმა გააჩუმა, ასე საუბარი არ შეიძლებაო.

კიდევ ერთი პატარა, მაგრამ მაინც უსიამოვნება რუსებს სტადიონის შესასვლელთან შეემთხვათ. ქართულ მხარეს სურდა, რუსებს "ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ევარჯიშათ. სტუმართა მწვრთნელს ამის შესახებ მერაბ მალაღურაძემ უთხრა და...

- არა, ასე არ გამოვა. რა საჭიროა ახლა ზედმეტი პრობლემები და ერთმანეთისთვის გუნების გაფუჭება? ზედმეტს არაფერს ვითხოვ, ხომ გვაქვს უფლება, ერთხელ ვივარჯიშოთ იმ სტადიონზე, სადაც უნდა ვითამაშოთ? ჰოდა, მე ამ უფლებას ვიყენებ, – აღშფოთდა პერვუხინი.

რუსების ვარჯიშმა 55 წუთს გასტანა. პირველი 15-20 წუთი გახურებას მოანდომეს, შემდეგ ამდენივე ხანი ფეხით დარტყმაზე ივარჯიშეს, ბურთს პირობითად მეტოქის მოედანზე კიდებდნენ და იქ აჩაღებდნენ ბრძოლას, ბოლოს კი აუტებზე წაივარჯიშეს. ტანმაღალ რუსებთან დერეფანში ჭიდილი შედარებით დაბალ ქართველებს ცოტა გაუჭირდებათ, თანაც, ერთიორჯერ სერგეევი თანაგუნდელებმა იმ სიმაღლეზე აწიეს, რომ სტადიონზე შეკრებილთა ნაწილს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, სლავები აუტებში გვაჯობებენო.

- ვინ არის მაგათი დასაჩაგრი, კისერს მოვუგრეხთ, – იმედიანად იყო რატი ურუშაძე, კრასნოიარსკის "ენისეის" ლიდერი. მასზე კარგად მეტოქეს არავინ იცნობს და იცის, რასაც ამბობს.

ერთა თასის საწყის ორ მატჩში ხელმოცარული საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დღევანდელი დაპირისპირებისთვის მნიშვნელოვნად შეიცვალა – 22 კაციდან 13 ლეგიონერია. ეროვნულ გუნდში უცხოეთში მოთამაშეთა ასეთი რაოდენობით მიწვევას მწვრთნელები მათი ტრავმების გამო ვერ ახერხებდნენ. მართალია, უძლიერესი ქართველი მორაგბეების სრულად შეკრება ვერც ახლა მოხერხდა, მაგრამ, წინა მატჩებისგან განსხვავებით, შემადგენლობა ამჯერად მნიშვნელოვნად ძლიერია. შესაბამისად, გაიზარდა წარმატების მიღწევის შანსიც.

ბორჯღალოსნები ორი დღეა "ლოკომოტივზე" ვარჯიშობენ. გუშინაც რუსების მისვლამდე ქართველებმა ივარჯიშეს და პერვუხინი სწორედ ამან აღაშფოთა – თუ თქვენთვის შეიძლება მატჩის წინ სტადიონზე ვარჯიში, ჩვენთვის რატომ არ შეიძლებაო. ამ ორ დღეში ბორჯღალოსნებმა გენერალური რეპეტიციაც გაიარეს – გუშინწინ ჭაბუკთა ნაკრებს დაუპირისპირდნენ. ამ მატჩში, ასე თუ ისე, გამოიკვეთა ძირითადი შემადგენლობა, თუმცა, მატჩამდე მწვრთნელებმა, შესაძლოა, რაიმე კორექტივი კიდევ შეიტანონ შემადგენლობაში. სავარაუდო თხუთმეტეული კი ამგვარია: მთიულიშვილი, დადუნაშვილი, სუჯაშვილი, დიდებულიძე, ზედგენიძე, მაისურაძე, ლაბაძე, ბოლღაშვილი, სამხარაძე, ჯიმშელაძე, ანდღულაძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ხამაშურიძე, ბარკალაია.

საგულისხმოა, რომ აქამდე ფრთაზე მოთამაშე ურჯუკაშვილი, სავარაუდოდ, პირველ სამმეოთხედელის ანუ 12 ნომრის პოზიციაზე ითამაშებს, მის ადგილს კი ანდღულაძე დაიკავებს. იმასაც ამბობდნენ, დადუნაშვილი აუტს კარგად ვერ აწვდისო და, როგორც ვარჯიშიდან გამოჩნდა, ეს მისია ბიძინა სამხარაძეს დაეკისრება.

აი, სულ ესაა მოკლედ იმის შესახებ, რაც ვარჯიშზე გამოჩნდა. დანარჩენს კი დღეს, ოთხი საათიდან ვიხილავთ "ლოკომოტივზე". ბოლო რვა წლის განმავლობაში ქართველებთან მუდმივად გაწბილებული რუსები დღეს ნავსის გატეხვას შეეცდებიან, ქართველები კი თავისას ეცდებიან – თავს არ დაზოგავენ, რომ ამ სიამოვნების მიღება მათ სამომავლოდ გადაუდონ. ამაში კი თავისი წვლილი მაყურებელმა უნდა შეიტანოს. არაერთხელ ყოფილა, რომ ბორჯღალოსნებს ბოლო მომენტში სწორედ გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერით გაუმარჯვიათ. ეს მხარდაჭერა დღევანდელ ნაკრებს უთუოდ დასჭირდება.

# შვიდკაცა მზადებაშია

ბიბა გურასაშვილი

ბორჯღალოსანთა ყოფილ მწვრთნელს კლოდ სორელს საქართველოში მოღვაწეობისას არაერთხელ უსაუბრია ქართულ მენტალიტეტზე! ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მენტალიტეტში ფრანგი მწვრთნელი საქმისადმი დარდიმანდულ მიდგომას გულისხმობდა. ალბათ, ისეთს, რაც ნაწილობრივ გუშინ ჩვენც ვიხილეთ.



*გუშინ შვიდკაცას პრობლემებზეც ისაუბრეს*

თბილისის მერიაში შვიდკაცა რაგბის ევროპული ციკლის ერთგვარ პრეზენტაციაზე გახლდით. შესაძლოა, შინაურისთვის ანუ მასპინძლისთვის წვრილმანები თვალშისაცემი არ უნდა იყოს, მაგრამ, ფაქტია, უცხოელები ყველაფერს ისე აღიქვამენ, როგორც გამადიდებელი შუშით დანახულ ბაქტერიას. ყოველ შემთხვევაში, ლამაზი არ უნდა ყოფილიყო ის, რომ პრესკონფერენციის თარჯიმნობა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტს გია ქასაშვილს ერთდროულად სამ ენაზე – ინგლისურად, ფრანგულად და შემდეგ ქართულად უწევდა. არადა, პრესკონფერენციას რიგ საპატიო სტუმრებთან ერთად უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. უხერხულობის გრძნობას ტოვებდა ისიც, რომ როდესაც საქართველოში ევროპის შვიდკაცა რაგბის დირექტორი ალან მაიო მოგვევლინა მასპინძლად. არა, ამაში სამომავლო ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს არ ვგულისხმობთ. კაცი ტურნირის დირექტორია და ამ შემთხვევაში მასპინძელიც, უბრალოდ, პრესკონფერენციის შემდეგ ალა-ფურშეტით სწორედ მაიო გაგვიმასპინძლდა.

ახლა მივყვეთ თანმიმდევრობით და გზადაგზა - რამდენიმე ინფორმაცია.

ჯერ ის, რომ ეს ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატია და შემდგომ - მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი. შეჯიბრებები გაიმართება ექვს ეტაპად. დასკვნითს, 16-17 ივლისს, პალმა დე მალიორკა (ესპანეთი) უმასპინძლებს. ესპანეთის ლაჟვარდოვან კურორტზევე გაირკვევა იმ საუკეთესო შვიდი გუნდის ვინაობა, რომლებიც ავტომატურად 2005 წლის ჰონგ კონგის მსოფლიო თასის საგზურს დაეპატრონება. ინფორმაციისთვის: ევროპული სარაგბო ოჯახიდან 2005 წლის მსოფლიო თასზე მონაწილეობის უფლება რვა ნაკრებს აქვს. ერთადერთი ინგლისია, რომელიც საკვალიფიკაციო მარათონიდან გათავისუფლებულია. საქმე ისაა, რომ ინგლისის ნაკრებმა წინა მსოფლიო თასზე საუკეთესო რვა გუნდში დაიკავა ადგილი. რაც შეეხება იმ შვიდ ნაკრებს, რომელმაც ჰონგ კონგში ასპარეზობის უფლება უნდა მოიპოვოს, მათთვის ევროპული ციკლია გათვალისწინებული. ერთ-ერთი მათგანია თბილისის ევროპის შვიდკაცა ტურნირი. უფრო გასაგები რომ გახდეს, განვმარტოთ: მთლიანობაში ევროპულ ციკლში 30 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. იმისთვის, რომ პალმა დე მალიორკას დასკვნით ასპარეზობაზე მონაწილეობის უფლება მიიღონ, ამის აუცილებელი პირობაა ორ ეტაპზე მონაწილეობა. ისინი კი, ვინც ორივე ეტაპზე ქულათა მაქსიმუმს დააგროვებენ (ასეთი 16 იქნება), ესპანეთისკენ გაეხსნებათ გზა.

რაც შეეხება თბილისის ტურნირს, მას 12-13 ივნისს "ლოკომოტივის" სტადიონი უმასპინძლებს. მონაწილე ნაკრებთა შორის იქნებიან საფრანგეთის, შოტლანდიის, უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, ისრაელის, მოლდოვის, შვეიცარიისა და ანდორის გუნდები. თექვსმეტ საუკეთესოში მოსახვედრად, ჩამოთვლილთა გარდა, საქართველოს ნაკრებს ურთიერთობის გარკვევა მოუწევს ამჯერად უკვე კიევში (26-27 ივნისი): პორტუგალიასთან, ესპანეთთან, ჰოლანდიასთან, შვედეთთან, ლუქსემბურგთან, ლიტვასთან, ავსტრიასთან, ანდორასთან და უკრაინასთან.

თავში ვთქვით, პრესკონფერენცია-პრეზენტაციას უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენო. ალან მაიოსა და კლოდ სორელზე (ის პრეზენტაციას მოგვიანებით შემოუერთდა) რომ არაფერი ვთქვათ, უდავოდ უნდა აღინიშნოს IRB-ს წარმომადგენლი დევიდ კერიჯი. მაღალჩინოსანმა სტუმარმა ევროპის შვიდკაცა რაგბზე საუბრისას ხაზი გაუსვა იმას, რომ მსოფლიო რაგბის კავშირი მარტო ტურნირების მაღალ დონეზე ჩატარებით არ არის დაინტერესებული. ამის დასტურია ისიც, რომ თბილისის ტურნირს "ევრონიუსი" და "ევროსპორტი" გააშუქებენ. "ევროსპორტს" კი 100 მილიონამდე ტელემაყურებელი ჰყავს. მას არც "ევრონიუსი" ჩამორჩება.

ფეხბურთი

# ვატერლოო თუ აუსტერლიცი?

## ჩია ფრანგი გამარჯვებებს გვპირდება

მიხეილ აბაიშვილი

როგორც იქნა, ნახევარწლიანი მოლოდინი დასრულდა – საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი გამოუჩნდა. გუშინ ფრანგი ალენ ჟირესი ავიაკომპანია "აირზენას" პარიზი-თბილისის რეისით ჩამოფრინდა და, სავარაუდოდ, დღეს კონტრაქტზე ხელს მოაწერს.

51 წლის ფრანგი სპეციალისტის სამდღიანი ვიზიტი საკმაოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გულმოდგინედ იცავს ჟირესის სიმყუდროვეს და მედიას ახლოს არ აკარებს. აეროპორტში ტანმორჩილმა ფრანგმა ჟურნალისტებისთვის სამიოდე წუთი გაიმეტა და ამ მცირე დროშიც მხოლოდ ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით შემოიფარგლა.

"პარიზში უკვე შევხვდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და წინასწარ შეთანხმებას მივაღწიეთ. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ კიდევ ერთხელ შევხვდე ჟორდანიას და საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდე. კიდევ ერთი მიზანი მაქვს: შეძლებისდაგვარად ახლო გავიცნო საქართველო და ქართული ფეხბურთი", - განაცხადა ჟირესმა.

საფრანგეთის ნაკრებში მიშელ პლატინის თანამებრძოლის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, თუმცა, თავად მუსიე ალენი ჯერ არ ჩქარობს ფაქტის აფიშირებას.

"მე ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩამოვედი, მაგრამ კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მომიწერია, ამიტომ იმის თქმა, რომ უკვე საქართველოს პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ, ცოტა ნაადრევია. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ", - ფრთხილობს ფრანგი.

თუმცა, ამ სიფრთხილის მიუხედავად, ჩვენი შესარჩევი ქვეჯგუფის სირთულეზე და საკუთარ ამბიციებზე საუბარს არ ერიდება.

"თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დავინიშნები, მერწმუნეთ, ყველა თამაშზე გუნდს მხოლოდ მოსაგებად გავიყვან. ჩემთვის ცნობილია, თუ რა ძნელი იქნება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარმატების მიღწევა იმ გუნდებთან, რომლებიც საქართველოსთან ერთად მოხვდნენ



ამიერიდან ჟირესი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იქნება

ქვეჯგუფში. მარჩიელობას არ დავიწყებ, თუმცა, არ დავმალავ, რომ ერთი მიზანი მექნება – რაც შეიძლება მეტი თამაშის მოგება და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. ყველა სხვა შეკითხვაზე პასუხს ზეგ, 7 მარტს, პრესკონფერენციაზე გაგცემთ", - ასეთი გახლდათ საქართველოს მიწაზე ალენ ჟირესის პირველი კომენტარი. ამის შემდეგ დაგვემშვიდობა და თარჯიმანთან, უფრო სწორად, თავის მომავალ თანაშემწესთან, გია გურულთან ერთად მანქანისკენ გაემართა.

წინასწარი ინფორმაციის თანახმად, ჟირესი ახლახან გახსნილ "ქორთიარდ მარიოტში" უნდა დაბინავებულიყო, თუმცა, სასტუმროში მხოლოდ მისი ბარგი მივიდა და ჟურნალისტებმა ნომერში მისი შესახლება ვერ დააფიქსირეს. თავად ჟირესი და მისი თანაშემწე კი ერთ-ერთ რესტორანში გააქანეს, სადაც ჟირესი ჟორდანიასაც შეხვდებოდა.

ფრანგი სპეციალისტი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელის, ემე ჟაკეს თქმით, მისი საყვარელი და საუკეთესო მოწაფეა, პარიზში 8 მარტს დაბრუნდება. ძნელი სათქმელია, რამდენად კარგად მოასწრებს იგი ორ დღეში საქართველოს და ქართული ფეხბურთის ახლო გაცნობას, თუმცა, იმას კი ნამდვილად შეიტყობს, სად და როგორ პირობებში მოუწევს მუშაობა. დღეს ჟირესს ეროვნული ნაკრების, მართლაც, კომფორტულ და საერთაშორისო სტანდარტების ახალ საწვრთნელ ბაზას დაათვალიერებინებენ. ჟირესი საქართველოს თასის იმ მერვედფინალურ მატჩსაც დაესწრება, რომელშიც თბილისის "დინამო" მიიღებს მონაწილეობას. ეს თამაში ეროვნულ სტადიონზე 14 საათზე დაიწყება. "დინამოს" მეტოქე ქვედალიგელი "სამგურალი" იქნება. დღესვე ხელს მოაწერენ კონტრაქტზე.

ხვალ ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ჟირესი პირველ ოფიციალურ პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში. არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ფრანგი მწვრთნელი დაესწროს კიდევ ერთ მერვედფინალს, რომელიც "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება და რომელშიც საქართველოს ჩემპიონატის ზეექვსეულის წარმომადგენლები, "ლოკომოტივი" და "თბილისი" შეხვდებიან ერთმანეთს.

8 მარტს პარიზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანიაც გაემგზავრება და კიდევ ერთ მოლაპარაკებას გამართავს ჟირესთან. ამ შეხვედრას მიშელ პლატინიც დაესწრება. შესაძლოა, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს კიდევ ერთმა მიშელმა, უფრო ზუსტად, მიხეილმა. სწორედ ამ პერიოდში საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მისთვის ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის წარდგენა პარიზში იგეგმება.

ფორმულა 1

# ავსტრალიის გრან-პრი - ყველა ერთის წინააღმდეგ

ნინო პირველი

მელბურნი. 2004 წლის 4 მარტი. მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო კომპიუტერთან სხედან და ავსტრალიის რბოლის დაწყებამდე ვირტუალურად ეჯიბრებიან ერთმანეთს. ბარიკელოს ბოლიდი აშკარად ჯაბნის შუმახერისას. როცა "შუმის" "ფერარი" მესამედ შეასკდა ბორდიურს და გზიდან გადავარდა, ჩემპიონს ნერვებმა უმტყუნა და გაღიზიანებული წამოხტა. გამარჯვება კმაყოფილების ღიმილით სახეგაბადრულ ბარიკელოს დარჩა. "რუბინიო" საშინლად ბედნიერი იქნებოდა, მარტო კომპიუტერულ თამაშში კი არა, რეალურ რბოლაშიც რომ ახერხებდეს "შუმის" დამარცხებას. "მე ისეთივე დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი პილოტი ვარ, როგორც მიხაელ შუმახერი და მეც სწორედ ისევე მაქვს ჩემპიონობის შანსი, როგორც მას", - განაცხადა ბარიკელომ ორი დღის წინ, რითაც დიდი თავსატეხი გაუჩინა გაოცებულ ჟურნალისტებს. "ფერარი" ტაქტიკას ცვლის თუ მორჩილ "რუბინიოს" მობეზრდა "მარად მეორის" როლი?

მიხაელ შუმახერზე დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლაა როგორც "ფერარის" შიგნით, ისე მის გარეთ. ბარიკელოს უცებ ჩემპიონობა მოუნდა, უფროსი "შუმის" კონკურენტები კი ჩემპიონის ასაკზე ალაპარაკდნენ. "მე მხოლოდ 35 წლის ვარ. რა უნდათ ჩემგან? ყველა ცდილობს, ბევრად უფრო ასაკოვნად ვიგრძნო თავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ", - მუშტებს ერთმანეთზე ურტყამს გაბრაზებული შუმახერი. უფროს "შუმის" ყველა გადაუდგა. მისმა აღმომჩენმა ედი ჯორდანმა ცოტა ხნის წინ კარიერის დასრულება ურჩია: "ჯობს, მაშინ წახვიდე, როცა ჯერ კიდევ კარგ ფორმაში ხარ და საუკეთესო პილოტად ითვლები", - უთხრა ირლანდიელმა გერმანელს. "მე მიყვარს ჩემი პროფესია. რა უნდა ვაკეთო, სპორტიდან რომ წავიდე?", - გაოცებით იკითხა შუმახერმა. მეტოქეები მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს პენსიაზე უშვებენ, შუმახერი კი მეშვიდე ტიტულის მოგებაზე ლაპარაკობს და მოუთმენლად ელოდება სეზონის პირველ რბოლას: "არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. როგორც იქნა, ეს დღეც მოახლოვდა. ძალიან ბედნიერი ვარ", - ამბობს შუმახერი. მას რომ, მართლაც, შესწევს კიდევ ერთი ტიტულის მოგების ძალა, ეს ავსტრალიაში გამართულ პირველივე ტესტ-რბოლაში გამოჩნდა, როცა შუმახერმა და ბარიკელომ ყველა უკან ჩამოიტოვეს. 5, 303-კილომეტრიანი ტრასა "ფერარის" ბილოდებმა წუთსა და 25 წამში დაფარეს. მესამე ადგილზე "რენოს" იტალიელი პილოტი იარნო ტრული გავიდა. "უილიამსის" ლიდერები რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია მეექვსე და მეშვიდე ადგილებს დასჯერდნენ. ასეთი შედეგის მიუხედავად, არც "უილიამსი" აპირებს "ფერარის" უპირატესობის აღიარებას და არც "მაკლარენი." ორივე საჯინიბო გამალებული ემზადება 7 მარტის რბოლისთვის და მთლიანად ამ მოვლენაზე არიან კონცენტრირებულნი, თუმცა, წვრილმანი უსიამოვნების თავიდან აცილებას მაინც ვერ ახერხებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით "უილიამსი" გამოირჩევა...



შუმახერზე ნადირობა იწყება

### ქალთმოძულე უილიამსი

ფრენკ უილიამსს ეს იარლიყი ჯერ კიდევ გასულ წელს მიეწება, როცა მან ბრაზილიის გრან-პრის წინ თავის ორივე პილოტს მეუღლეების თან წაყვანა აუკრძალა. მაშინ ინგლისელები ირწმუნებოდნენ, კონი მონტოია და კორა შუმახერი ხუან პაბლოს და რალფს მხოლოდ ხელს უშლიანო. როგორც ჩანს, ფრენკ უილიამსს დღემდე არ შეცვლია შეხედულება ამ საკითხზე. თუ შარშან უილიამსმა სეზონის მესამე რბოლის წინ გაილაშქრა ქალების წინააღმდეგ, წლეულს კორაზე და კონიზე შეტევა სეზონის დასაწყისშივე განხორციელდა. "უკეთესი იქნებოდა, თუ შუმახერს და მონტოიას თავიანთი ცოლები მუდამ გვერდით არ ეყოლებოდათ. ქალები მათ ხელს უშლიან რბოლაზე კონცენტრირებაში. რამდენიმე დღე ხომ უნდა გაძლოს კაცმა ქალის გარეშე", - ასეთია "უილიამსის" საჯინიბოს პოზიცია, რაც ძალიან აკვირვებს კორასაც და კონისაც. რალფ შუმახერს კი საერთოდ ნერვებს უშლის ეს აკრძალვა: "რა სისულელეა! რაში უნდა შემიშალოს ხელი კორამ? პირიქით, როცა ის ჩემს გვერდითაა, ძალა მემატება", - ამბობს რალფი. "ჩემთვის, მართლაც, გამოცანაა, რატომ არ უნდა ვიყო რალფის გვერდით. საერთოდ ვერ ვიგებ, რაში უშლის ხელს მას ჩემი იქ ყოფნა. რალფი ძალიან კარგად ემზადება რბოლისთვის. სანერვიულო არაფერია", - მიაჩნია კორას. რალფი ნამდვილად ბოლომდეა კონცენტრირებული და მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს: "გასულ წელს ჩვენ თავად გავაჩუქეთ ჩემპიონის ტიტული. ასეთი რამ ამ სეზონში აღარ უნდა მოხდეს. დროა, უკან მოვიტოვოთ "ფერარი". ან ახლა, ან არასოდეს!" - მტკიცედ აცხადებს რალფი. არადა, "უილიამსი" სულაც არ იმსახურებს ასეთ თავდადებას, რალფ შუმახერისთვის ხომ ჯერაც არ გაუგრძელებიათ კონტრაქტი...

### კოლუმბიური სიგიჟე

თუ რალფი კიდევ რამდენიმე წელიწადს სიამოვნებით დარჩებოდა "უილიამსში", ხუან პაბლო მონტოიას უკვე გაქცევაზე უჭირავს თვალი. ავსტრალიის გრან-პრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მონტოია სერიოზულ სკანდალში გაეხვა. "უილიამსმა" პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც უამრავი ჟურნალისტი დაესწრო. კოლუმბიელი პილოტი ერთხანს მშვიდად იჯდა და ჩვეულებრივ პასუხობდა კითხვებს, მაგრამ მალე ყველაფერი აირია. ავსტრალიურმა ტელეარხმა "ჩანელ 7-მა" ბრიფინგზე გაგზავნა ორი ჟურნალისტი, რომელთაც გადაცემა "ფარული კამერისთვის" უნდა მოემზადებინათ სიუჟეტი. ჟურნალისტები ხუმრობდნენ და მონტოიას უცნაურ კითხვებს უსვამდნენ, მაგალითად, ასეთს: "ითამაშებდით თუ არა გოლფს დედაჩემთან ერთად?" მონტოიას ეს სისულელე ყელში ამოუვიდა და საჯაროდ განაცხადა, თუ ასეთი კითხვების მოცემას არ შეწყვეტთ, მე წავალო. ავსტრალიელებმა მისი სიტყვები არაფრად ჩააგდეს და ხუმრობა განაგრძეს. მაშინ კოლუმბიელი ადგა და სცენიდან გავიდა. "უილიამსის" ერთ-ერთი მენეჯერი, პეტერ ფილიპსი უკან დაედევნა და შეეცადა, გაბრაზებული პილოტი სცენაზე დაებრუნებინა. კულისებში რა მოხდა, ზუსტად არავინ იცის. "ბილდი" და "მირორი" ამტკიცებენ, მონტოია გუნდიდან წასვლით იმუქრებოდა და ფილიპსს ხელითაც შეეხოო. ეს კი უკვე სკანდალია, მით უმეტეს, რომ ზემოთ ხსენებული პეტერ ფილიპსი ინგლისის დედოფლის შვილიშვილია. "მე პროფესიონალი პილოტი ვარ. მინდა, რომ პრესკონფერენციაზე პატივს მცემდნენ და სულელურ შეკითხვებს არ მისვამდნენ. ასეთ უაზრო ხუმრობებს ვერ ვიტან", - პირქუშად განაცხადა მონტოიამ. მიხაელ შუმახერმა თავისი კოლუმბიელი კონკურენტი გაამართლა - ასეთ სიტუაციაში მეც გამოვიდოდი მოთმინებიდანო. რაც შეეხება დედოფლის შვილიშვილის ცემას, ამაზე მონტოია კრინტსაც არ ძრავს. "მირორის" ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ კოლუმბიელი სპეციალურად იქცევა ასე გამომწვევად და თავხედურად, რათა "უილიამსიდან" დროზე ადრე შეძლოს წასვლა...

საქართველოს ჩემპიონი

## რუბრიკის პრემიერა

როგორც წესი, ჯერ რუბრიკის პრემიერა მოეწყობა ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ იბეჭდება ის, რაც ამ რუბრიკის ქვეშ უნდა მოთავსდეს. ამჯერად პირიქით მოვიქეცით. გვაინტერესებდა, როგორ ჩაჯდებოდა სპორტულ გვერდში, როგორი რეაქცია იქნებოდა სპორტსმენებისა და მკითხველის მხრიდან. შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

რუბრიკა "საქართველოს ჩემპიონის" შემოღება ბევრმა რამემ განაპირობა. მათ შორის მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ამ ტიტულს მთლად დაკარგული ჰქონდა ფუნქცია. ეს სახელი, შენს სახეობაში საუკეთესოს სახელი, არაფერს არ იძლეოდა – არც ფულს, არც ადგილს ქვეყნის ნაკრებში. ტიტულის მფლობელებსაც ზუსტად ასე უყურებდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ნებისმიერ სახეობაში რამდენიმე უძლიერესი სპორტსმენი არც კი მონაწილეობდა შეჯიბრებაში, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატი ერქვა.

ჩვენი აზრით, ეს სიტუაცია თანდათან უნდა გამოსწორდეს. ამის წინაპირობა არის (აღარ ეწყობა სსრ კავშირისა და სხვადასხვა საკავშირო სპორტსაზოგადოებათა პირველობები). "24 საათიც", თავის მხრივ, შეეცდება, ხელი შეუწყოს გამოჯანმრთელების ამ პროცესს.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული ღირსეულ ჯილდოდ უნდა იქცეს, საქართველოს ჩემპიონს ღირსეული პატივი უნდა მიეგოს.

*რუბრიკას უძღვება ზვიად გიორგაძე*

## ირაკლი უშანგიშვილი

ჩოგბურთი



| | |
|---|---|
| **დაბადების თარიღი:** | 1982 წლის 9 თებერვალი |
| **სიმაღლე:** | 182 სმ. |
| **წონა:** | 77 კგ. |
| **ოჯახური მდგომარეობა:** | უცოლო |
| **ტიტულები:** | 1982.9.2. 182სმ. 77კგ. საქართველოს ჩემპიონი: 1998, 1999, 2000, 2001, 2003 წლებში. 1998წ. მს. რეიტინგით პირველი, ახალგაზრდებს შორის. |
| **პირველი მწვრთნელი:** | გურამ თოხაძე |
| **პირველი გამარჯვება:** | ცამეტი წლის ასაკში, ინგლისის ქალაქ ბადში, გავხდი მოზარდთა მსოფლიო ოლიმპიადის პრიზიორი (ნახევარფინალისტი) |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | გერმანიაში ერთ-ერთ პროფესიონალურ ტურნირზე ნახევარფინალში თამაში (2002წ.) |
| **ბავშვობის ოცნება:** | წყალბურთელობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | მიხაილ იუჟნისთან "მატჩ-ბოლით" წაგება |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | ალექსანდრე ვლასკი. სერბეთი |
| **საყვარელი ილეთი:** | მოწოდება |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | პოტენციალი დიდი გვაქვს, მაგრამ ფინანსური შესაძლებლობები არ გვიწყობს ხელს. საჭიროა მეტი ერთგულება და პროფესიონალიზმი |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | მაღიზიანებს ტყუილი და ჭორაობა. მახარებს ქართველი კაცის წარმატება |
| **კურიოზი:** | ერთი წლის წინათ იტალიის აეროპორტში არაბ ტერორისტად მიმიჩნიეს |
| **ჰობი:** | მუსიკა და ისტორია |
| **საყვარელი მსახიობი:** | მელ გიბსონი, ალ პაჩინო |
| **საყვარელი ფილმი:** | "მამაცი გული", "ნათლია", "გლადიატორი" |
| **საყვარელი მწერალი:** | ნოდარ დუმბაძე, ბულგაკოვი |
| **საყვარელი წიგნი:** | "მარადისობის კანონი", "ოსტატი და მარგარიტა" |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | სტინგი |
| **ნირომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს |
| **საყვარელი კერძი:** | ხინკალი, შემწვარი კარტოფილი, ხაჭაპური |
| **საყვარელი სასმელი:** | ალუბლის და, საერთოდ, ყველანაირი ნატურალური წვენი |
| **ვისთან ერთად იქეიფებდით:** | ოჯახთან ერთად |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | იტალიაში, კონკრეტულად, რომში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | გაგრაში |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | ქებას |
| **მიზანი:** | როლან გაროსის მოგება |
| **დევიზი:** | ეს ქვეყანა სავსეა წარმატებებით |

TV-სპორტი

## შაბათი. 6 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. "შტუტგარტი" - "ჩელსი"
15:10 "ექსპერტიზა"
15:40 "გაიტანე"! როი მაკაისთან ერთად
15:55 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ტორპედო-მეტალურგი" – "დინამო". პირველი მატჩი
17:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ბავარია"
20:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "დეპორტივო" - "იუვენტუსი". პირველი მატჩი.
22:15 თავისუფალი დარტყმა
22:30 ხვალინდელი პროგრამა
22:35 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. "ზენიტი" - "კრილია სოვეტოვი". განმეორებითი მატჩი
24:25 ესპანეთის ჩემპიონატი. შესვენებაზე თავისუფალი დარტყმა
02:20 გერმანიის ჩემპიონატი
04:00 NBA TV. მიმოხილვა.
04:30 NBA TV.
05:00 ოვერტაიმი: ჯულიუს ირვინგი
05:30 დღიური
06:00 NBA TV. "ფინიქსი" - "სან-ანტონიო" პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 16:40, 20:00, პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
12:00 "გამყინვარების პერიოდი"
13:00 ფრისტაილი. ტელეჟურნალი
13:30 "ნოკაუტი" ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
14:15 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
14:55 სპორტული ცეკვები
15:55 საერთაშორისო თასი პოლოში
16:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი. გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 ხვალინდელი პროგრამა
20:30 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
22:30 NBA-ის ჩემპიონატი. "ნიუ-ორლეანი" - "კლივლენდი"
01:00 ახალი ამბები
01:15 სამთო-სათხილამურო სპორტი
04:30 ჰოკეი. "პიტსბურგი" - "ანაჰაიმი"
06:00 პროფესიული კრივი. ჯოელ კასამაიორი - დიეგო კორალესი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30, 02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00, 17:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი ფინეთში
13:00, 21:00 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
16:00, 18:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი აშშ-ში
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
23:00 ჩოგბურთი. აშშ
00:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი ათენი
01:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:30, 04:45 ევროსპორტის სიახლენი
02:45 ჩოგბურთი. ყატარი
03:45 ჩოგბურთი. არაბეთის გაერთიანებული საემიროები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მიმართვა მწერალთა კავშირს

ძალიან ნაწყენი ვარ, რომ მე არ მომიწვიეთ მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობაზე. თუ არც მწერლობა და არც პოეტობა იყო საჭირო ყრილობაზე დასასწრებად, მაშინ ესთეტიურად მაინც გავახალისებდი ყრილობის შემადგენლობას.

*ქეთევან იგნატოვა.*

# მეფისტოფელისეული ქართული მოდელი

















ამბობენ, თეატრი გარდერობიდან იწყებაო. სამეფო უბნის თეატრში გარდერობი ან არ არის, ან არ მუშაობს, მაგრამ ამის მიუხედავად, შესვლისთანავე საოცრად მყუდრო, ესთეტურ, ამაღლებულ გარემოში ხვდები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თეატრში შეიძლება იყოს. ფოიეს ორივე მხარეს პატარა, ხის მაგიდებიანი კაფეებია განლაგებული, კედლებზე ძველი ფოტოები, აფიშები, ხალიჩების და ფარდაგების ნაფლეთები კიდია, დარბაზში დელიკატურად დატოვებული, შეუღებავი, შეულესავი ძველი აგურის კედლებია. სახსრების აშკარა არასაკმარისობის ფონზე, ყველაფერს მოვლილობა და სიყვარული ეტყობა. ამ ყველაფერს კი საოცრად ინტელიგენტი, ჩუმად მოსაუბრე, ღიმილიანი მაყურებელი ავსებს და აცოცხლებს.

ეს ის არის, რაც მე, ამ კვირაში სამეფო უბნის თეატრში, ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით რეჟისორ გოგა თავაძის დადგმული სპექტაკლის "ნუგზარი და მეფისტოფელის" პრემიერაზე ვიგრძენი და ვნახე. ალბათ ლოგიკურიც არის, რომ ყველაზე შთამბეჭდავი, დამაჯერებელი, მომხიბვლელი, მაცდური და სასაცილო - მეფისტოფელის როლის შემსრულებელი, მსახიობი ზაალ ჩიქობავა იყო. ეშმაკზე სულის მიყიდვის ცდუნება საუკუნეების მანძილზე არ კარგავს აქტუალურობას, მაგრამ მე, ალბათ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ეპოქის თანამედროვე, ჩვენს დღევანდელობასთან აშკარა პარალელები გავავლე. თუმცა, ჩემზე ბევრად ადრე და უკეთ ეს თვით პიესის ავტორმა გააკეთა.

იუმორით, ცინიზმით, აზრით აღსავსე პიესა, რომელსაც რეჟისორმა ხორცი შეასხა, გაცინებს, გაფიქრებს, გახსენებს, გაშინებს და ეშმაკისეულ ქართულ მოდელს გიკონკრეტებს. მოდელს, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველი ჩვენგანი კარგად იცნობს და ქართულ სინამდვილეში საკმაოდ ხშირად ხვდება. რა საინტერესოა იმ ადამიანების ემოცია, რომლებმაც სპექტაკლის მსვლელობისას სულმიყიდულ ნუგზარში (ნიკო თავაძე) თავისი თავი შეიძლება ამოიცნონ. ალბათ, არც ისე სასიამოვნოა, ადამიანის დეგრადაციაში შენი თავის დანახვა, თუ, რა თქმა უნდა, მათ რამის დანახვა და აღიარება შეუძლიათ.

მეფისტოფელის შთამბეჭდავ მაცდურობასა და მომხიბვლელობას, მსახიობის შესანიშნავი თამაშის გარდა, კოსტიუმების მხატვრის - ქეთი ალექსი-მესხიშვილის მიერ შექმნილი კოსტიუმიც აძლიერებს: რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად, ნიჭიერად გაკეთებულ კოსტიუმს როლის, სახის საბოლოო დაგვირგვინებისთვის. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ მუსიკალურ გაფორმებას, სცენოგრაფიას, განათებას, ქორეოგრაფიას და, რაც მთავარია, რეჟისურას სპექტაკლის წარმატებისთვის.

იმედი მაქვს, ლაშა ბუღაძე ისეთივე კმაყოფილია თავისი პიესის თეატრალიზაციით, როგორც მე, რიგითი მაყურებელი, რომელმაც ბევრი ვიცინე, ჩავფიქრდი, პარალელები გავავლე, ბევრიც ამოვიცანი, ფოიეს მყუდრო კაფეში შესვენებაზე ყავა დავლიე, სასიამოვნო ხალხთან ვიურთიერთე, აზრები გავუზიარე და საღამო ნამდვილად უქმად არ გავატარე, რაც დღევანდელ თბილისში დიდი ფუფუნებაა.

# "რატომ გამოგიშვეს?"

ბოლო პერიოდი მდიდარია მოვლენებით და ამ ფონზე ძნელი წარმოსადგენია, რამდენი კორესპონდენტი სჭირდება თითო ტელეარხს ყველა მნიშვნელოვანი ახალი ფაქტის გასაშუქებლად. დღეს ყველგან რაღაცა ხდება, იქნება ეს კანცელარია, პარლამენტი, საკრებულო, შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ რაიონული სასამართლო. ტელეკომპანიების სიუხვის ფონზე ინფორმაციის მოპოვება-მოწოდებაზე, ოპერატიულობაზე, ექსკლუზივზე სერიოზული კონკურენციაა. ქვეყანაში არსებულ კორუფციასთან ტოტალური ბრძოლის ფონზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად მომუშავე, ინტერესის ცენტრში მყოფი გენპროკურატურაა, რომლის ჭიშკართანაც სიახლის მოლოდინში ტელეკორესპონდენტები ათენებენ და ალამებენ და ვაი იმას, ვინც დაკითხვაზეა გამოძახებული, თუნდაც მოწმის სტატუსით. წამიერად გაჩენილი, ლოდინისგან გადაღლილი და ცნობისმოყვარეობისგან დაგეშილი ჟურნალისტების მთელი ჯარი ადამიანს, რომელსაც თავისი გაჭირვება ეყოფა, შემოეხვევიან, საშვის აღების, ჭიშკარში შესვლის საშუალებას არ აძლევენ და ისედაც დაკითხვის წინ ნერვებდაგლეჯილს, ღამენათევს სადისტური შეკითხვებით საბოლოო დემორალიზებას უკეთებენ.

"როგორ გგონიათ, უკან გამოხვალთ?", "რომ არ გამოგიშვან?", "რატომ ხართ მოწმე და არა ეჭვმიტანილი?", "დამნაშავე ხართ თუ არა?".

თუ დაკითხულს შემთხვევით გაუმართლა და თუნდაც ეჭვმიტანილის ახალი სტატუსით, ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ მაინც უკან გამოუშვეს, ჟურნალისტების არმიის უტაქტო შეკითხვებში უსენსაციობის სინანულიც კი იგრძნობა - "რატომ გამოგიშვეს?", "როდის დაგიბარეს კიდევ?", "როგორ ფიქრობთ, შემდეგ მოსვლაზე მაინც გამოგიშვებენ?", "დაგიჭერენ?", "როდის?" - ვაშა!

ხომ არ იქნება უფრო სწორი, რომ ამგვარ საინტერესო ინფორმაციას ჟურნალისტებს პროკურატურის პრესსამსახური აწვდიდეს და არა ანერვიულებული, ყბააკანკალებული, წნევააწეული ეჭვმიტანილი?

ან დააკვირდით, მაშინ რა ამბავია, როდესაც რაიონულ სასამართლოში პატიმარი მოჰყავთ! თითოეულ პატიმარს უზარმაზარი ნიღბიანი ბადრაგი იცავს და იცით, ვისგან - არა გულშემატკივრებისგან, ოჯახის წევრებისგან ან რაიმე პროვოკაციისგან, არამედ ჟურნალისტებისგან, რომლებმაც რიგითი ინფორმაციის მიღების მიზნით, უბრალოდ, შეიძლება გათელონ ეჭვმიტანილი და მაშინ, ვიღას მიუსჯიან





სამთვიან წინასწარ პატიმრობას? ბადრაგის მანქანის გამოჩენა და ჟურნალისტების ალყა - ერთია. მანქანიდან სასამართლოს კარებამდე, კარებიდან კიბეებზე, კიბეებიდან სასამართლო დარბაზამდე ფეხდაფეხ მიჰყვებიან ბორკილებდადებულს და კვლავ ჩვეული სადიზმით აყრიან შეკითხვებს, რომელთა უმეტესობა უპასუხოდ რჩება - "მოგისჯიან?", "რამდენს?", "გეშინიათ?", "ვის დაასახელებთ?", "რომ მოგისაჯონ, რას იზამთ?", "გაასაჩივრებთ?", "პოლიტდევნილი ხართ?"

ხომ არ შეიძლება, თუნდაც ერთი ქურდი კაცის ხარჯზე ყველაფერი შოუდ, საკუთარი პროფესიონალიზმის სანახაობად გადააქციო. ნუთუ ჟურნალისტმა არ უნდა იცოდეს, როდის, სად, როგორ, რა იკითხოს, რაზე უპასუხებენ და რაზე არ არსებობს პასუხი, სადამდე უნდა სდიო რესპოდენტს, სად დაანებო თავი და როგორ მანძილზე დაიჭირო მიკროფონი. ამერიკის პრეზიდენტს, რომელსაც მე-9 არხის მიკროფონი სტომატოლოგის ბურღივით პირში ჰქონდა ჩათხრილი, შენიშვნის მიცემა და მიკროფონის გაწევა შეუძლია, მაგრამ უბრალო, რიგითმა მსჯავრდებულმა თუ ეჭვმიტანილმა, რომელსაც რამდენიმე მიკროფონი ერთდროულად უდევს პირში, რა ქნას? რა დაშავდება იმით, რომ ჟურნალისტებმა ელემენტარული ეტიკეტი, ქცევის ნორმები ისწავლონ და შესაბამისად მოიქცნენ, როგორც უცხო ქვეყნის პრეზიდენტთან, ისე საკუთარ პატიმართან. ქცევის მანერა რომ დასახვეწია, იმაშიც გამოჩნდა, სხვადასხვა არხის ჟურნალისტები როგორ ისხდნენ საქართველოს პრეზიდენტის ბოლო ბრიფინგზე - თითქოს სადღაც სკვერში ქანდარაზე, თავისუფალ, მოდუნებულ პოზებში მზეზე თბებოდნენ და ჩაცმულობაც, სხვათა შორის, პარკში გასეირნებისთვის ან ალპინიადისთვის უფრო შესაფერისი ჰქონდათ, ვიდრე ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრისთვის. ჯდომის პოზა, ჟესტიკულაცია, შესაბამისი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი, მიკროფონის დაჭერა-მიშვერა, შეკითხვების შინაარსი, აზრობრიობა და ბევრი სხვა რამ ჟურნალისტურ პროფესიონალიზმზე, ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვებაზე არანაკლებად მეტყველებს. მასმედიის თავისუფლება ჟურნალისტის ქცევის თავისუფლებას არ გულისხმობს. პირველი - დიდი მონაპოვარია, მეორე კი უკულტურობა და თუ მართლა გვინდა, რომ ჩვენი მედია მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდეს, ეს ყურადღებამისაქცევი პრობლემაა, რომელმაც ამ ბოლო დროს, ასე ხშირ ექსტრემალურ სიტუაციებში, განსაკუთრებით იჩინა თავი და თვალშიმოსახვედრი გახდა.

# "ქარავანი"

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ლელა წურწუმიას ახალი კლიპი "ქარავანი" გამოჩნდა ტელეეკრანზე, მოსვენება დავკარგე და სულ მინდა, ჩემი აზრი გამოვთქვა, მაგრამ დღემდე თავს ვიკავებდი ერთი მარტივი მიზეზის გამო. ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ არსებობს ხალხი, რომელიც თავის მიმართ არანაირ, თუნდაც ელემენტარულ კრიტიკას, უარყოფით აზრს არ ღებულობს, უფრო სწორად კი, წყენად მიიჩნევს. ხოდა, მეც არ მინდოდა ურთიერთობის გამწვავება, მით უმეტეს, რომ ლელა წურწუმია და მამულიჩა ისედაც ძლივს მესალმებიან მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ნომერში ლელას შინიონზე ჩემი მოსაზრება გამოვხატე. "ქარავანი" კი ჩვენს ტელეეთერში მიდის, თანაც ისეთი დოზით, რომელმაც ჩემი თავშეკავებულობა, მოთმინება საბოლოოდ ამოწურა და აზრის გამოთქმა გადამაწყვეტინა - პოპულარული წყვილი ისედაც ცივად მესალმება და ახლა თუ უნდათ, სულ ნუ მომესალმებიან, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ახალი კლიპი არათუ არ მომწონს, არამედ, ცუდად მხდის, ნერვებს მიშლის, მაღიზიანებს და მისი პირველივე კადრების გამოჩენაზე ვჩქარობ, ტელევიზორი რომელიმე ისეთ არხზე გადავრთო, სადაც აგრესიული უგემოვნება არ დამხვდება. წარმოდგენაც კი ძნელია მსგავსი უნიჭობისა, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, "ათას ერთი ღამის", აღმოსავლური ესთეტიკის სრულიად უცოდინარი, ვერგაგებული პრეტენზია გააჩნია. ძალიან მაინტერესებს, როდესაც ლელა წურწუმიამ ამ სიმღერას პირველად მოუსმინა, რა ნიშნით მოეწონა, რატომ აირჩია, ვის მიანდო კლიპის გადაღება, ვინ არის მხატვარი, მუსიკის და ტექსტის ავტორი, ვის ეკუთვნის "იშვიათი" კომპიუტერული ეფექტები, ვინ არის ოპერატორი და ვისი იდეა იყო შახის როლში მამულიჩას გადაღება? ნეტავი ვინ დააფინანსა ამ შედევრის გადაღება - სპარსეთის კულტურაზე შეყვარებულმა მეცენატმა, ლელას რომელიმე ფანმა, თუ, უბრალოდ, მამულიჩას ამხანაგმა?

ლელა წურწუმიაზე უკეთესი აზრის ვარ და როგორ დავიჯერო, რომ მას თავად მოსწონს კლიპის საბოლოო ვარიანტი. ეგება, არც აჩვენეს და ისე გაუშვეს ეთერში და დღეს ლელა კლიპის ავტორებს სასამართლოში უჩივის? ჩემი ნება რომ იყოს, მეც ვუჩივლებდი გემოვნების გაფუჭებისთვის და, რაც ყველაზე ლოგიკური იქნება, შეიძლება ირანის საელჩომაც, კულტურის შეურაცხყოფისთვის, რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანოს.

შეიძლება არაფერი მესმის და გამაგებინეთ, ან რა მელოდიაა, ან რა მისამღერი, ან რა ტექსტი, ან რა კოსტიუმები, ან რა გადაღება, ან რა იდეა? საინტერესოა, რა უნდოდათ კლიპის ავტორებს - სპარსეთის გაცოცხლება, აღმოსავლეთის ამღერება თუ ავლაბრის გარემიქსება? თუ ბოლო, მაშინ ნამდვილად კარგად გამოუვიდათ. სხვა რამეს კი ცოტა განათლება, ცოდნა, კულტურა, გემოვნება, ნაკლები თვითდაჯერებულობა და ცოტაც თვითკრიტიკა სჭირდება. ეს კი ის თვისებებია, რომელთა კატასტროფულ დეფიციტს განიცდის ჩვენი შოუ-სამყარო. შედეგად, ქართველი ახალგაზრდობა საშინელ სიმღერას უსმენს, ცუდ კლიპს უყურებს, თანაც არა მარტო მავნებელი, არამედ მომწამვლელი დოზით. არ მესმის, ასეთი კლიპი როგორ უნდა გადიოდეს ჰიტ-პარადის თუნდაც ნებისმიერ ნომრად. მირჩევნია ჰიტ-პარადის მიუკერძოებაში შემეპაროს ეჭვი, ვიდრე უმცროსი თაობის გემოვნების ამგვარ დაკნინებაში.

"რამდენი დღე და რამდენი ღამე" შეიძლება იმის ჩვენება, რისი ერთადერთი მიზანი ესთეტიკის, კარგი მუსიკის, პლასტიკის, მხატვრობის, პოეზიის, ქართული სიმღერის ტრადიციის, აღმოსავლეთის და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი რამის დივერსია და დისკრედიტაციაა.

ეს ჩემი სუბიექტური აზრია ერთ კონკრეტულ კლიპზე. ვინც მეთანხმება - დამეთანხმოს, ვინც არა - არა, ვისაც მოსწონს - უსმინოს, ღმერთმა შეარგოს, ვისაც უნდა, ნუ მომესალმება, განსაკუთრებით კლიპის და სიმღერის ავტორები, რომლებსაც ისედაც არ ვიცნობ და არც მინდა, გავიცნო.

**P.S.** ლელა წურწუმიას ადვილად წყენის ამბავი რომ ვიცი, ამიტომაც არაფერს ვწერ "ქარავანში" მის აქსესუარებზე, რომელთა მსგავსი არაფერი მინახავს.

# ნელა, ბიჭო!

ბევრი მუშაობის, ფიქრის, შერჩევის, დაპირისპირების, თათბირის, მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა, ახალი მინისტრთა კაბინეტი, მთავრობა დაინიშნა, რომელიც უმეტესად ახალგაზრდებით, უფრო სწორად კი ბავშვებით არის დაკომპლექტებული. ამ "ბავშვებს", დიდწილად, განათლება საზღვარგარეთ აქვთ მიღებული, ყველანი პროგრესულად, თანამედროვედ აზროვნებენ, შორს მიმავალი გეგმები და მიზნები, ქვეყნის აშენების და არსებული რეალობის შეცვლის სურვილი გააჩნიათ, არ არიან კორუმპირებულები, კონფორმისტები და სჯერათ, რომ ბევრი სასიკეთოს გაკეთებას შეძლებენ. კი ბატონო, ჩვენც გვჯერა მათი გულწრფელობის, ენთუზიაზმის, მაგრამ მათი ასაკიდან გამომდინარე, რაღაცები გვაწუხებს, გვანერვიულებს. პირველ რიგში, თბილისში მოდებული სახადების ეპიდემია შეიძლება მთელ მინისტრთა კაბინეტს მოედოს, მათ ხომ ჯერ ყველაფერი მოხდილი არ ექნებათ. ქალაქში უკვე ხუმრობა დადის, რომ მთავრობამ თავისი ბატონების საპატივცემულოდ, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე ვასიკო ცოტაძე, ანუ პიცერია "ბატონების" დირექტორი დანიშნა. ხუმრობა ხუმრობად,



*მინისტრების "ოცნების" ავტომობილები*



მაგრამ რამდენად სასაცილო იქნება, როდესაც მთელი მინისტრები რიგრიგობით ხან ყბაყურით, ხან ქუნთრუშით, ხან წითელათი და ხან ყივანახველით ჩაწვებიან? თვითონ რა ენაღვლებათ, ამ ასაკში სახადები ადვილად გადააქვთ, თანაც ბატონებთან ერთად კლასელებიც მივლენ მათ სანახავად - ვისაც მოხდილი აქვს, რა თქმა უნდა - გაართობენ ჩვენს ბიჭებს. ჩვენ ვიკითხოთ. მინისტრების და მთავრობის არაზრდასრულ ასაკს სხვა პრობლემაც აქვს, რომელმაც ამ კვირაში იჩინა თავი. უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა, ეტყობა, ჯერ იმ ასაკშია, როდესაც მამებს მანქანებს პარავენ, გაუვლიან ამხანაგ მინისტრებს და ერთად თბილისის ქუჩებში "კატაობენ", თანაც, მხოლოდ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი სიჩქარით. რა ქნან, ეხალისებათ, ისინიც ხომ ბავშვები არიან. მერე რა, რომ მინისტრის პორტფელები უჭირავთ, თანაც გაზაფხული მოდის, ამდენი განუბაჟებელი ჯიპი უქმად ცდება და თუ ეს ფეხბურთელის მანქანაა, მთლად კარგი. გიგის ხომ ფეხბურთელობა უნდოდა და არა მინისტრობა. ვინ რას გაიგებს, ერთხელ რომ გაისეირნოს, ვაკეში გაიაროს, ბირჟაზე ჩაიაროს, ძმაკაცებს დაენახოს, გოგოებს გაეპრანჭოს და ამით კიდევ უფრო მაგარი, თითქმის ფეხბურთელისნაირი ბიჭი გამოჩნდეს. მერე რა, რომ უშიშროების მინისტრის მოადგილეა. რა იციან მისმა თანატოლებმა, ან უშიშროება რა არის, ან მინისტრი სად მუშაობს. ასეთ მანქანაზე კი, როგორც ფეხბურთელ ალექსიძეს ჰყავს, ყველანი ერთად ოცნებობდნენ, კომპიუტერში "ჩითავდნენ" და იმ დროზე ოცნებობდნენ, ასეთის ყიდვას რომ შეძლებდნენ. ყიდვა არც ახლა შეუძლია, მაგრამ მაინც მინისტრის მოადგილეა, თანაც უშიშროების - ე.ი. უშიშარი უნდა იყოს. ხოდა, აიღებს და სხვისი მანქანით, ფეხბურთელის ჯიპით გაისეირნებს ვაკეში.

კი, დედიკო, გაისეირნე, ოღონდ ფრთხილად იყავი, ნელა იარე, რამე მარცხს არ გადაეყარო. საჭესთან არ დალიო. უი, სულ დამავიწყდა, რომ მინისტრი ხარ და მძღოლი გემსახურება. გახსოვს, ყბაყურა რომ ახალი გადატანილი გაქვს? ფანჯარა არ ჩამოწიო, დაგიბერავს, გაცივდები და, ღმერთმა დაგიფაროს, რამე გაგირთულდება.

# ელტონ ჯონი ვეღარ ითმენს



ცნობილი ბრიტანელი მუსიკოსი ელტონ ჯონი სულ უფრო მეტს საუბრობს დაგეგმილი ქორწინების შესახებ. როგორც თავად განაცხადა, მუსიკოსს სურს დაქორწინდეს თავის ძველ შეყვარებულზე და საქმიან პარტნიორზე დევიდ ფერნიშზე. ამიტომაც იგი დიდი მოთმინებით ელის, როდის დაუშვებენ დიდ ბრიტანეთში ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას. გაზეთ "ნიუ იორკ დეილი ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ სურს საკუთარი თავი მიუძღვნას თავის რჩეულს.

მომღერალი ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული. ქორწინება რენატა ბლაუელთან 1984 წელს ავსტრალიაში მოხდა და სამი წელიწადი გაგრძელდა. ამჯერად 56 წლის სერ ელტონ ჯონისა და 40 წლის ფერნიშის კავშირი უფრო მყარია – ისინი ერთად არიან უკვე 11 წელიწადი.

უახლოეს ხანებში დიდი ბრიტანეთის პარლამენტში დაიწყება განხილვა ჰომოსექსუალისტი წყვილების უფლებების შესახებ. ამჟამად ისინი არ არიან ისეთი დაცულები, როგორც ჰეტეროსექსუალური წყვილები. მაგალითად, მემკვიდრეობის, პენსიისა თუ სხვადასხვა გადასახადების სფეროებში. სერ ელტონ ჯონი ამტკიცებს, რომ იგი მაშინვე დაქორწინდება ფერნიშზე, როგორც კი ამის უფლებას ბრიტანული კანონმდებლობა მისცემს. შეგახსენებთ, ჭორები ამ ქორწინების შესახებ სამი წლის წინათ გავრცელდა მასმედიის საშუალებებში. მაშინ ამ ინფორმაციებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მომღერლის ასეთი ნაბიჯი გათვლილი იყო გადასახადების გვერდის ავლის მიზნით. ელტონ ჯონის ქონება 150 მილიონ ფუნტს აღემატება და მას სურს, ფერნიში მისი მემკვიდრე იყოს. კანონის მიხედვით კი, მეუღლეები თავისუფლდებიან მემკვიდრეობაზე გადასახადისგან. და კიდევ ერთი: ამ დღეებში კალიფორნიის კვალდაკვალ ორეგონის შტატშიც დაუშვეს ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინება. ეს კი სერ ელტონ ჯონის იმედებს, ალბათ, კიდევ უფრო ამყარებს.

# ახალი რეკორდსმენი



მელ გიბსონის ფილმმა - "ქრისტეს ვნებები" ამერიკული კინოგაქირავების რეკორდი ხუთ დღეში მოხსნა. ადრე ეს პატივი წილად ხვდა სურათს - "ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება".

საზოგადოებაში ცხარე დისკუსიის გამომწვევმა რელიგიურმა ფილმმა საანგარიშო პერიოდში 125,2 მილიონი ამერიკული დოლარი დააგროვა. "ბეჭდების მბრძანებლის" მესამე ნაწილმა კი, რომელსაც ამას წინათ 11 ოსკარი ხვდა წილად, გამოსვლიდან ხუთ დღეში 124,1 მილიონი ამერკული დოლარის შემოსავალი მოუტანა მფლობელებს.

პრესაში აქტიურად განიხილებოდა თემა: თუ რა რელიგიურ აზრს ატარებდა ფილმი და რამდენად ზუსტად იყო მასში აღწერილი ისტორიული მოვლენები. როგორც ცნობილია, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი რამდენიმე ებრაელი ფილმის რეჟისორს ადანაშაულებდა კიდეც, რომ სურათი ანტიებრაული სულისკვეთების იყო. თუმცა, ასეთი ყურადღება უფრო წაადგა ფილმს, ვიდრე პირიქით – კინოსურათი მაცხოვრის ამქვეყნად ცხოვრების უკანასკნელი საათების შესახებ კინოს ისტორიაში რელიგიურ თემაზე შექმნილ სურათებს შორის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. მთელ ამერიკაში ეკლესიებმა დაიქირავეს კინოდარბაზები, რათა მრევლს ეს სურათი აჩვენონ.

მელ გიბსონის ფილმმა ჟურნალ "სქრინ დეილის" მონაცემებით, მეექვსე ადგილი დაიკავა პირველ უიკ-ენდზე დაგროვილი შემოსავლების მიხედვით. "ვფიქრობ, უკეთესი შედეგები გვექნება აღდგომის უქმეების დროს", - ამბობს გიბსონის პარტნიორი კომპანია Icon-დან ბრიუს დევი.

ფილმი აჩვენეს უკვე რამდენიმე ქვეყანაში. მარტსა და აპრილში კი, ის უფრო ფართოდ გავრცელედება. ექსპერტების თქმით, "ქრისტეს ვნებების" პოპულარობის კვალდაკვალ გაიზარდა რელიგიური თემატიკის წიგნების გაყიდვა.

# კინო ბავშვებისთვის

კაიროში რიგით მე-14 საერთაშორისო საბავშვო ფილმების ფესტივალი გაიხსნა. წელს ჩვენებაში მონაწილეობს 165 სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი სურათი, ასევე 45 ქვეყნიდან წარდგენილია სატელევიზიო გადაცემები. "მოზრდილთა ჟიურის" ხელმძღვანელობს ბელგიელი პროდიუსერი და კინოს მხატვარი რაულ სერვე. პარალელური "საბავშვო ჟიურის" შემადგენლობაში კი არიან 14 ქვეყნის პატარა კინოკრიტიკოსები. ერთკვირიანი ფესტივალის გამარჯვებულები გაეროს ბავშვთა ფონდის "იუნისეფისა" და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებისგან საგანგებო პრიზებს მიიღებენ.




## სკანვორდი



## TV პროგრამა

6 მარტი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "12 განრისხებული მამაკაცი". რეჟ. სიდნეი ლიუმეტი. **01.20** მხ. ფილმი "მებრძოლთა კლუბი". მთ. რ-ში: ბრედ პიტი, ედი ნორტონი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.35** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია" **16.50** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **17.00** საწინდარი **17.30** "ასე ვცხოვრობთ" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.30** პალიტრა **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.50** მხ. ფილმი "აფრიკელი" **01.25** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "როგორ გადავაქციოთ ცოლი ურჩხულად" მთ. რ-ში მერიელ ჰემინგუეი, მაიკ ბინდერი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ქალი და მამაკაცი" მთ. რ-ში პოლ რეიზერი, ჯო მანტენია. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "ჰერაკლე" **10.15** საბ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გულში" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "ნიურნბერგი" 1-ლი ს. **19.00** სერიალი "კოდი კოპერნიკი" **21.20** მხ. ფილმი "ციხე" (სტალონე) **23.10** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" (ვივიენ ლი)

### მეორე არხი

**19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** გაცოცხლებული ქვები **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში (ენდი გარსია) **21.30** გლობუსი **22.00** მხ. ფილმი "თამაში ორისთვის"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად" **14.00** მხ. ფილმი "დიდი კუში" **16.00** მხ.ფილმი "შერკინება" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "ცხოველი" **22.30** მხ. ფილმი "ძვლების მტვრეველი" **00.20** მხ. ფილმი "ღრუბლებს მიღმა"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ახალი ამბები **15.15** მხ. ფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.45** მხ. ფილმი **00.40** მხ. ფილმი

### მეცხრე არხი

**08.20** მხ. ფილმი "ბარბი რაფუნზელი" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "სამი ფერი ლურჯი" **13.20** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "კონკია" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. სერიალი "ქანდაკება" მე-6 ს. **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **22.00** "აქსისის" დაჯილდოება (ყვითელი კვადრატი) **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "ჰენრი ჯეიმსი" მე-2ს. **01.00** მხ. ფილმი "ჯაშუშთა თამაში"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაც. ფილმი "სუ ლინგის ლეგენდა" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი "ქაიროს ლალი" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვ. საკალათ. ასოციაცია **17.05** დოკ. სერიალი "მამა-შვილი სიმონები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** დოკ. სერიალი "მკვლელები" **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **01.20** იმედის მელოდიები

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ფილმი-გაგრძელება "ჰეიდი" 1 ს. **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ."დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **13.40** მუსიკა **14.10** კომედია "დაუნდობელი ადამიანები" **15.50** მუსიკა **16.20** მულტსერიალი "ნიღაბი" **17.05** თრილერი "ზარალის ანაზღაურება" **19.30** მხ. ფილმი "მზის ცრემლები" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Слово **00.40** კომედია "სტრიპტიზი" **02.35** მუსიკა **03.00** ისტორიული ფილმი "სპარტაკი"

### ОРТ

**07.00** Новости **07.10** "Шутка за шуткой" **07.30** Семен Фарада в комедии **"Созвездие Козлотура" 09.00** Детский сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.00, 13.00, 19.00** Новости **11.10** "Смак" **11.30** Любовные истории **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Наследники короля-льва" **14.10** Умницы и умники **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.20** "Поговорим о странностях любви..." **16.20** Спасатели. Экстренный вызов **16.50** Людмила Касаткина в комедии **"Укротительница тигров" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** Евгений Миронов в комедии **"Есть идея" 21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Кривое зеркало". Евгений Петросян представляет... **01.10** Гвинет Пэлтроу в комедии **"Вид сверху - лучше" 02.50** Мистический триллер **"Сновидения" 04.40** Девчата из Лондона в фильме **"С тобой и без тебя"**

### РТР

**06.50 Валентина Серова в фильме "ЖДИ МЕНЯ". 08.20** Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ". **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта. **10.45** Сам себе режиссер. **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд". **13.15** В поисках приключений. **14.15** Клуб сенаторов. **15.00** Вести. **15.20 Елена Драпеко в фильме "БЕЗОТЦОВЩИНА" 17.00** Николай Басков, Надежда Бабкина и другие в юбилейном вечере. **19.00** Ефим Шифрин, Елена Воробей и Юрий Гальцев в юбилейном концерте Семена Альтова. **21.00** Вести. **21.25** Зеркало. **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг. **23.20 Анджелина Джоли в фильме "ЛАРА КРОФТ - РАСХИТИТЕЛЬНИЦА ГРОБНИЦ" 01.20 Эдди Мерфи в комедии "БУМЕРАНГ" 03.30** Чемпионат мира "Формула-1". Гран-при Австралии. Квалификация. **05.10 Валерий Николаев в фильме "ОЧЕНЬ ВЕРНАЯ ЖЕНА".**

### НТВ

**06.35** Джордж Лейзенби в фильме **"НА СЕКРЕТНОЙ СЛУЖБЕ ЕЕ ВЕЛИЧЕСТВА" 09.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: сладкая парочка. **12.00** Квартирный вопрос: детская под облаками**. 13.00, 17.00** "Сегодня" **13.20** "Дикий мир: двадцать девятый леопард" **14.10** Вкусные истории. **14.20 Жан Марэ в фильме "ПАРИЖСКИЕ ТАЙНЫ" 16.25** Рекламная фишка. **17.20** "Женский взгляд". Кристина Орбакайте. **17.55 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад". **21.00** Олег Меньшиков в фильме **"ВОСТОК-ЗАПАД" 23.30** Джек Николсон в комедии **"ИСТВИКСКИЕ ВЕДЬМЫ" 02.00** Марина Зудина в фильме **"НЕМОЙ СВИДЕТЕЛЬ" 03.45** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой**.**

## არც ჰაიდი იჩაგრება



ბრიტანული გაზეთი "სანი" წერს, რომ ხუთი თვის ორსულ მოდელს, ჰაიდი კლუმს, უკვე ორი თვეა, პოპ-ვარსკვლავ სილთან აქვს ურთიერთობა. შესაბამისად, გახმაურებული დაცილების ინიციატორი ფლავიო ბრიატოლე კი არა, ჰაიდი ყოფილა, რომელიც აქამდე ყველას დაჩაგრულად მიაჩნდა.

გაზეთში ჰაიდის მეგობრების სიტყვებია მოყვანილი, რომელთა თქმითაც, "მისთვის ეს სერიოზული ამბავია". სილმა კი განაცხადა, რომ ჰაიდის შვილი საკუთარი შვილივით ეყვარება.

ამ ორს ერთმანეთი გასულ წელს, ნიუ იორკში, წვეულებაზე გაუცნია. ისინი მაშინაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა ჰაიდი ბრიატოლეს სატრფო იყო.

## მოხუცები და მდიდრები




ბებერი როკერები თავიანთ პროდუქციას ყველაზე წარმატებულად ჰყიდიან. ჟურნალი "როლინგ სთოუნი" წერს, რომ გასულ წელს ყველაზე დიდი შემოსავალი "როლინგ სთოუნზს" ჰქონდა – 60-ს გადაცილებული მიკ ჯაგერის თაოსნობით მათ 84,1 მილიონი დოლარი გააკეთეს. მეორე ადგილზე 54 წლის ბრიუს სპრინგსტინი გავიდა (81,7 მილიონით), მესამეზე კი – "იგლზი", ასევე ორმოცდაათს გადაცილებული მუსიკოსების ჯგუფი (62,9 მილიონით).

შემდეგი ადგილი შედარებით ახალგაზრდა ჯგუფმა "დიქსი ჩიქსმა" დაიკავა – ქანთრის შემსრულებელთა ასაკი 30-დან 35 წლამდე მერყეობს. გასული წლის მონაცემებით, ყველაზე მდიდარ ვარსკვლავთა ათეულში 62-62 წლის საიმონი და გარფანკელი და 57 წლის შერიც შევიდნენ.


## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- MS Excel.
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61






პროსპეროს წიგნები
Prosperos' Books
ინგლისური წიგნებისა და ყავის სახლი
English Bookstore and Coffeehouse

„პროსპეროს წიგნები" - ინგლისური წიგნების მაღაზია და ყავის სახლი გთავაზობთ:
- ახალი წიგნების ფართო არჩევანს, ისტორიულ, ბიოგრაფიულ და საბავშვო ლიტერატურას;
- წიგნებს ხელოვნებასა და არქიტექტურაზე, მოგზაურობასა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალურ საკითხებზე, ასევე TOEFL-ის, GMAT-ისა და ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს ნებისმიერი დონისათვის;
- მეორადი წიგნების ფართო არჩევანს, რომლებიც შეგიძლიათ გაცვალოთ მაღაზიის კრედიტზე;
- ინგლისურენოვანი ვიდეოკასეტებისა და DVD -ების გაქირავებას.
„პროსპეროს წიგნები" ასევე გთავაზობთ: საფოსტო ბარათებს, კომპაქტ დისკებს "World Music"-ისა და ქართული ფოლკლორული მუსიკის კოლექციებიდან.
ძალიანის ყავისა და ჩაის ფართო არჩევანს
რუსთაველის გამზირი №34 (მიდა ეზო), 0108, თბილისი
ტელ./ფაქსი: (995 32) 923592. ელ-ფოსტა: prospero@access.sanet.ge



ჯეოსელში სულ – პრიზებია!
ჯეოსელის საავანსო და საკრედიტო სისტემის აბონენტებო!
1 თებერვლიდან თქვენ მონაწილეობთ ჯეოსელის სულ-პრიზების აქციაში და ღებულობთ:
- 2 უფასო წუთს თუ თქვენი ტელეფონი ერთი თვის განმავლობაში ორმხრივადაა ჩართული
- 4 უფასო წუთს ყოველ დახარჯულ 50 ლარზე
- და კიდევ თითო უფასო წუთს ჯეოსელის აბონენტად ყოფნის თითოეული წლისათვის.

ისარგებლეთ დაგროვილი უფასო სალაპარაკო დროით.
ჯეოსელის სულ-პრიზების წამზომი ჩართულია.
ჯეოსელი უფლებას იტოვებს შეცვალოს აქციის მოქმედების ვადა და პირობები.





საინფორმაციო სამსახური 928 ან 822 770177
www.geocell.ge